844/ვ.ჩ 13.822
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №117 (2817) შაბათი, 16 მაისი, 1998 წელი. ფასი 40 თეთრი. თბილისს გარეთ – 45 თეთრი.


პარლამენტის თავმჯდომარე

## საქმიან წრეებთან კონტაქტის განსამტკიცებლად

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი ეუთოში, ამჟამად კი მსხვილი ბიზნესმენი სემ ბრაუნი.

სემ ბრაუნი საქართველოში მსხვილ ტრანსნაციონალურ კომპანიათა ინტერესებს წარმოადგენს. მისი თქმით, ამ კომპანიებს გარკვეული ინტერესები აქვს კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში, ხოლო თავად იგი მთავარი საკონტაქტო პირია რეგიონთან ურთიერთობაში.

ინტერესთა სფეროები ეკონომიკის პრაქტიკულად მთელ სპექტრს მოიცავს, ხოლო საქართველოში განვითარებული პოლიტიკური პროცესები და აქ შემუშავებული იურიდიული ბაზა, ბევრი პოსტსაბჭოური ქვეყნისგან განსხვავებით, ბ-ნი სემ ბრაუნის შეფასებით, უცხოური ინვესტიციების დაცვის მყარ გარანტიებს ქმნის.

ამდენად, კომპანიებს, რომელთაც იგი წარმოადგენს, უკვე შემუშავებული აქვთ საკმაოდ დიდ ინვესტიციათა ბიზნეს-გეგმები.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, საქართველომ, რომელმაც თავის პოლიტიკურ კურსში და შესაბამისად საკანონმდებლო საქმიანობაში ევროსტანდარტებთან ჰარმონიზაცია პრიორიტეტად აღიარა, შეძლო დემოკრატიული და გამჭვირვალე იურიდიული ბაზის შექმნა, რაც მისი თქმით, რეალური პროცესია. ყოველივე ამან ეფექტიანი, კონკურენტუნარიანი გარემო ჩამოაყალიბა და ამდენად, საქართველო უკვე ღიაა თანამშრომლობისათვის ნებისმიერ დონეზე", – განაცხადა შეხვედრაზე ზურაბ ჟვანიამ. მან, სტუმრის თხოვნით, ვრცლად ისაუბრა საქართველოსა და მთლიანად რეგიონში პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების შესახებ. სემ ბრაუნი დარწმუნებულია, რომ მისი პირველი კონტაქტი საქართველოს საქმიან წრეებთან წარმატებით განვითარდება და უმოკლეს ვადაში კონკრეტულ განხორციელებას ჰპოვებს.

**პარლამენტის პრესსამსახური.**

კანონმდებლები

## პარლამენტარები და შარშანდელი ბიუჯეტი

15 მაისის პლენარული სხდომა საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით დებატებით დაიწყო. თავიანთი პოზიციები წარმოადგინეს საპარლამენტო ფრაქციათა წარმომადგენლებმა. დასმულ შეკითხვებსა და წინადადებებს უპასუხა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა მიხეილ ჭკუასელმა. კონტროლის პალატის თავმჯდომარემ რევაზ შავიშვილმა დეპუტატებს კიდევ ერთხელ გააცნო მისდამი რწმუნებული უწყების დამოკიდებულება გასული წლის ბიუჯეტის შესრულების მიმართ.

ხანგრძლივი დებატების შემდეგ პარლამენტმა მიიღო დადგენილება საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით. დადგენილებას მხარი დაუჭირა ასმა დეპუტატმა, წინააღმდეგი იყო 44.

პარლამენტის სხდომა ერთი საათით გაგრძელდა და დეპუტატებმა განიხილეს საქართველოს მთავრობასა და იაპონიის „საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ფონდს" შორის (ენერგეტიკის აღდგენის პროექტისათვის) საკრედიტო ხელშეკრულება. კანონპროექტი „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე".

პარლამენტარებმა მიიღეს კანონპროექტი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების თაობაზე, პირველი მოსმენით.

**პარლამენტის პრესსამსახური.**

გვწერენ

## ახლობლების თანხმობა, ვფიქრობთ, აუცილებელია

ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო" თავისი საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად ბავშვთა უფლებების დაცვას მიიჩნევს. ამდენად, ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შესაძლოა მოყვეს ამ უფლებების დარღვევა, ვერ დარჩება ჩვენი ყურადღების მიღმა. შეშფოთების საფუძველს გვიქმნის კანონპროექტი „ადამიანის ორგანოების, ორგანოთა ნაწილების, ქსოვილების აღებისა და გამოყენების შესახებ", რომელიც საქართველოს პარლამენტმა განიხილა და მიიღო მეორე წაკითხვით ა. წ. მარტის თვეში. კერძოდ, საუბარია კანონპროექტის III თავის მუხლი 11-ის შესახებ. ეს მუხლი იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ, ჩვენი აზრით, ქმნის საფუძველს მასში გადმოცემული აზრის ნებისმიერად განმარტების და დადგენილი პროცედურის დანაშაულებრივად გამოყენებისა. ჩვენ ყველა შემთხვევაში დაუშვებლად მიგვაჩნია ადამიანის ორგანოების გადანერგვა გარდაცვლილის ახლობელთა თანხმობის გარეშე. მე-11 მუხლის ამგვარი ფორმულირება, იმის გათვალისწინებით, რამდენად მაღალია მსოფლიოში ტრანსპლანტაციისათვის გამიზნულ ორგანოთა ღირებულება, საფუძველს უქმნის ისეთი დანაშაულებრივი პრაქტიკის დანერგვას საქართველოში, რაც გამოიხატება ადამიანების გატაცებაში შემდგომ მათგან ორგანოების მოპოვების მიზნით, ადამიანთა დალუპვის ინსპირირებაში და ა. შ. ალარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ზნეობრივად საეჭვო ქმედებასთან.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჩვენს ორგანიზაციას დაუშვებლად მიაჩნია აღნიშნული კანონის მიღება მე-11 მუხლის მიმართ გამოთქმული შენიშვნების გაუთვალისწინებლად. დარწმუნებული ვართ, რომ ამ პოზიციას იზიარებს ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა.

**ნანა იაშვილი,**
ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს" პრეზიდენტი.

პრეზიდენტი

## სასამართლო რეფორმამ საფუძველი უნდა შექმნას სამართლებრივი სახელმწიფოსათვის

ქვეყანაში მიმდინარე სასამართლო რეფორმის პროცესში გადამწყვეტი ეტაპი დადგა. 16 მაისს იწყება მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები, რომლებმაც უნდა გამოავლინონ მოსამართლეთა ის ბირთვი, რომელთა კვალიფიკაციაზე, პროფესიონალიზმსა და მაღალ ზნეობრიობაზე იქნება დამოკიდებული, როგორ განხორციელდება ქვეყანაში მართლმსაჯულება, ანუ რამდენად მყარი იქნება საფუძველი სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. სწორედ ასე აყენებს ამოცანას საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც 15 მაისს, გამოცდების დაწყების წინა დღეს, შეხვდა სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წევრებს.

სასამართლო რეფორმა ერთ-ერთი ურთულესი და მგრძნობიარე პროცესია იმ ღონისძიებებს შორის, რომლებსაც დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო ახორციელებს. ამიტომაც, როგორც ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, ბუნებრივია მღელვარება: რამდენად სწორია ჩვენი არჩევანი და ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც სახელმწიფო იღებს. ამავე დროს, საქართველომ საკმაოდ მაღალ დონეზე გაართვა თავი რეფორმისათვის საფუძვლების, მათ შორის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადებას, რაში, პრეზიდენტის შეფასებით, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს ქართველმა მეცნიერებმა, პარლამენტარებმა და უცხოელმა კოლეგებმა.

„ჩვენ უშუალოდ მივადექით იმ ეტაპს, რომლისთვისაც მზადდებოდა ეს ყველაფერი. დღეს უნდა შეირჩეს მოსამართლეთა ის კორპუსი, ის ადამიანები, რომელთა სინდისზე, ნამუსზე, კვალიფიკაციაზე დამოკიდებული იქნება მრავალი ადამიანისა და ოჯახის ბედი და, საბოლოო ანგარიშით, ქვეყნის მდგომარეობა, მისი სტაბილურობა, ადამიანების რწმენა სამართლიანობისადმი. ასეთი რწმენის გარეშე კი ახალი სამართლებრივი საზოგადოება, სამართლებრივი სახელმწიფო ვერ იარსებებს". ამიტომაც დღეს, სახელმწიფოს მეთაურის აზრით, გადასაწყვეტია ყველაზე პასუხსაგები ამოცანა – მოსამართლეთა კორპუსი დაკომპლექტდეს საუკეთესო პროფესიონალებით, საიმედო, სანდო ადამიანებით, რომელთაც ექნებათ უნარი აითვისონ თანამედროვე კანონმდებლობა. ბოლო 2-3 წლის განმავლობაში შექმნილი კანონები კი,

იხ. მე-2 გვ.



დავით ხიზანიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## მიზანი: ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა

ყარს-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის პროექტის ეფექტიანი რეალიზაციისა და ტრანსპორტის სხვა სფეროებში მჭიდრო თანამშრომლობის განვითარების საკითხების განხილვას მიეძღვნა 15 მაისს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და ჩვენს ქვეყანაში სტუმრად მყოფი თურქეთის რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრის ნეჯდეთ მენზირის შეხვედრა.

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1998 წლის 11 მაისი ქ. თბილისი

**თ. ხმალაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში შეტანილი პირადი წვლილისა და ქიზიყის მხარის ლიტერატურული და კულტურული ტრადიციების აღორძინებისათვის საქართველოს მწერალთა კავშირის ქიზიყის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი მწერალი თამაზ ხმალაძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1998 წლის 11 მაისი ქ. თბილისი

**საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემის მუშაკთა ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შეტანილი პირადი დიდი წვლილის, ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ:

**ლალი გუჯაბიძე** – თბილისის დედათა და ბავშვთა სადიაგნოსტიკო-საკონსულტაციო ცენტრის მთავარი ექიმი;

**ბორის ყიფიანი** – თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კლინიკის დირექტორი;

**ცისანა შარტავა** – შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის დირექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში;

**თენგიზ ცერცვაძე** – შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი;

**ნიკოლოზ ხატიაშვილი** – ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და რეაბილიტაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ე. შევარდნაძე.**

ვიზიტი

## საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი ბევრი საინტერესო და ურთიერთხელსაყრელი პროექტის განხორციელების საშუალებას იძლევა

### სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი არაბთა გაერთიანებულ საამიროებში

სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილის სამუშაო ვიზიტი არაბთა გაერთიანებულ საამიროებში სავაჭრო ფირმა „ალ ჰაბტურის" პრეზიდენტ რაშიდ ხალაფ ალ ჰაბტურთან შეხვედრით დაიწყო. შეხვედრა მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობაში გაიმართა და მასში მონაწილეობდნენ დუბაის საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

ცნობისათვის: მას შემდეგ, რაც 1958 წელს არაბთა გაერთიანებუ-



ლი საამიროების ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის საბადოები აღმოაჩინეს, საამიროების ეკონომიკური ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. ეკონომიკის წამყვანი დარგი სწორედ ნავთობისა და გაზის გადამამუშავებელი მრეწველობაა. ნავთობის მოპოვებით მსოფლიოში მეოთხე ადგილი უკავია და მსოფლიო ნავთობის მარაგის 10 პროცენტს აკონტროლებს. ქვეყანაში 711 ნავთობგადამამუშავებელი საწარმო მოქმედებს.

ქვეყნის ხელმძღვანელობა ნავთობისა და გაზის მრეწველობისაგან შემოსული თანხებით აფინანსებს მსუბუქ მრეწველობასა და სასოფლო-სამეურნეო დარგებს. მუშაობენ ერთობლივი საწარმოები დასავლეთ ევროპის, ამერიკისა და აზიის წამყვანი სახელმწიფოების ფირმების მონაწილეობით. საექსპორტო შემოსავლის 81 პროცენტს ნავთობისა და გაზის რეალიზებისაგან მიღებული თანხა შეადგენს. მოქმედებს 9 თავისუფალი ეკონომიკური ზონა.

რაც შეეხება ფირმა „ალ ჰაბტურს", მის მიერ საქართველოსთვის გალებული ინვესტიციები 10-12 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს. ფირმა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში თანამშრომლობს აზერბაიჯანთან და ყაზახეთთან.

იხ. მე-3 გვ.

შევეწიოთ



## სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა

**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:**

| | |
|---|---|
| შპს „რონიკო" | – 300 ლარი; |
| ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი | – 20 ლარი; |
| თამაზ კვაჭანტირაძე | – 36 ლარი; |
| ქეთევან და რუსუდან კვაჭანტირაძეები | – 10 ლარი; |
| მანანა და მარიამ ტუსკიები | – 20 ლარი; |
| ქეთევან ომიაძე | – 100 ლარი; |
| ავთანდილ იმნაძე | – 25 ლარი; |
| მამუკა აბულაძე | – 5 ლარი; |
| მარიკა, ანუკა და ლევან ჩილინგარაშვილები | – 10 ლარი; |
| რკინიგზის დეპარტამენტის სამეურნეო განყოფილების თანამშრომლები: მაღლაკელიძე, ღვაბერიძე, ჩუტკერაშვილი, თუხარელი, ტაბიძე, ბერძენიშვილი | – 57 ლარი. |

ინფორმაცია

### პროექტის ხორცშესასხმელად საჭიროა აქტიური თანამშრომლობა

15 მაისს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა მიიღო კომპანია „პროვიდევსის" პრეზიდენტი რამზი ფარეში და კომპანია „ინფრასტრუქტურ კაპიტალ გრუპის" დირექტორი აქილეს ადიმანტიადისი.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ყინვალჰესის სრული რეაბილიტაციის პროექტის შემუშავებასა და განხორციელებას.

კომპანია „პროვიდევსმა" ყინვალჰესის შესახებ მასალების შესწავლა მარტში დაიწყო. წინასწარი მონაცემებით, პროექტი ტექნიკურად და ფინანსურად გამართლებულია, განაცხადა რამზი ფარეშმა. „პროვიდევსი" მზადაა 75 მილიონი ამერიკული დოლარის ინვესტიციები მოიზიდოს ამ პროექტის განსახორციელებლად და პროექტის რეალიზაციასთან დაკავშირებული პრაქტიკული სამუშაოები უკვე 10 თვის შემდეგ დაიწყოს.

სახელმწიფო მინისტრმა მხარდაჭერა აღუთქვა სტუმრებს და კომპანია „პროვიდევსის" პრეზიდენტს და სთხოვა, რომ აქტიურად ითანამშრომლონ პროექტის საბოლოო დამუშავებისა და მისი განხორციელების კონკრეტული ვადების განსაზღვრის მიზნით საქართველოს სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროსთან.

### ყარს-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა ივლისში დაიწყება

„ყარს-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა ივლისში დაიწყება", – განაცხადა გუშინ საქართველოს ტრანსპორტის მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა თავის თურქ კოლეგასთან, ნეჯდეთ მენზირთან გამართული მოლაპარაკებების შემდეგ. თურქეთის ტრანსპორტის მინისტრი ამ პოსტზე თავისი ყოფნის 11 თვის მანძილზე საქართველოს უკვე მესამედ ეწვია, რაც ორ ქვეყანას შორის ამ სფეროში მნიშვნელოვანი საერთო ინტერესების არსებობაზე მიანიშნებს. ძირითადი კი მაინც ყარს-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაა, რომლის საპროექტო სამუშაოები ქართულმა ფირმამ „გეოინჟინირინგმა" შეასრულა. პროექტის თანახმად, მაგისტრალის მშენებლობას დაახლოებით 3 წელი დასჭირდება, ხოლო მისი ტვირთგამტარობა წლიურად 50 მლნ ტონას მიაღწევს.

### კარს მოგვადგა ფესტივალი „თბილისური გაზაფხული"

თბილისის მერმა ბადრი მოშიტაიშვილმა გამართა ტრადიციული პრესკონფერენცია დედაქალაქის მწვავე პრობლემის შესახებ. როგორც აღინიშნა, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით 2000 წლამდე დამთავრდება საბურთალოს მეტროს ხაზის მშენებლობა. შეიქმნება სპეციალური ფონდი ავარიული და ამორტიზებული საცხოვრებელი სახლების გადასარჩენად. მზად არის მუნიციპალური პროგრამები თბილისის ახალი მშენებლობებისათვის. ქალაქის მერის თქმით, თბილისის მიწისქვეშა კომუნიკაციები უკიდურესად დაზიანებულია. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა გამოყო თანხები შესაბამისი აღდგენითი სამუშაოებისათვის.

ამჟამად მიმდინარეობს თბილისის დაზიანებული მწვანე საფარის აღდგენა. მაისის ბოლოს დამთავრდება 9 აპრილის (ყოფილი ალექსანდროვის) კულტურისა და დასვენების პარკის კეთილმოწყობა.

თბილისის პრემიერის ზურაბ ბიბილეიშვილის ინფორმაციით, 23 მაისს გაიხსნება ტრადიციული ფესტივალი „თბილისური გაზაფხული".

### პროგრამისთვის „პარტნიორობა განათლებაში" 6 მილიონი გამოიყოფა

გუშინ განათლების სამინისტროში მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი მარჯანიძე ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს" (სოროსის ფონდის) წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი იყო საქართველოს განათლების სამინისტროსა და სოროსის ფონდს შორის თანამშრომლობის შესახებ, კერძოდ, მათ მიერ ერთობლივად შემუშავებულ პროგრამაზე სახელწოდებით „პარტნიორობა განათლებაში".

„პარტნიორობა განათლებაში" განსახორციელებლად 1998-2000 წლებში სოროსის ფონდი გამოყოფს 6 მლნ დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში.

### საქართველოს დელეგაცია კონფერენციაზე მოხსენებას წარადგენს

დღეს საქართველოს სამთავრობო დელეგაცია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ჟენევაში მიემგზავრება. დელეგაციის შემადგენლობაში საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ უკლება და ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის მინისტრი კოტე ზალდასტანიშვილი შედიან, რომელიც კონფერენციაზე მოხსენებას წაიკითხავს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და „გეამ".

ენერგეტიკა

## „საქენერგო" იძულებულია მკაცრ ღონისძიებებს მიმართოს

ელექტროენერგეტიკული დარგის უმთავრეს პრობლემას ფინანსური კრიზისი წარმოადგენს. მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების ოთხი თვის მონაცემების მიხედვით, სახაზინო საწარმო სახელმწიფო კომპანია „საქენერგო" უკიდურეს ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მოხმარებული ელექტროენერგიის გადაუხდელობის გამო ვერ ხერხდება სარემონტო სამუშაოების ჩატარება ენერგეტიკულ ობიექტებზე, აგრეთვე ენერგოსისტემა ვერ ემზადება ზამთრის სეზონისათვის. 4 თვის რეალიზაციის მაჩვენებლებით, მთლიანად ქვეყნის ქალაქებიდან და რაიონებიდან „საქენერგომ" ვერ მიიღო 25,8 მლნ. ლარი. მდგომარეობას ამძიმებს ის, რომ ადგილებზე მუნიციპალური კომპანიები, რომელთა ფუნქციაა ელექტროენერგიის საფასურის ამოღება, ვერ უზრუნველყოფენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სახელმწიფო კომპანია „საქენერგო" ამა წლის 20 მაისიდან იწყებს დებიტორული დავალიანების მქონე ქალაქებისა და რაიონების მასიურ გამორთვას საღამოს 20 საათიდან 22 საათამდე.

20 მაისს, 20 საათიდან 22 საათამდე ელექტროენერგია მეუწყდება შემდეგ ქალაქებსა და რაიონებს: ფოთს, ტყიბულს, თერჯოლას, ბოლნისს და სამტრედიას.

21 მაისს რუსთავს, მარნეულს, ზუგდიდს, ბაღდათს, ბორჯომს და ვანს.

20 მაისიდან აგრეთვე მკაცრად შეიზღუდება ელექტროენერგიის მიწოდება თბილისს, მცხეთას და დანარჩენ ქალაქებსა და რაიონებს.

სახელმწიფო კომპანია „საქენერგო" აფრთხილებს მუნიციპალურ საწარმო „თელასს", რომ მკაცრად გაატაროს ანალოგიური ღონისძიებები ქალაქ თბილისში. წინააღმდეგ შემთხვევაში მას მკაცრად შეუზღუდავენ ელექტროენერგიის მიწოდებას.

დღეს

### დასავლეთ საქართველოში

ამინდი

ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, სუსტი ქარი.

ბარში: ღამით +10+15,
დღისით +20+25.
მთაში: ღამით +7+12; დღისით +16+21.
მაღალ მთაში: ღამით +3+8, დღისით +12+17.

### აღმოსავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, შესაძლებელია სეტყვა. დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში.

ბარში: ღამით +9+14; დღისით +21+26.
მთაში: ღამით +6+11; დღისით +17+22.
მაღალ მთაში: ღამით +2+7;
დღისით +11+16.

### თბილისში:

ცვალებადი მოღრუბლულობა, მეორე ნახევარში ხანმოკლე წვიმა და ელჭექი. ჩრდილო-დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში.

ღამით +12+14; დღისით +24+26.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

## ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1998 წლის 16 მაისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| გირვანქა სტერლინგი | 1 | 2. 1914 ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 0.7536 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.3420 ლარი |
| ფრანგული ფრანკი | 1 | 0.2247 ლარი |
| თურქული ლირა | 10,000 | 0.0531 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.2184 ლარი |

უკანასკნელ საათს

*გუშინ* ლოს-ანჯელესში 82 წლის ასაკში გარდაიცვალა ფრენკ სინატრა, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ამერიკელი მომღერალი და მსახიობი. 199? წელს იგი უკანასკნელად გამოვიდა სცენაზე თავისი 80 წლის იუბილეზე და იმღერა.

გუშინ კიდევ ერთი ლეგენდა დასრულდა.

*დღეს* მსოფლიოს 8 წამყვანი სახელმწიფოს ლიდერები ერთმანეთს შეხვდებიან ბირმინგემში, სადაც ისინი გუშინ ჩავიდნენ.

*გუშინ* რუსეთის მეშახტეთა რეგიონებში კვლავ რთული მდგომარეობა იყო. სახელმწიფო სათათბიროში პრემიერ-მინისტრის სერგეი კირიენკოს წინადადებით მიღებულმა გადაწყვეტილებამ – 25 პროცენტით შეიკვეცოს ხელისუფლების შესანახი ხარჯები და გამოთავისუფლებული თანხა მეშახტეებს გაუნაწილონ, შესაძლებელია განმუხტოს დაძაბულობა.

*ინდონეზიის* დედაქალაქმა ნგრევის და მოჩვენებითი თავისუფლების ეიფორიის შემდეგ გუშინ უმძიმესი თავის ტკივილით გაიღვიძა: ოფიციალურად გამოცხადებული 26 დაღუპულის ნაცვლად, მარტო ერთ შენობაში (უნივერმაღში) 100-ზე მეტი დამწვარი ადამიანი აღმოაჩინეს.

დღეს

## ვაქვეყნებთ საქართველოს კანონს სახელმწიფო ბაჟის შესახებ

იხ. მე-2 გვ.

პრეზიდენტი

# სასამართლო რეფორმამ საფუძველი უნდა შექმნას სამართლებრივი სახელმწიფოსათვის

(პირველი გვერდიდან)

რომლებმაც, ფაქტობრივად, სრულად შეცვალეს ძველი კანონმდებლობა, პრეზიდენტის შეფასებით, ისეთი მოცულობის მასალაა, რომ დიდი მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ ადამიანმა ეს ყველაფერი არა უბრალოდ შეისწავლოს, არამედ ცხოვრებაში გამოიყენოს და იხელმძღვანელოს.

საქართველოს პრეზიდენტმა მაღალი შეფასება მისცა იმ ჯგუფის მუშაობას, რომელიც სასამართლო რეფორმის საკითხებსა და გამოცდების ორგანიზებაზე მუშაობს. როგორც მან განაცხადა, ჯგუფმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეს პროცესი ღირსეულად წარიმართოს, და უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ამგვარი ჯგუფის შექმნა უკვე თავისთავად არის პირველი, საწყისი ფუნდამენტი იმისათვის, რომ ადამიანებს განუმტკიცდეთ რწმენა სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის, სასამართლო რეფორმისა და იმ ხალხის მიმართ, ვინც კანონები რეალურად, ცხოვრებაში უნდა განახორციელოს. „სასამართლო და ადამიანი, სასამართლო და მოქალაქე განსაკუთრებული კატეგორიებია და ასევე განსაკუთრებულ ურთიერთობას გულისხმობს. ამიტომ მოქალაქეებს უნდა სწამდეთ: შეირჩევა ღირსეული ხალხი, რომელიც იხელმძღვანელებს კანონით და სამართლიანი იქნება". ეს კი უმნიშვნელოვანესი მომენტია, რადგან, როგორც სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, „ახალ ეპოქაში, ახალ სისტემაში სასამართლოსთან ურთიერთობა მოუწევს თითქმის ყველა მოქალაქეს. ამას განაპირობებს ახალი ეკონომიკის ჩამოყალიბებით გამოწვეული პრობლემები, რომლებთანაც პრაქტიკულად ყველა ოჯახია დაკავშირებული — ზოგი ბიზნესმენია, ზოგი დამქირავებელი ან დაქირავებული, ზოგიც მესაკუთრე. ეს კი საკითხთა მთელი გამა, ანუ ცხოვრების ახალი წესია და იმაზე, თუ როგორ დაინერგება იგი და რამდენად დაცული იქნება მოქალაქე მის პირობებში კანონისა და მისი აღმსრულებლების მიერ, ფაქტობრივად, ქვეყნის ბედია დამოკიდებული".

გამოცდებში მონაწილეობას მიიღებს 250 კანდიდატი, მათ მორის, მოქმედი და ყოფილი მოსამართლეებიც. გამოცდების ობიექტურობას საიმედო დამცავი მექანიზმი უზრუნველყოფს. საგამოცდო ტესტები დაიბეჭდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და შემდეგ, გერმანიის მთავრობის დახმარებით, შინაარსის სრული საიდუმლოების დაცვით ჩამოვიდა საქართველოში. შეფასებაში სუბიექტურობის ყოველგვარ შესაძლებლობას გამორიცხავს კომპიუტერული სისტემა, რომელიც ყველაზე სამართლიანი არბიტრის როლს შეასრულებს. შემდეგი ეტაპია წერითი გამოცდები, რომლებიც, საბოლოო არჩევანის თვალსაზრისით, გადამწყვეტ როლს შეასრულებს.

ედუარდ შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რეფორმის მიზანი არ არის უნდობლობა გამოუცხადოს მოსამართლეებს, რომელთა მორის არის ბევრი ღირსეული და განათლებული ადამიანი, რომლებიც თავიანთ ადგილს იპოვნიან ამ პროცესში. ამასთან, პრეზიდენტს მიაჩნია, რომ „ასპარეზზე უნდა გამოვიდეს ახალი თაობა, რომელმაც უნდა შექმნას ახალი ატმოსფერო და განწყობილება ჩვენს საზოგადოებაში". მისი შეფასებით, ეს არის ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა, რომლის გადაწყვეტის დროს შეცდომის დაშვება დაუშვებელია. სასამართლო რეფორმის შედეგი დაუყოვნებლივ გამოჩნდება, რადგან იმ ადამიანებს, რომლებსაც კომისია შეარჩევს და პრეზიდენტი დაამტკიცებს, მომდევნო დღიდანვე საზოგადოებასთან მოუწევთ ურთიერთობა. იმის გარანტად, რომ ეს არჩევანი იმედს არ გაუცრუებს ადამიანებს, საქართველოს პრეზიდენტს კომისიის შემადგენლობა მიაჩნია.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, რეფორმის წარმატებით განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცების თვალსაზრისით. უფრო კონკრეტულად, რამდენადაც ღირსეულად გაართმევს თავს საქართველო ამ ამოცანას, იმდენად განმტკიცდება საფუძველი ევროსტრუქტურებში მისი ინტეგრაციისათვის. ასე რომ, სასამართლო რეფორმის მაღალ დონეზე განხორციელება საქართველოსთვის არა მარტო შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა, არამედ საერთაშორისო მასშტაბით ძალზე საჭირო კაპიტალის დაგროვების საშუალებაც.

## მიზანი: ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა

(პირველი გვერდიდან)

როგორც ნეჯდეთ მენზირმა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს აუწყა, ორი ქვეყნის დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაზე გამოცხადებული ტენდერის საბოლოო შედეგები, სავარაუდოდ, წლეულს, ივლისში გამოქვეყნდება. ამავე თვეში გაიმართება მშენებლობის საფუძვლის ჩაყრის საზეიმო ცერემონია. თურქეთის ტრანსპორტის მინისტრის აზრით, აღნიშნული პროექტისა და ბოსფორის სრუტის ქვეშ რკინიგზის მშენებლობის პროექტის რეალიზაცია მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის სრულმასშტაბიანი ამოქმედების თვალსაზრისით. ამასთან, დამუშავების სტადიაშია ბათუმის აეროპორტის ერთობლივი რეკონსტრუქციისა და მესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა. ამ მიზნით, ორი ქვეყნის ტრანსპორტის მინისტრები ხელს მოაწერენ განზრახვათა ოქმს. თურქეთის მხარე აქტიურად არის დაინტერესებული საქართველოში საბაგირო ტრანსპორტის განვითარებით და ამ საქმეში მხარდაჭერას გვპირდება.

ედუარდ შევარდნაძე მოწონებით შეხვდა თურქეთის ტრანსპორტის მინისტრის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის განხორციელების პროცესი აქტიურ ფაზაში შევიდა და მასთან დაკავშირებული პერსპექტივა მალე იქცევა რეალობად.

## გაგრძელდა კონკრეტული პროექტების შემუშავება

საქართველოსა და იაპონიას შორის მრავალმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებაზე იმსჯელეს 15 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და იაპონიის საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ექსპორტ-იმპორტის დეპარტამენტის დირექტორმა კიეამუ ინოუემ.

როგორც იაპონელმა სტუმარმა აღნიშნა, მისი ქვეყნის კომპანიები დაინტერესებულნი არიან საქართველოს ენერგეტიკისა და მეტალურგიის სფეროებში თანამშრომლობის განვითარებით. კიეამუ ინოუეს განცხადებით, ურთიერთხელსაყრელი კავშირურთიერთობის ჩამოყალიბების მიზნით გაგრძელდება კონკრეტული საქმიანი პროექტების შემუშავება.

## ყურადღება მიეპყრო რეგიონში მიმდინარე პროცესებს

15 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი ეუთოში სემ ბრაუნი, რომელიც დაინტერესებულია კავკასიაში არსებული ვითარებით და მოგზაურობს რეგიონის სახელმწიფოებში.

შეხვედრაზე ყურადღება მიაპყრეს როგორც კავკასიაში მიმდინარე პროცესებსა და არსებული კონფლიქტების მოწესრიგების პერსპექტივას, ასევე, რეგიონის სახელმწიფოებში ეუთოს მისიების როლის შემდგომი გააქტიურების საკითხებს.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.**

კანონმდებლები

# საქართველოს თავისი განმასხვავებელი ემბლემა ექნება

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ კონსტანტინე ბარქაიამ პრესკონფერენცია გამართა საქართველოსათვის ჯანდაცვის სფეროსა და ფარმაციის სპეციალური განმასხვავებელი ემბლემის შემუშავების თაობაზე. პარლამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე კომიტეტმა წარმოადგინა ჟიურის შემადგენლობა, რომელშიც შედიან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ჰერალდიკოსები, სახელმწიფო სიმბოლიკის კომისიის წევრები, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრები, ჯანმრთელობის დაცვის კვალიფიციური მუშაკები.

კონსტანტინე ბარქაიამ აღნიშნა, რომ პარლამენტის მიერ „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ემბლემებისა და სახელწოდებების შესახებ" კანონის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე წითელი ჯვრის ემბლემის გამოყენების უფლება დაცვითი ან განმასხვავებელი ფუნქციით აქვთ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობებს და საქართველოს სამხედრო ძალების სამედიცინო-სანიტარიულ სამსახურებს შეიარაღებული კონფლიქტის დროს, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას.

კონსტანტინე ბარქაიამ აღნიშნა, რომ წითელი ჯვრის ემბლემა შეიცავს ამ სამკურნალო საერთაშორისო ორგანიზაციისა და საზოგადოების მუშაობის შინაარსობრივ დატვირთვას. ამიტომ აუცილებელია, რომ საქართველოს ჰქონდეს თავისი განსხვავებული ემბლემა-სიმბოლო, როგორც ჯანმრთელობის დაცვის, ისე სამკურნალო და ფარმაციის წარმომადგენლობებისათვის. თავმჯდომარის მოადგილის განმარტებით, კონკურსი ჯანდაცვის სფეროსა და მედიცინის სპეციალური განმასხვავებელი ემბლემის შესაქმნელად დაიწყება ხვალ, 16 მაისს და მოეწყობა ღია წესით ორ ეტაპად. მასში მონაწილეობის უფლება აქვთ კერძო პირებსაც და სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც.

კონსტანტინე ბარქაიამ აღნიშნა, რომ კონკურსის ორგანიზატორთა მთავარი მოთხოვნაა, ესკიზები პრინციპულად განსხვავდებოდეს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ოფიციალური ემბლემისაგან — წითელი ჰელვეტური ჯვრისაგან. კონკურსის ჟიურის წინაშე მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა დგას — ახალი სიმბოლო უნდა გახდეს მისაღები საქართველოს მოსახლეობისათვის და იგი უნდა გაიგივდეს ჯანმრთელობის დაცვის, სამკურნალო, სასწრაფო დახმარებისა და ფარმაციის ცნებებთან, — აღნიშნა კონსტანტინე ბარქაიამ.

**პარლამენტის პრესსამსახური.**

ბიუჯეტი

# მკაცრად შეაფასეს საგადასახადო ინსპექციების მუშაობა

15 მაისს საქართველოს საგადასახადო ინსპექციის სათათბირო საბჭოს სხდომაზე განსაკუთრებული ადგილი დაეთმო 1998 წლის იანვარ-აპრილის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო დავალებათა შესრულების შედეგების განხილვას.

ამ პერიოდში საპროგნოზო დავალება შესრულებულია 96,3 პროცენტით (95849,0 ათასი ლარი). გარღვევამ შეადგინა 3664 ათასი ლარი.

ცენტრალური ბიუჯეტის გეგმა შესრულებულია 101,5 პროცენტით (765,7 ათასი ლარის გადაჭარბებით). ამასთან, ტერიტორიული ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილი შესრულებულია 90,8 პროცენტით, ანუ გარღვევამ შეადგინა 4430 ათასი ლარი.

საგადასახადო შემოსავლების დავალებათა შესრულებაში განსაკუთრებით ჩამორჩნენ ოზურგეთის (48,7 პროცენტი), ადიგენის (63,2), მესტიის (67,3), ახალქალაქის (68,9), ნინოწმინდის (72), მარტვილის (74,1), ლენტეხის (76,3), წალკის (78,2), ბორჯომის (78,2), ბოლნისის (80,5), ხარაგაულის (82,7), ტყიბულის (87,5) ინსპექციები, მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია (85,1 პროცენტი).

სათათბირო საბჭოს სხდომაზე მკაცრი შეფასება მიეცა საგადასახადო ინსპექციების მიერ გაწეულ მუშაობას:

დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა მარნეულის საგადასახადო ინსპექციის უფროსი ელდარ ჭოხონელიძე.

ხუთი თვის დავალებების შესრულებამდე თანამდებობებზე პირობით დატოვეს ოზურგეთის (დ. ლომჯარია), ბორჯომის (რ. ლომიძე), ადიგენის (ზ. გაბიძე) და მარტვილის (რ. კოტია) საგადასახადო ინსპექციების უფროსები.

მითითება მიეცათ მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის უფროსს მ. სალარაძეს და ქ. თბილისის საგადასახადო სამსახურის უფროსს ი. კოპალეიშვილს.

მკაცრად იმსჯელეს ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის საგადასახადო ინსპექციაში საშემსრულებლო დისციპლინის მოშლის, საბიუჯეტო დავალებების შეუსრულებლობის, სამსახურებრივი მოვალეობებისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა და სხვა დარღვევების შესახებ. აქედან გამომდინარე, თანამდებობიდან გათავისუფლდა საბურთალოს რაიონის საგადასახადო ინსპექციის უფროსი გელა შეელიძე;

დაისვა საკითხი საქართველოს საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა დაბეგვრისა და გადასახადების აკრეფის სამმართველოს განყოფილების უფროსის გ. გოგოლაძისა და ამავე სამმართველოს მთავარი ინსპექტორის დ. ნიორაძის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

საგადასახადო ინსპექციის სათათბირო საბჭოს ზემოაღნიშნულმა სხდომამ ცხადყო, რომ დაწყებულია სისტემაში არსებული ნაკლოვანებებისადმი უკომპრომისო ბრძოლა და ეს შემდგომშიც გაგრძელდება.

**საქართველოს საგადასახადო ინსპექციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო.**

## სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავარი ამერიკის შეერთებულ შტატებში

საქართველოს მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქინფორმს აცნობა, რომ 14 მაისს ამერიკის შეერთებულ შტატებს ეწვია სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამერიკაში ვაშინგტონის მთავარეპისკოპოსის, სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტის, უნეტარესი თეოდოსის მოწვევით იმყოფება. მასთან ერთად ნიუ-იორკის კენედის სახელობის აეროპორტში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს შეხვდნენ საქართველოს ელჩი, ამერიკის შეერთებულ შტატებში თედო ჯაფარიძე და საქართველოს წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პეტრე ჩხეიძე, ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ახლავან ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი დანიელი, ქუთათელი გაენათელი მიტროპოლიტი კალისტრატე, სხვა სასულიერო პირები.

ვიზიტის ვრცელი პროგრამა ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში ამერიკულ, ბერძნულ, ანტიოქიის ეკლესიათა წინამძღვრებთან შეხვედრების, სასულიერო დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ვიზიტისა და ღვთისმსახურების აღვლენის გარდა, ითვალისწინებს შეხვედრებს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და დიპლომატიური წრეების მაღალი რანგის წარმომადგენლებთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივან კოფი ანანთან.

## სომხეთის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 80 წლისთავის გამო

საქართველოსა და სომხეთის დამოუკიდებლობის დღესასწაულობათა წინ შეიკრიბნენ პოეტები, მწერლები, პოეზიის თაყვანისმცემლები საქართველოს მწერალთა კავშირში.

— ბედმა საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთს დაუკავშირა ქართველი და სომეხი ხალხები, — თქვა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ თამაზ წივწივაძემ საქართველოსა და სომხეთის ლიტერატორთა შეხვედრის გახსნაზე. — ერთად ვიყავით მუდამ ჭირში და ლხინში. ერთად ვეძებთ ახლა ჩვენი სახელმწიფოების აღორძინების გზებს.

მსოფლიოში ორი უძველესი ლიტერატურის მეგობრობის, საქართველოსა და სომხეთის სულიერი კულტურის შესახებ სიტყვა წარმოთქვა პოეტმა ჯანსულ ჩარკვიანმა.

— განსაკუთრებული ცოდნა და განსაკუთრებული ნიჭი უნდა ჰქონდეს მწერალს, რათა საყვარელ სამშობლოზე თქვას ისეთი სიტყვა, რომ მკითხველს უღვიძებდეს სურვილს ეთაყვანოს ამ მიწას, თუნდაც ერთი წუთით გახდეს მისი ნაწილი, ეზიაროს მის ცხოველმყოფელ ძალასა და სილამაზეს, — ხაზი გაუსვა პოეტმა.

შეხვედრაზე გამოვიდნენ პოეტები და მწერლები — ბენიკ სეირანიანი, გივი შახნაზარი, მიქაელ აღტიანი, ზეზვა მედულაშვილი, ლუსინე ვანოიანი, დავით მჭედლური, გენო კალანდია, გენრიხ საჰაკიანი და სხვები.

## სოხუმში ნაირ-ნაირ გადაწყვეტილებებს იღებენ...

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრესცენტრის ცნობით, 14 მაისს გვიან ღამით გაიმართა აფხაზეთის ე. წ. პარლამენტის სხდომა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ.

ამ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა შეხვედრა ქალაქ სოხუმში მთიელთა რესპუბლიკის 80 წლისთავის აღსანიშნავად.

საზეიმო სხდომაზე გამომსვლელებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ აუცილებელია ჩრდილოეთ კავკასიელთა გაერთიანება კავკასიურ კონფედერაციაში, რომელსაც დაერქმევა მთიელთა რესპუბლიკა.

**ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.**

## საქართველოს კანონი

# სახელმწიფო ბაჟის შესახებ

**მუხლი 1. სახელმწიფო ბაჟის ცნება**

სახელმწიფო ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტებში შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის და სათანადო საბუთების გაცემისათვის.

**მუხლი 2. სახელმწიფო ბაჟის გადამხდელები**

1. სახელმწიფო ბაჟის გადამხდელებად ითვლებიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა ინტერესებიდან გამომდინარეც სპეციალურად რწმუნებული დაწესებულებები ასრულებენ იურიდიულ მოქმედებებს და გასცემენ შესაბამის საბუთებს.

2. იმ შემთხვევაში, როცა იურიდიული მოქმედების შესრულების ან საბუთის გაცემის თაობაზე ერთდროულად მიმართავს რამდენიმე პირი, სახელმწიფო ბაჟს გადაიხდის ერთ-ერთი ან რამდენიმე მათგანი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

**მუხლი 3. მოქმედებები, რომლებისთვისაც გადაიხდევინება სახელმწიფო ბაჟი**

სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება:

ა) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველ საქმეებზე;

ბ) საერთო სასამართლოებში განსახილველ სასარჩელო ან სხვა განცხადებებზე და საჩივრებზე;

გ) საქართველოს ტერიტორიაზე მოქალაქეობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის, მოსახლეობის რეგისტრაციის, მოქალაქეობისა და ემიგრაცია-იმიგრაციის საკითხებზე განცხადებების განხილვისათვის და მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისათვის, რომლებსაც ახორციელებენ შესაბამისი სამსახურები.

**მუხლი 4. სახელმწიფო ბაჟის განაკვეთები**

1. საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება შემდეგი ოდენობით:

ა) სარჩელებზე — სადავო საგნის ღირებულების 2,5 პროცენტი

ბ) სააპელაციო საჩივრებზე — სადავო საგნის ღირებულების 3 პროცენტი

გ) საკასაციო საჩივრებზე — სადავო საგნის ღირებულების 4 პროცენტი

დ) კერძო საჩივრებზე — სადავო საგნის ღირებულების 1,5 პროცენტი.

2. საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე გადასახდევინებელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება შემდეგი ოდენობით:

ა) ფიზიკური პირის მიერ შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელზე — 10 ლარი

ბ) სხვა პირების მიერ შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელსა და კონსტიტუციურ წარდგინებაზე — 55 ლარი.

4. მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისათვის სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება შემდეგი ოდენობით:

ა) ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციისათვის, მოწმობის გაცემის ჩათვლით — 9 ლარი

ბ) განქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციისათვის, მოწმობის გაცემის ჩათვლით, თუ განქორწინება ხდება:

ბ. ა) მეუღლეების ურთიერთშეთანხმებით, რომლებსაც არა ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები — 30 ლარი

ბ. ბ) სასამართლოს გადაწყვეტილებით — 50 ლარი (ერთ-ერთი ან წილობრივად ორივე მეუღლის მიერ)

ბ. გ) პირთან, რომელიც დადგენილი წესით ცნობილია უგზო-უკვლოდ დაკარგულად, ან პირთან, რომელიც ფსიქიკურად დაავადების ან ჭკუასუსტობის გამო აღიარებულია ქმედუუნაროდ, ან პირთან, რომელსაც სასჯელად დანიშნული აქვს თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით — 2 ლარი

გ) გვარის, სახელის, მამის სახელის გამოცვლის რეგისტრაციისათვის, მოწმობის გაცემის ჩათვლით (ქორწინების, მამობის დადგენის რეგისტრაციის ან შვილად აყვანის საკითხებთან დაკავშირებული შემთხვევების გარდა) — 30 ლარი

დ) დაბადების, ქორწინების, განქორწინების, გარდაცვალების აქტების აღდგენისათვის, მათში ცვლილებების, დამატებებისა და შესწორებების შეტანისათვის, მოწმობის გაცემის ჩათვლით — 10 ლარი.

ე) დაბადების, შვილად აყვანის, მამობის დადგენის რეგისტრაციისათვის, მოწმობის გაცემის ჩათვლით — 7 ლარი

ვ) მოქალაქეთა მდგომარეობის სარეგისტრაციო აქტებზე მოწმობის ხელმეორედ გაცემისათვის — 7 ლარი

ზ) არქივებიდან მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ ჩანაწერის არსებობის ცნობის გაცემისათვის — 2 ლარი

თ) მოქალაქეთა მდგომარეობის შესახებ სხვა ცნობების გაცემისათვის — 3 ლარი

ი) გვარის აღდგენისათვის — 10 ლარი.

5. რეგისტრაციის, მოქალაქეობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემისა და ემიგრაცია-იმიგრაციის საკითხების განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება შემდეგი ოდენობით:

ა) საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემისათვის ან შეცვლისათვის — 35 ლარი

ბ) საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის — 14 ლარი

გ) პასპორტში არასრულწლოვანი შვილების შესახებ მონაცემების შეტანისათვის — 7 ლარი

დ) საქართველოს მოქალაქის, საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის რეგისტრაციისათვის, მოწმობის გაცემის ჩათვლით — 1 ლარი

ე) სამსახურებრივი, სავაჭრო და კომერციული საქმიანობისათვის საქართველოში დროებით შემოსული უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის რეგისტრაციისათვის — 15 ლარი

ვ) საქართველოს მოქალაქეობის მეძენის, მოქალაქეობიდან გასვლისა და მოქალაქეობის აღდგენისათვის — 30 ლარი

ზ) საზღვარგარეთიდან საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლის (იმიგრაციის) შესახებ განცხადების განხილვისათვის — 70 ლარი.

თ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის გაცემისათვის ან შეცვლისათვის — 1 ლარი 50 თეთრი

ი) საქართველოში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის საზღვარგარეთ გასასვლელი პირადობის მოწმობის (პასპორტის შემცვლელი დოკუმენტის) გაცემისათვის 35 ლარი

კ) საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის მოწმობის გაცემისათვის — 1 ლარი 50 თეთრი

ლ) მეზღვაურის წიგნაკისა და მფრინავის მოწმობის გაცემისათვის — 35 ლარი.

**მუხლი 5. შეღავათები სახელმწიფო ბაჟზე**

1. საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) ფიზიკური პირები — სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან;

ბ) მოსარჩელენი — სარჩელებზე, რომლებიც გამომდინარეობს საავტორო, აგრეთვე, აღმოჩენის, გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადებებისა და სამრეწველო ნიმუშების უფლებებიდან;

გ) მოსარჩელენი — სარჩელებზე ალიმენტების გადახდევინების შესახებ;

დ) ფიზიკური და იურიდიული პირები — მათზე იმ დოკუმენტების გაცემისათვის, რომლებიც დაკავშირებულია სისხლის სამართლისა და ალიმენტის საქმეებთან;

ე) მოსარჩელენი — სარჩელებზე ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიყენებულია დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე, მარჩენალის სიკვდილით;

ვ) ფიზიკური პირები — სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებულ საკასაციო საჩივრებზე დანაშაულის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ამოღების სისწორის შესახებ;

ზ) სოციალური დაზღვევის ორგანოები და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები რეგრესულ სარჩელებში ზიანის მიმყენებლის მიერ დაზარალებულზე გაცემული დახმარების ან პენსიის გადახდევინების შესახებ, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები — აგრეთვე, სარჩელებზე არასწორად მიღებული დახმარებებისა და პენსიების შესახებ;

თ) მოსარჩელენი — სარჩელებზე ბოროტმოქმედებით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ;

ი) მხარეები — საკასაციო საჩივრებზე განქორწინების საქმეების შეწყვეტის შესახებ;

კ) შინაგან საქმეთა ორგანოები, როგორც მოსარჩელეები — სარჩელებზე იმ პირების ძებნასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ ალიმენტებისა და სხვა მსგავსი თანხების გადახდას;

ლ) სახელმწიფო საფინანსო-საკრედიტო, საგადასახადო, საბაჟო და სხვა მაკონტროლებელი ორგანოები, როგორც მოსარჩელეები ან მოპასუხეები — სარჩელებზე გადასახადების, მოსაკრებლების, სახელმწიფო ბაჟისა და სხვა აუცილებელი გადასახდელების ბიუჯეტში გადახდისა და ბიუჯეტიდან თანხების დაბრუნების შესახებ, აგრეთვე, განსაკუთრებული წარმოების საქმეებზე;

მ) ინვალიდები, ინვალიდთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათი დაწესებულებები, სასწავლო-საწარმოო ორგანიზაციები და გაერთიანებები — ყველა სარჩელზე;

ნ) მოსარჩელენი — სარჩელებზე ისტორიული, მხატვრული და სხვა ფასეულობის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ;

ო) მხარეები — სარჩელებზე მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიყენებულია ფიზიკური პირის უკანონოდ გასამართლების, მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით უკანონოდ დაპატიმრების ან დაპატიმრების სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადების შედეგად;

პ) იძულებით გადაადგილებული პირები და ლტოლვილები — საჩივრებზე მათი იძულებით გადაადგილებულ პირად და ლტოლვილად არცნობის შესახებ;

ჟ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე — სარჩელებზე გარემოს გაჭუჭყიანებისა და გარემოს დაცვის კანონმდებლობის სხვა დარღვევების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ბიუჯეტში თანხების გადახდევინების შესახებ;

რ) ვეტერანები, რომლებმაც „ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დასაცავად მიმართეს სასამართლოს;

ს) საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო — სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებზე.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საერთო სასამართლოების მიერ შეტანილ კონსტიტუციურ წარდგინებაზე სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდევინება.

3. საქმეებზე, რომლებსაც ახორციელებენ მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) ფიზიკური პირები — გარდაცვალების აქტის რეგისტრაციისას, აგრეთვე, მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისას დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით (თუ შეცდომა დაშვებულია მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის სამსახურის მიერ);

ბ) ფიზიკური პირები — მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ცნობის გაცემისათვის, რომელიც აუცილებელია სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებში წარსადგენად, პენსიისა და დახმარების დანიშვნის ან გადაანგარიშების საკითხთან დაკავშირებით;

გ) მრავალშვილიანი (სამი და მეტი შვილი) ოჯახები და უპატრონო ბავშვები — შვილისა და ბავშვის დაბადების რეგისტრაციისა და შესაბამისი მოწმობების გაცემისათვის.

4. საქართველოს მოსახლეობის რეგისტრაციის, მოქალაქეობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) საზღვარგარეთ სამკურნალოდ მიმავალი პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაინვალიდებული საქართველოს მოქალაქეები;

ბ) ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანები და იძულებით გადაადგილებულად ცნობილი პირები — 50 პროცენტით;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეები — საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში რეგისტრაციისათვის.

5. სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო მეთანხმებით, რომლის მონაწილეც არის საქართველო.

**მუხლი 6. სახელმწიფო ბაჟის გადახდის ან დაბრუნების წესი**

1. სახელმწიფო ბაჟი გადაიხდება ეროვნული ვალუტით ბანკებში, დადგენილი ფორმის ქვითრის გაცემით.

2. სახელმწიფო ბაჟი გადაიხდება:

ა) საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე — შესაბამისი განცხადების (საჩივრების) ან საკასაციო საჩივრების შეტანამდე, ასევე სასამართლოს მიერ საბუთის ასლის გაცემისას;

ბ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველ საქმეებზე — კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების შეტანამდე;

გ) მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის სამსახურის მიერ მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციისათვის, მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციაში შესწორებებისა და ცვლილებების შეტანისათვის — შესაბამისი განცხადების შეტანისას, ხოლო მოწმობებისა და ცნობების ხელმეორედ გაცემისათვის — მათი გაცემისას;

დ) საზღვარგარეთ მოქალაქეებისათვის — საკონსულო დაწესებულებებში.

3. გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარება მთლიანად ან ნაწილობრივ დაბრუნებას საქმის წარმოების შეწყვეტისას ან სარჩელის განუხილველად დატოვებისას, თუ საქმე სასამართლოში განხილვას არ ექვემდებარება, აგრეთვე, როდესაც მოსარჩელე არ იცავს მოცემული კატეგორიის საქმეებისათვის წინასწარი დავის გადაწყვეტის დადგენილ წესს, ან აღიარებულია ქმედუუნარო პირად.

4. სახელმწიფო ბაჟი, რომელიც ექვემდებარება დაბრუნებას, გაცემული უნდა იქნეს ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე შესაბამისი ადგილობრივი საფინანსო ორგანოების მიერ იმ დღიდან ერთი თვის განმავლობაში, როდესაც მიღებულია გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ.

**მუხლი 7. დასკვნითი დებულება**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

**საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.**

**თბილისი, 1998 წლის 29 აპრილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვიზიტი

# საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი ბევრი საინტერესო და ურთიერთხელსაყრელი პროექტის განხორციელების საშუალებას იძლევა

## სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი არაბთა გაერთიანებულ საამიროებში

(პირველი გვერდიდან)

ღებაის მსოფლიო სავაჭრო ცე- რში გამართულ შეხვედრაზე სა- ანი წრეების წარმომადგენლე- დაინტერესდნენ, თუ როგორ არდება საქართველოში ეკო- მიკური პროცესები, ხაზგასმით ნიშნეს, რომ საქართველოს ნომიკური პოტენციალი ბევრი ტერესო და ურთიერთხელსა- ლი პროექტის განხორციელე- საშუალებას იძლევა.

12 მაისს საქართველოს დელე- სახელმწიფო მინისტრის ნი- ლეკიშვილის ხელმძღვანელო- არაბთა გაერთიანებული სა- როების დედაქალაქ აბუ-და- გაემგზავრა, სადაც შეხვდნენ ნის პრემიერ-მინისტრს შეიხ ლთან ბინ საიდს.

საქართველოს მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ახლო აღ- სავლეთის რეგიონის ერთ-ერთ ლაზე განვითარებულ და მნი- ნელოვან ქვეყანასთან მჭიდრო, თიერთსასარგებლო კავშირ- ურთიერთობის დამყარებას. ქა- თულ მხარეს იმედი აქვს, რომ უკუნეთა მანძილზე დაკარგული რაბულ-ქართული ურთიერთობა აღდგება და თანამედროვე, ცი- ლიზებული, მსოფლიო პოლიტი- სათვის შესაფერი სტანდარტე- ბა და ფორმების საფუძველზე ვითარდება, — განაცხადა სა- ელმწიფო მინისტრმა ნიკო ლე- შვილმა.

როგორც შეიხ სულთან ბინ სა- მა აღნიშნა, არაბეთის გაერ- იანებული საამიროების პოლი- კური და საქმიანი წრეები ყუ- ადღებით ადევნებენ თვალყურს ქართველოში მიმდინარე პრო- სებს. ორ ქვეყანას შორის ახა- ი ურთიერთობის დამყარების ალსაზრისით იგი მიესალმა რაბთა გაერთიანებული საამი- როების ერთ-ერთი წამყვანი ფი- რმის „ალ ჰაბტურ კომპანის" მო- ღვაწეობას საქართველოში. თუმცა აღნიშნა, რომ სადღეისოდ რსებული კავშირურთიერთობა

მოთქვა მზადყოფნა, რომ იგი ხელს შეუწყობს საქართველოსთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან პროექტს. იმავე დღეს საქართველოს დელეგაცია დუბაის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში შეხვდა პალატის თავმჯდომარეს ჰასან ბინ ალ შეიკს და შეხვედრაზე მოწვეულ საქმიანი წრეების წარმომადგენლებს.

„ჩვენ გვესმის საქართველოს ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობა, ვიცით, თუ რა როლს ანიჭებს საქართველოს მთავრობა საერთაშორისო ბაზარზე ინტეგრაციას. მზად ვართ ნაბიჯ-ნაბიჯ განვავითაროთ ეკონომიკური თანამშრომლობა თქვენს ქვეყანასთან, — განაცხადა დუბაის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარემ ჰასან ბინ ალ შეიკმა.

სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა უპასუხა დუბაის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა შეკითხვებს.

იმავე საღამოს სასტუმრო „მეტროპოლიტენ პალასში" სავაჭრო ფირმა „ალ ჰაბტურის" სახელით გამართულ დარბაზობაზე მოწვეული იყვნენ არაბთა გაერთიანებული საამიროების 150-მდე საქმიანი წრეების წარმომადგენელი. ნაჩვენები იყო საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ფილმი, რომელიც „ტრასეკას" პროექტის განხორციელებასა და მის მნიშვნელობას შეეხება.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა „ალ ჰაბტურის" წარმომადგენელმა, რომელმაც მოწვეულ სტუმრებს წარუდგინა საქართველოს დელეგაცია და გააცნო მათი საქმიანი ვიზიტის მიზნები.

„საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ყოველთვის იყო და არის უცხოელ ინვესტორთათვის საქმიანობის საუკეთესო პირობების უზრუნველსაყოფად ზაკა-

ება — ჩვენი დღევანდელი შეკრება სწორედ ამ მიზანს ემსახურება და ამითვე არის განპირობებული, — მიმართა სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა დუბაის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს.

შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ საქართველოს უაღრესად მნიშვნელოვანი და ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა და მისი, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პერსპექტივები. მასზე გადიოდა ძველი, საყოველთაოდ ცნობილი „აბრეშუმის გზა", რომელიც დღეს ახალ შინაარსს იძენს. ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარება, რომლის საკვანძო რგოლს საქართველო და შავ ზღვაზე მისი ნავსადგურები წარმოადგენენ, ამის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტიც, რომ უკვე მეოთხე წელია, რაც წარმატებით მოქმედებს ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის — „ტრასეკას" პროგრამა, — აღნიშნა ნიკო ლეკიშვილმა თავის გამოსვლაში.

სახელმწიფო მინისტრმა, აგრეთვე, ილაპარაკა სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, მრეწველობის, ტურიზმის და სხვა დარგების განვითარების პერსპექტივებზე და იმედი გამოთქვა, რომ ქვეყანაში მიმდინარე დადებითი გარდაქმნები დამაჯერებელი არგუმენტი იქნება არაბთა გაერთიანებული საამიროების საქმიანი წრეებისათვის ინვესტიციათა გაბედულად განსახორციელებლად.

13 მაისს სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი შეხვდა „ამირატების ავიახაზების" სამოქალაქო ავიაციისა და დუბაის აეროპორტის ხელმძღვანელს შეიხ ახმედ ბინ საიდ ალ მაკტუმს.

საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის ერთობლივი ავიაკომპანიის შექმნა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქმიანი და სავაჭრო კონტაქტების გააქტიურებას — ასეთი იყო მხარეთა აზრი.

როგორც შეიხ ახმედ ბინ საიდ ალ მაკტუმმა აღნიშნა, მსოფლიოს და რეგიონის ქვეყნებთან არსებული საავიაციო ხაზების არსებობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ხოლო რეგულარული საავიაციო რეისი დუბაი-თბილისი, რაღა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს საქართველოს გასვლას არა მარტო არაბული სამყაროს, არამედ მთლიანად აღმოსავლეთის ბაზარზე და თუ საქართველო არაბული სამყაროს საქმიანი წრეებისათვის ჯერ კიდევ უცნობ და აუთვისებელ ქვეყანას წარმოადგენს, იგი უცხოელ ინვესტორთა სერიოზული ინტერესის სფერო გახდება, ქვეყანა, რომელთანაც თანამშრომლობის პერსპექტივები არსებობს — ითქვა შეხვედრაზე.

14 მაისს სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი შეხვდა დუბაის ნავსადგურის ხელმძღვანელს სულთან ბინ სულაიემს. შეხვედრა ითვალისწინებს „ჯებელ ალის" თავისუფალი ზონის დათვალიერებას და ინფრასტრუქტურის გაცნობას.



მეესაბამება მათ პოტენციურ ესაძლებლობებს. ურთიერთობის განვითარებას რკვეულწილად აფერხებს ის, ომ არ არსებობს სახელშეკრუ- ებო სამართლებრივი ბაზა. მხა- ეებმა სურვილი გამოთქვეს გა- ფორმდეს ხელშეკრულებების შე- თანხმებელი სამუშაოები. გა- ოთქვა აზრი, რომ საჭიროა სა- ელჩოებისა და საკონსულოების ქმნა, რაც ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის სრულყოფას. შეიხ სულთან ბინ საიდმა გა-

ნონმდებლო ბაზის შექმნა, რომელთა საფუძველზე უცხოელი ინვესტორები მთლიანად და უპირობოდ არიან დაცული. ახლადწარმოქმნილი საწარმოები სარგებლობენ სხვადასხვა საგადასახდო შეღავათებით. საქართველოში ბიზნესისათვის გზა გახსნილია და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის დამახასიათებელი სიძნელეების მიუხედავად, საჭიროა ერთმანეთის შესაძლებლობათა ყოველმხრივი შესწავლა. ეფექტიანი ერთობლივი პროექტების განხორციელების გზების ძი-

ქეთი დუმბაძე.
ქ. დუბაი.

(დასასრული იქნება)

## კონსულტაციები

# „ეროვნული თანხმობის დარბაზის" მეხუთე სხდომა

ჟურნალისტთა ფედერაციაში გა- რთულ „ეროვნული თანხმობის რბაზის" მორიგ სხდომაზე ამ- ერად გამოტანილი იყო კანო- პროექტი „საკრებულოების არ- ჩევნების შესახებ" და წინა სხ- დომაზე შეთანხმებისამებრ, მს- ჯელობა სწორედ მისი აქ-კარ- ბანობის თაობაზე უნდა გა- მართულიყო. მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, მით უმეტეს მო- ლიტიკური შემადგენლობის პირო- ბებში, სწორედ ეს საკითხი გა- ხდა სასინჯი ქვა არსებულ წი- ნააღმდეგობათა გასაშიშვლე- ბად, საპირისპირო შეხედულე- ბათა გამოსავლენად.

გამწვავდა შეთანხმების მიღწე- ვა ზოგიერთ მტკივნეულ საკითხზე: კანონპროექტით გათვალისწინებუ- ლი ლტოლვილი მოსახლეობის სა- კრებულოების არჩევნებში მონა- წილეობის მიუღებლობის შემთხ- ვევაში, როგორ ჩათვალონ თავი უფლებებიან მოქალაქეებად და ხომ არ ილახება მათი უფ- ლებები; შეიძლება თუ არა, ჩატა- რდეს საკრებულოების არჩევნები, ჯერ არ იქნა წინასწარი შეთანხმება

აფხაზეთთან, სამაჩაბლოსთან და სხვა; როგორი იქნება მათი ადგილი ახალ სახელმწიფოებრივ მოწყობაში (უნიტარული თუ ფედერაციული) და ა. შ. ამასთან ითქვა, რომ სწორედ ასეთი საკითხების არსებობა განაპირობებს ეროვნული თანხმობის დარბაზის საჭიროებას; კიდევ ერთხელ ცხადი გახდა, თუ რამდენად რთულია ეს პროცესი, როგორ დათმობებსა და მოთმინებას საჭიროებს ეროვნული თანხმობის წარმატებული მსვლელობა.

მას შემდეგ, რაც მოხერხდა კანონპროექტის ძირითადი პრინციპების მოსმენა, მონაწილენი მივიდნენ იმ მოსაზრებამდე, რომ — ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს ერთი სესიით კვირით გადადოს კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვა, მანამდე კი დაინტერესებულთ მიეცეთ საკითხის განხილვისა და თავიანთი შეხედულებების განმარტების საშუალება, რასაც მოქალაქეთა კავშირის დეპუტაციის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს.

გადაწყდა, გაგრძელდეს კონსულტაციები საპარლამენტო ოპოზიციის ფრაქციებისა და კომიტეტების წარმომადგენლებთან 1991-92 წლების და, საერთოდ, საქართველოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენების შეფასების თაობაზე.

წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს მიეცათ წინადადება — წარმოადგინონ თავიანთი კონკრეტული შეხედულებანი შეგულიანების შედეგად შეწყვეტილი დიალოგის აღდგენის თაობაზე.

შემდგომი სხდომა, როგორც შეხვედრაზე ითქვა, განიხილავს ქვეყანაში 1991-92 წლების პოლიტიკური მოვლენების შეფასებისა და არსებულ და წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის დიალოგის აღდგენის საკითხებს.

ეროვნული თანხმობის დარბაზის სხდომის მონაწილენი თავიანთ თავს თვლიან უკვე ჩატარებული და მომავალი სხდომების განსახილველ საკითხთა ავტორებად და პასუხისმგებლებად.

„ეროვნული თანხმობის დარბაზის" პრესცენტრი.

## სადისკუსიო კლუბი „პრესა"

**განსახილველი სტატია დროულ გამოხმაურებას მოითხოვს. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ იგი, რამდენადაც ჩემთვის გახდა ცნობილი, ცალკე ბროშურადაც გამოქვეყნდა. ამიტომ წარმოვადგინე წინამდებარე წერილი „საქართველოს რესპუბლიკაში" და არა „რესპუბლიკაში", რომლის მომდევნო ნომერი, როგორც რედაქციაში მითხრეს, კაცმა არ იცის, როდის გამოვა.**

# წამქეზებელ-წამსისიანებელნი

**უზარმაზარი სტატია გამოქვეყნდა გაზეთ „რესპუბლიკის" ამ წლის მარტის ნომერში სათაურით „დავიწყებას არ ექვემდებარება" (ავტორები ვალერი კვარაცხელია, იგორ კვესელავა, გრიგოლ ქვანია). იმდენად პრიმიტიულია ეს სტატია, იმდენად უპასუხისმგებლოდ არის დაწერილი, რომ მასზე სერიოზული მსჯელობა, კაცმა რომ თქვას, არც კი ღირს. მაგრამ იმდენად ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი ხასიათისაა, რომ მისთვის საერთოდ გვერდის ავლა, ვფიქრობ, არ იქნებოდა მართებული.**

სტატიის ძირითადი მიზანი, რამდენად დაუჯერებლადაც უნდა მოგვეჩვენოს, არის ორი რამის „დასაბუთება": 1. სამეგრელოს მოსახლეობა საქართველოში ათვალწუნებულია, მეგრელებს აქ ვილაც ებრძვის; ავტორები უცერემონიოდ ლაპარაკობენ „სამეგრელოს ირგვლივ შექმნილი მოწამლული ატმოსფეროსა" და მეგრელების მიმართ „პათოლოგიური სიძულვილის" შესახებ; 2. სამეგრელოს მოსახლეობას ვილაც სეპარატიზმს აბრალებს — ეროვნული თვალსაზრისით უმძიმეს დანაშაულს.

საკუთარი სამშობლოს ერთ-ერთი უძველესი და უმშვენიერესი კუთხის წინააღმდეგ ბრძოლის შემზარავი ბრალდება, რაკი ის წამოყენებულია, სათანადო დასაბუთებას მოითხოვს; ავტორები კი ასეთ „ბრძნულ" არგუმენტებს ემყარებიან:

**პირველი.** „თავის დროზე (საბჭოთა წყობილების დროს — ა.ო.) ფართოდ გაჩაღებული ანტიმეგრული კამპანიის ორგანიზატორებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდიაც" და ასახელებენ მწერლის, როგორც მეგრელის, შევიწროების არცთუ დამაჯერებელ საბუთებს, რის საფუძველზეც დაასკვნიან: აქედან ნათლად ჩანს, „თუ რამდენად უპატივისმცემლოდ (?) ეპყრობოდნენ ბატონ კონსტანტინეს მისი სამშობლოს ხელისუფალნი". აბსოლუტურად გაუგებარია, რა კავშირი აქვს კომუნისტური რეჟიმის პერიპეტიებს თანამედროვე ვითარებასთან და, საერთოდ, ქართველ ხალხსა და საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებასთან; ანდა, რა ლოგიკას ემყარება მტკიცება: „ამ ბრძოლის აპოგეას წარმოადგენდა — კოლხური კოშკის ვანდალური დარბევა". გასაოცარია, რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ამას კომუნისტური ლიდერების კონსტანტინე გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლასთან, თუკი ასეთ ბრძოლას მართლა ჰქონდა ადგილი?! საიდან, სადაო!

მადლობა ღმერთს, 30-იანი წლების ორომტრიალს კონსტანტინე გამსახურდია უვნებელი გადაურჩა. საინტერესოა, რას იტყოდნენ სტატიის ავტორები, მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და სხვები რომ „მეგრული წარმომობისა" ყოფილიყვნენ? („მეგრული წარმოშობისა" სტატიის ავტორთა წამდაუწუმ ნახმარი გამოთქმაა); ანდა, როგორ შეხედავდნენ, ვთქვათ, ქართულ პრესაში ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ერთ დროს წამოწყებულ კამპანიას, განსაკუთრებით კი მის ვერაგულ მკვლელობას? კახეთისა და კახელების წინააღმდეგ ბრძოლით უნდა აიხსნას ეს ტრაგედია? სტატიის ავტორთა „ლოგიკას" თუ გავყვებით, ასეთ აბსურდამდე მივალთ.

წარმოუდგენელია, ჭკუათმყოფელი ქართველი, რომელიც მეგრელს, თავის სისხლსა და ხორცს, მეგრელობის გამო ებრძოდეს, და ისიც „დიდოსტატის მარჯვენისა" და „მთვარის მოტაცების" სახელგანთქმულ ავტორს!

და კიდევ: ამკარა პროვოკატორი უნდა იყოს კაცი, „კოლხური კოშკის ვანდალური დარბევა", რომელიც ზვიად გამსახურდიასა და მის მოწინააღმდეგეებს შორის გაჩაღებულ ბრძოლას მოჰყვა, კონსტანტინე გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლით ახსნას.

ვაგლახ, ცოცხალი აღარ არის კონსტანტინე გამსახურდია, საქართველოს მთლიანობისათვის მუდამ ხმალშემართული მწერალი, ამგვარი მკრეხელური აზრების ავტორთათვის თვითონ ამოედო პირში ლაგამი!

**მეორე.** „არ ასცდა დევნასა და შევიწროებას მსოფლიო რანგის მეცნიერი ილია ვეკუაც", რომელსაც „თბილისელ მათემატიკოსთა ერთმა ჯგუფმა სადოქტორო დისერტაციის პლაგიატობა დასწამა" (დისერტაციის პლაგიატობა? — ა.ო.). ეს და სხვა ამგვარი ბრალდებები საღდება ილია ვეკუას, როგორც მეგრელის, წინააღმდეგ ბრძოლის გამოხატულებად.

სამეცნიერო წრეებში ფართოდ არის ცნობილი, რომ ქართველ მათემატიკოსთა ორ სხვადასხვა ჯგუფს შორის ერთ დროს წარმოქმნილი დაპირისპირება წმინდა მათემატიკური პრობლემებით იყო განპირობებული და მეგრელობა-არამეგრელობასთან მას აბსოლუტურად არაფერი ჰქონდა საერთო. ეს ნათლად ჩანს თუნდაც იმით, რომ „მეგრული წარმოშობის" მათემატიკოსები ორივე ჯგუფში იყო წარმოდგენილი, და იმითაც, რომ ილია ვეკუას მუდამ ბურჯივით ედგა მხარში მისი კოლეგა და უფროსი მეგობარი ნიკო მუსხელიშვილი.

ილია ვეკუას ჩვენს ქვეყანაში პატივი არასდროს მოჰკლებია (იყო თბილისის უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოების დეპუტატი, ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატი და ა. შ.), პატივი არ მოჰკლებია დიდი ნიჭისა და უზადო მამულიშვილობის გამო. სწორედ ამიტომ ახსენებს მას მოწიწებით ქართველი ხალხი ნიკო მუსხელიშვილის, ივანე ბერიტაშვილისა და სხვა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა გვერდით.

**მესამე.** კიდევ ერთი „მარგალიტი": „მეგრული წარმოშობის, სწორედ მეგრული წარმოშობის მოღვაწეთა წინააღმდეგ ინტრიგის მრავალთაგან კიდევ ერთი დამახასიათებელი ფაქტის მოყვანაც შეიძლება", — ბრძანებენ ავტორები და ასახელებენ ნოდარ ჭითანავას მაგალითს, რომელიც თურმე „დასტებად ღებულობდა უგვარო და უსახელო წერილებს მოთხოვნით, წასულიყო თავის სამშობლოში, ზუგდიდში". ხედავ, ძვირფასო მკითხველო, ავტორები მთელს საქართველოს სცხებენ ჩირქს ანონიმური წერილების მჯღაბნელი არამზადების მიხედვით, რომლებიც, კაცმა არ იცის, რომელი კუთხის წარმომადგენლები იყვნენ! (თუკი, საერთოდ, იყვნენ!).

რაც შეეხება ნოდარ ჭითანავას, მას, როგორც ცნობილია, დიდი თანამდებობები არ მოჰკლებია (იყო აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი, ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი მდივანი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და ა. შ.). და მაინც, თუ საკითხს ასე ანტიეროვნულად, მარტოოდენ კუთხური ინტერესებიდან ამოსვლით მივუდგებით, მაშინ რა ქნან იმ კუთხეებმა, რომელთა წარმომადგენლებს ასეთი დიდი თანამდებობები, საერთოდ, არ ჰკავებიათ?!

**მეოთხე.** ამკარა პროვოკაციაა ავტორთა მტკიცებაც, თითქოს საქართველოში „ისტერიული ხმაური ატყდა" შოთა კვირაიასა და ზურაბ ქვანიას ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაწინაურებისა გამო და ატყდა იმის შიშით, რომ ეს „მეგრული კლანის გაძლიერებას" გამოიწვევდა. მართალია, ამ მკრეხელობას ავტორები ვილაც ინკოგნიტო გენერალს მიაწერენ, მაგრამ თუკი ასეთი არამზადა გენერალი მართლა არსებობს (რაც, თავისთავად, ძნელი წარმოსადგენია), რატომ არ ამხელენ მას პირდაპირ და რატომ მალავენ მის სახელს ასე ჯიუტად ჩვენი „გმირი" ავტორები? და კიდევ: თუ ნახსენები „ისტერიული ხმაური" ერთი კაცის ხმაურია, თუნდაც გენერლისა, რა შუაშია აქ საქართველო და ქართველი ხალხი, რომელსაც ასე ულმობლად სცხებენ ჩირქს?!

აი, ასეთი ყალბი არგუმენტებით ცდილობენ სტატიის ავტორები ვითარების გამუქებასა და სამეგრელოსა და დანარჩენი საქართველოს ერთმანეთზე გადაკიდებას.

**მეხუთე.** ავტორები აღშფოთებას ვერ მალავენ პროფ. რევაზ ბარამიძის საგაზეთო რეპლიკის გამო, რეპლიკისა, რომელიც შეეხება ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოქვეყნებულ კალენდარს „ჩემი სამეგრელო", რომელსაც სამეგრელოს რუკა და კონსტანტინე გამსახურდიას სურათი ახლავს. და მართლაც, თუ მეგრელის შედგენილი „ჩემი სამეგრელო" კონსტანტინე გამსახურდიას სურათით დამშვენდება, კახელის „ჩემი კახეთი" ილია ჭავჭავაძის სურათით, იმერლის „ჩემი იმერეთი" — აკაკი წერეთლის სურათით და ა. შ. და, ამდენად, გამოირიცხება შესაძლებლობა „ჩემს სამეგრელოს" ილია ჭავჭავაძის სურათი ახლდეს, „ჩემს კახეთს" — აკაკი წერეთლისა, „ჩემს იმერეთს" — კონსტანტინე გამსახურდიასი და ა. შ., დამლილა მაშინ საქართველო, ზედმეტი გამხდარა დიდი ილიას შეძახილი „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა..." აი, აქეთკენ მიგვყავართ დიდი რიხით ჩვენს „გენიოს" ავტორებს.

**მეექვსე.** სტატიაში, როგორც მოსალოდნელი იყო, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ყველაზე მტკივნეულ საკითხს — სამეგრელოს ცნობილ ტრაგედიას. ყაჩაღებისა და არამზადების მიერ ჩადენილი ეს შემზარავი დანაშაული არის არა მხოლოდ სამეგრელოს, არამედ მთელი საქართველოს მოუშუშებელი ტკივილი. მასზე მსჯელობა ამიტომ უდიდეს ტაქტსა და უაღრესად ფაქიზ მიდგომას მოითხოვს, რისი ნიშანწყალიც განსახილველ სტატიაში აბსოლუტურად არა ჩანს. ავტორები იმდენ შხამს ანთხევენ, იმდენ პროვოკაციასა და ტყუილს ავრცელებენ, რომ ყველა მათგანზე სპეციალური მსჯელობა, ვფიქრობ, არ არის საჭირო, ორიოდე ძირითად საკითხზე შეჩერება კი, ალბათ, მაინც აუცილებელია:

ა) სტატიის ავტორები თავგამოდებით (თუმცა შეფარვით) ცდილობენ „დაამტკიცონ", რომ სამეგრელოს ტრაგედიას ქართველი ხალხისა და საქართველოს ხელისუფლების სამეგრელოს მოსახლეობისადმი „პათოლოგიური სიძულვილი" უდევს საფუძვლად. სტატიაში ვკითხულობთ: „ყველაფერი ეს (რაც აქამდე ითქვა — ა. ო.) ... წვეთი ზღვაში იყო იმ უბედურებასთან შედარებით, რაც უკანასკნელ წლებში დაატყდა სამეგრელოს, საქართველოს უკლებლივ ყველა კუთხის ბანდიტთა, ყაჩაღთა, სხვადასხვა ჯურის გარეწართა ერთობლივი ძალების მიერ ხელისუფლების წაყრუებით, ზოგჯერ კი წაქეზებით მოწყობილი ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგად", „ეს სისასტიკე, ეს გაუგონარი ბარბაროსობა მიმართული იყო... არა როგორც ადამიანებისა და პიროვნებების, არამედ როგორც მეგრელების მიმართ... ეს საშინელება ადამიანის ეთნიკური წარმომავლობის, ეთნიკური ღირსების წინააღმდეგ ჩადენილი ქმედება — დანაშაულია" (ეს ჩიქორთულიც, ცხადია, ყოველმხრივ უწიგნურად დაწერილი წერილის ავტორთა კუთვნილებაა — ა. ო.).

იქნებ მიპასუხონ: აქ ლაპარაკია მხოლოდ ყაჩაღებსა და ბანდიტებზე და არა — მთელ ქართველ ხალხზეო. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ რატომ არის, რომ ამგვარი მტკიცება სხვაგანაც ყველგან ავაზაკებისა და ყაჩაღების გამონათქვამებსა და მათ ავყიაობას ემყარება? (ავაზაკი, რომელიც ხალხს ტყვიას ესვრის, ცხადია, არც დედის გინებას მოერიდება) და რატომ არ არის ნათქვამი თუნდაც ერთხელ, ეს ბრალდება მთელს ხალხზე არ ვრცელდებაო? არ არის ნათქვამი იმიტომ, რომ ავტორები სრულიად სხვაგვარი შთაბეჭდილების შექმნას ცდილობენ, ცდილობენ შეფარვით, მიკიბულ-მოკიბულად, მაგრამ მაინც ცდილობენ. დავაკვირდეთ მათ მიერ დასმულ კითხვას „მართლაც გასაოცარი და ცალკე კვლევის საგანია, თუ სად არის სათავე სამეგრელოს მიმართ, თუნდაც ცალკეულ ადამიანთა, თუნდაც მხოლოდ და მხოლოდ ნაძირალათა ამგვარი დამოკიდებულებისა" („პათოლოგიური სიძულვილისა" — ა. ო.)? ამ კითხვის ნამდვილი აზრი, თუ მას მიუკიბავ-მოუკიბავად დავსვამთ, ასეთია: მარტო ცალკეული პიროვნებები და ნაძირალები არიან სამეგრელოს მოძულე, თუ ეს სიძულვილი მთელი ქართველი ხალხის განწყობილების ასახვაა? ამ კითხვის ავტორთა პასუხი ასეთია: „ჩანს, ამ კითხვაზე ძნელია პასუხის გაცემა... სამეგრელოში ამ კითხვაზე რაიმე საფუძვლიანი და არგუმენტირებული პასუხი ვერ უპოვიათ". თვით ავტორები კი უცერემონიოდ დასძენენ: „არც კახეთში... არც რომელიმე სხვა კუთხეში არ უგინებიათ ვინმე თავისი ქართლელობის, იმერლობის, ან რაჭველობის გამო, გარდა სამეგრელოსი და მეგრელისა". ყოველივე ეს იმის მტკიცებას ნიშნავს, რომ ქართველ ხალხს ათვალწუნებული ჰყავს თავისი ღვიძლი ნაწილი, თავისი სისხლი და ხორცი (ღმერთო, შენ გვიშველე!). ასეთი კოშმარული ბრალდების წამოყენებას თვით პირწავარდნილი ქართველთმოძულენიც კი ვერ ბედავენ.

ბ) სტატიაში ვკითხულობთ: „1993 წ. მაისში... „მხედრიონის" წევრებს გმირის საპატიო წოდება მიენიჭათ (??), ხოლო სახელმწიფოს მეთაური საჯაროდ გახდა „მხედრიონის" საპატიო წევრი... ეს არ შეიძლება იყოს შემთხვევითი, რადგანაც ხელისუფლების სასწორზე ძალიან მძიმე და ძვირფასი ტვირთი იდო (იგულისხმება სამეგრელო — ა. ო.), მისი გადაწონა კი მხოლოდ ყველაფერზე ნებამიცემულ ძალას შეეძლო. ჯარისკაცები, როგორც ცნობილია, გადაწყვეტილებას არ იღებენ, ისინი მხოლოდ იბრძვიან". გარდა იმისა, რომ სტატიის ავტორები უტიფრად სდებენ ბრალს ედუარდ შევარდნაძეს, ისე იქცევიან, თითქოს სამეგრელოს რბევა-აწიოკების მომწყობი ძალები ახლაც ხელისუფლებაში იყვნენ მოკალათებული — საქართველოს პრეზიდენტის გვერდით (ჭურში ხომ არ სხედხართ, ბატონებო!). ვინ, ვინ და ვალერი კვარაცხელიამ მაინც კარგად უნდა იცოდეს, რომ ამ ძალების ალაგმვის არავითარი შესაძლებლობა მაშინ სახელმწიფოს მეთაურს არ გააჩნდა, პრესაშიც კი გამოქვეყნდა იმხანად უზარმაზარი წერილი სათაურით „უუფლებო ხელისუფალი". არაფერი ეს თქვენ არ იცით, ბატონებო?!

შევხედოთ ახლა მოვლენებს პირდაპირ თვალებში, ვიმსჯელოთ ეჭვმიუტანელი ფაქტების მიხედვით (არავითარი მოწმე ამას არ სჭირდება!) და დავსვათ კითხვა: რატომ გადაწყვიტა (უფრო ზუსტად — რატომ გარისკა) ედუარდ შევარდნაძემ იმ ხანებში ყალყზე შემდგარ სამეგრელოში გამგზავრება? განა შეიძლება იმისი დაშვება, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიელო კაცს, რომელსაც მცირეოდენი ბრალი მაინც მიუძღვის ამ მხარის აწიოკებაში? ბრმა უნდა იყოს კაცი, ან პროვოკატორი, ვერ დაინახოს, რომ ეს იყო უდიდესი პასუხისმგებლობისა და უდიდესი ტკივილის შედეგი; პასუხისმგებლობისა და ტკივილისა იმის გამო, რომ სახელმწიფოს მეთაურმა ვერ შეძლო მოთარეშე ბანდების შეჩერება.

პირველი მოგზაურობა, როგორც ცნობილია, წარუმატებელი აღმოჩნდა — სახელმწიფოს მეთაური იმედგაცრუებული (და, რამდენადაც ვიცი, საკმაოდ შეურაცხყოფილი) დაბრუნდა სამეგრელოდან. და მაინც, სამეგრელოს მოსახლეობის მისამართით მას ერთი სასაყვედურო სიტყვაც არ დასცდენია.

მეორე მოგზაურობა კი სამეგრელოში, როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, წარმატებით დასრულდა; წარმატებით დასრულდა იმიტომ, რომ სამეგრელოს ბრძენმა და ქართული სულით გაჟღენთილმა მოსახლეობამ ამჯერად სწორად გაიგო სახელმწიფოს მეთაურის განწყობილება. სამწუხაროდ, ეს განწყობილება ვერ გაიგეთ (ან — არ გაიგეთ) მხოლოდ თქვენ, ბატონო ავტორებო! თუ თქვენ მართლა სამეგრელოს ბედი გაწუხებთ და ედუარდ შევარდნაძე სამეგრელოს აწიოკების მონაწილე გგონიათ, მაშინ როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ თქვენი ერთ-ერთი წარმომადგენელი (ვალერი კვარაცხელია) სწორედ იმ ხანებში ასხამდა ხოტბას თავგამოდებით მის ყოველ ნაბიჯს?! ახლა რომ „გაილეიძეთ", სად იყავით მაშინ, როდესაც სამეგრელოს აწიოკებდნენ? რატომ მაშინ არ აღიმაღლეთ ხმა ამწიოკებელთა წინააღმდეგ? ახლა ძალიან გვიან ხომ არ არის? ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევა, მოგეხსენებათ, ვერაფერი ვაჟკაცობაა!

გ) ჭორებისა და ანეკდოტების საფუძველზე ცდილობენ ავტორები სამეგრელოსადმი „პათოლოგიური სიძულვილის" ილუზიის შექმნას — შემზარავ ბრალდებებს ურიგებენ არა კონკრეტულ პიროვნებებს, არამედ ვილაც „ვაიმოღვაწეებს", „ვილაც ინტელიგენტუნებს", ყოველგვარი მისამართის გარეშე. დასახელებულია ორად-ორი პიროვნება (პროფ. რევაზ ბარამიძე და განსვენებული თემურ ფიფია). რა ვიფიქროთ, ბატონებო, ამ ორმა უწყინარმა პიროვნებამ დაანგრია ქვეყანა? სასაცილოა!

ავტორები თავდავიწყებით ცდილობენ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების სახელის გატეხას. ყოფილი ხელისუფლების წამდაუწუმ „კანონიერ ხელისუფლებად", „ეროვნულ ხელისუფლებად" გამოცხადებით შეფარვით ცდილობენ შექმნან შთაბეჭდილება ახლანდელი ხელისუფლების არაკანონიერებისა და არაეროვნულობის შესახებ. პირდაპირ ვიტყვი: შემზარავი უმეცრებაა იმისი არცოდნა, რომ ხელისუფლება (თუნდაც კანონიერი) მას შემდეგ, რაც ხალხი მის ნაცვლად ახალ ხელისუფლებას აირჩევს, აღარ არის ხელისუფლება — არც კანონიერი და აღარც უკანონო. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ყოფილ ხელისუფლებას ქვეყნის სათავეში ყოფნის ვადა აღარ გაუვიდა, ბოლოს და ბოლოს?! უვადოდ ხომ არ იყო არჩეული?

დარწმუნებული ვარ, პირდაპირ ავტორებიც კი ვერ გაბედავენ იმის თქმას (მიუხედავად დიდი სურვილისა), რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება, რომელიც, აგრეთვე, ხალხის მიერ არის არჩეული, არ არის კანონიერი ხელისუფლება. და მაშინ, როგორ შეიძლება ერთ ქვეყანაში ერთსა და იმავე დროს ორი კანონიერი ხელისუფლების შესახებ საუბარი?! ერთი მათგანი მართლა იყო კანონიერი ხელისუფლება, მაგრამ იყო წარსულში, მეორეც არის კანონიერი ხელისუფლება, მაგრამ არის ამჟამად. პარადოქსია, რომ ასეთ ტრივიალურ საკითხებზე მსჯელობა მეოცე საუკუნის მიწურულს გახდა საჭირო!

რაც შეეხება ხელისუფლების ეროვნულობას, მკერდზე ხელის ბაგუნით იგი მხოლოდ ფანატიკოსთა ბრბოში განიზომება.

სტატიის ავტორები ჩივიან, რომ სამეგრელოს მოსახლეობას ვილაც სეპარატიზმში სდებს ბრალს, თუმცა ვერც ერთი ამისი დამადასტურებელი ხელშესახები კონკრეტული ფაქტი, ან კონკრეტული პიროვნება ვერ დაასახელეს; ვერ დაასახალეს, როგორც ჩანს, ქართველი ხალხის მიგნით სეპარატიზმის, ერის დამანგრეველი ამ საშინელი სენის არარსებობის გამო. მაგრამ, თუ რომელიმე კუთხის მიმართ ასეთი უგუნური ბრალდების წამოყენება მაინც ხდება, მას პირდაპირი და დაუნდობელი ბრძოლა სჭირდება და არა ჭორაობა და უმისამართო კბილთა ღრჭენა.

მოსალოდნელი იყო, საქართველოში ხელშესახებად არც კუთხურობის სახიფათო სენი არსებულიყო: კუთხურობისა, რომელიც უნებლიე ჩამორჩენილობისა და არაეროვნულობის სამარცხვინო გამოვლინებაა. მაგრამ ამ იმედს ცივი წყალი გადაასხა განსახილველმა სტატიამ, რომელიც თვითონ არის კუთხურობის სამწუხარო ნიმუში

მაგრამ აქ კითხვა შეიძლება სხვაგვარადაც დაისვას: რადგანაც კუთხურობის ასეთ მახინჯ გამოვლინებებს ვერ ვადასტურებთ ვერც ქართლში, ვერც კახეთში, ვერც აჭარაში, ვერც იმერეთში, ვერც გურიაში, ვერც სამეგრელოში და ვერც საქართველოს რომელიმე სხვა კუთხეში, ამიტომ ხომ არ არის ის თბილისელ პოლიტიკანთა ქუჩების მოპოვების ქინით დაბრმავების შედეგი?! ქუჩებს ამ გზით თქვენ, ბატონებო, საქართველოს ვერც ერთ კუთხეში ვერ მოიპოვებთ, სწორედ პირიქით: თუ რაიმე გაგაჩნიათ, იმასაც პირწმინდად დაკარგავთ!

ახლა სტატიის სათაურს დავაკვირდეთ — „დავიწყებას არ ექვემდებარება"! ჩიქორთულს რომ თავი დავანებოთ, აქ ის აზრია გატარებული, რომ სამეგრელოსადმი ქართველი ხალხის დამოკიდებულებისა და ბოლო წლებში მომხდარი ტრაგედიის დავიწყება და, მაშასადამე, მისი პატიება შეუძლებელია, რაც, თავისთავად, იმასაც ნიშნავს, რომ სამეგრელოსა და დანარჩენი საქართველოს შერიგება შეუძლებელია (ყოველ შემთხვევაში — ახლო მომავალში). ეს აზრი, კიდევ უფრო კატეგორიულად, სტატიაშიც არაერთგზის არის გამეორებული. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ერთმანეთზე წასისიანებისა და გადამტერების დანაშაულებრივი მცდელობა (ნებსით თუ უნებლიეთ!).

ისეთ სავალალო შემთხვევათა ნიმუშები, როგორიც სამეგრელოს ტრაგედიაა, ისტორიაში საძებარი არ არის. ხდება, სამწუხაროდ, ასეთი აბრუნდები. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ბაზალეთის 1626 წლის ძმათამკვლელი ომი და ამ ომით გამოწვეული უბედურება. ნამდვილად ეროვნული და ნამდვილად პატრიოტული არის მხოლოდ ის ძალა, რომელიც წყენის დავიწყებას, მხარეთა მიუკერძოებლად შერიგებასა და ეროვნული მთლიანობის აღდგენას ცდილობს. სამაგიეროდ, ანტიეროვნულია ყოველი ძალა, რომელიც რომელიმე მხარესთან მიკედლებისა და მხარეთა წაქეზება-წასისიანების გზით წყენის დავიწყებას, შერიგებასა და ეროვნული მთლიანობის აღდგენას უშლის ხელს.

ცნობილია, რომ ხანდახან ღვიძლი ძმებიც კი სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაეკიდებიან ერთმანეთს, რასაც საბოლოოდ, როგორც წესი, წყენის დავიწყება და შერიგება მოჰყვება. რუსები და გერმანელები შერიგდნენ, ბოლოს და ბოლოს, რომელთაც ოთხი წელი ხოცეს ერთმანეთი შეუბრალებლად. ჩვენ კი ამ დროს ისტერიულად გავყვირით, ქართველებს შორის წყენა „დავიწყებას არ ექვემდებარებაო!" სირცხვილია!

ბოლოს კი სტატიის ავტორთა გასაგონად უნდა ითქვას შემდეგი: თუ თქვენ ოდნავ მაინც გაღელვებთ ერისა და ქვეყნის ბედი, ვალდებული ხართ თქვენი უმსგავსო პასკვილის გამო საქვეყნოდ მოიხადოთ ბოდიში ჯერ სამეგრელოსა და შემდეგ, მთელი საქართველოს წინაშე!

ალექსანდრე ონიანი.



მეოთხე მატჩის ბოლოსწინა წამზე „ნიუ-იორკისა" და „მაიამის" კალათბურთელებს მოთმინების ძაფი გაუწყდათ და ერთმანეთს დასცხეს. „ნიუ-იორკის" მწვრთნელმა ჯეფი ვან განდიმ გადაწყვიტა, „ტაიმაუტი" აეღო და ერთ-ერთი მოჩხუბრის ფეხებთან ჩაიმუხლა...

## აკმოლინსკი – ცელინოგრადი – აკმოლა: ბოლო გაჩერება – ასტანა

ნურსულთან ნაზარბაევმა თავისი ბრძანებულებით გადაარქვა სახელი სახელმწიფოს დედაქალაქ აკმოლას. ამიერიდან ყაზახეთის მთავარ ქალაქს ეწოდება „ასტანა" ანუ „სატახტო". თავისი არსებობის მცირე ხნის მანძილზე სტეპში გაშენებულ დედაქალაქს უკვე მეოთხედ ეწოდა ახალი სახელი. საუკუნის დამდეგს ეს იყო აკმოლინსკი. 60-იანი წლების დასაწყისში ნიკიტა ხრუშჩოვმა მას ყამირის ათვისებასთან დაკავშირებით ცელინოგრადი დაარქვა და უკვე მაშინ აპირებდა აქ ყაზახეთის დედაქალაქის გადატანას. 90-იანი წლების დამდეგს ქალაქს აკმოლა ეწოდა. მაგრამ არც ეს სახელი შერჩა დიდხანს. პრეზიდენტი ნაზარბაევი სახელის გადარქმევას ხსნის სახელმწიფო ონომასტიკური კომისიის აზრით, რომელსაც მიაჩნია, რომ „ასტანა" უფრო კეთილხმოვანია ვიდრე „აკმოლა". წინანდელი სახელწოდების გამო აქ ცხარე დავა იყო ატეხილი. საქმე ის არის, რომ „აკმოლა" სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „თეთრ სამარეს". ყაზახეთის დედაქალაქს ახალი სახელი მიეკუთვნა ცოტა ხნით ადრე პრეზენტაციამდე, რომელიც 10 ივნისს არის დანიშნული.

## სერბები სეპარატისტებს თვითონ მოუვლიან?

იუგოსლავია კატეგორიულ უარს ამბობს უცხოელ შუამავალთა მონაწილეობაზე კოსოვოს კონფლიქტის მოგვარებაში, იუწყება როიტერის სააგენტო. საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა განაცხადა: „დაუშვებელია, რომ უცხოეთის წარმომადგენლები ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებს წყვეტდნენო". მან უარი თქვა, დაედასტურებინა ინფორმაცია იმის შესახებ, ჩადიან თუ არა ბელგრადში ამერიკის დესპანი ბალკანეთში რობერტ გელბერდი და ყოფილი შუამავალი ბოსნიის მოლაპარაკებაში რიჩარდ ჰოლბრუკი. ბელგრადის გაზეთები, რომლებიც სანდო წყაროებს იმოწმებენ, წერენ, რომ იუგოსლავიის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი მზად არის, შუამავლად ცნოს ესპანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ფელიპე გონზალესი. იუგოსლავიის საგარეო უწყების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ გონზალესი ნამდვილად ჩადის ბელგრადში, ოღონდ — იუგოსლავიისა და ეუთოს ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის.

## შინძორებს გაუჭირდათ

იახტა „ბრიტანეთმა" დაასრულა ნაოსნობა, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. 44 წლის წინათ აშენებულმა გემმა, რომელიც ინგლისის სამხრეთი სანაპიროს პორტსმუტის ნავსადგურიდან გავიდა, გამოსათხოვარი ხუთდღიანი რეისი დაამთავრა მოტლანდიის ქალაქ ედინბურგის ნავსადგურში. ეს მდიდრული გემი ერთ დროს დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ მეორისა და მისი ოჯახის წევრების განკარგულებაში იყო. 1981 წელს პრინცმა ჩარლზმა და პრინცესა დაიანამ ამ იახტაზე თაფლობის თვე გაატარეს. დღეს კი ელისაბედ მეორემ მიიჩნია, რომ ხელმწიფის ოჯახს აღარ ხელეწიფება „ბრიტანეთის" შენახვა, და ამიტომ გადაწყვიტა, უარი ეთქვა მის ექსპლუატაციაზე, რაც ძალზე ძვირი უჯდება. ახლა იახტა, რომლის ღირებულება ათეულ მილიონობით დოლარს შეადგენს, მიიპყრობს ტურისტთა და ადგილობრივ მცხოვრებთა ყურადღებას და შეახსენებს მათ ბრიტანეთის მონარქიის გარდასულ სიდიადეს, დასძენს სააგენტო.

## ჰოკეი საზღვრებს გარეშე



ასეთი „ფორმა" დაუპირისპირეს გერმანელმა ფანატებმა საგარეო კოსტიუმებში გამოწკეპილ მინსკელ გულშემატკივრებს ციურიხში, გფრ-ბელორუსიის ჰოკეისტთა შეხვედრაზე.

## საროსკიპოების ნაცვლად — ოფისები

ვაშინგტონში ოფიციალურად გაიხსნა საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის შენობა, რომელშიც შედის სამთავრობო დაწესებულებათა ბლოკი. კომპლექსს რონალდ რეიგანის სახელი მიენიჭა. ეს არის ამერიკის დედაქალაქის სიდიდით მეორე შენობა, რომელიც ზომით მხოლოდ პენტაგონს ჩამორჩება. კომპლექსი აშენდა პენსილვანია-ავენიუზე, თეთრი სახლის მახლობლად, სწორედ იმ ადგილას, სადაც, გაზეთების ცნობით, ასი წლის წინათ ორმოცდაათზე მეტი სამიკიტნო და 109 საროსკიპო იყო. მდიდრულად გაფორმებული შენობის ოფისებში შვიდი ათასი კაცი იმუშავებს.

## რაც უფრო ლამაზი ხარ, მით მეტი ფული გაქვს?



*ბრიტანეთის ჟურნალის „Business Age"-ს მიერ შედგენილი ყოველწლიური უმდიდრესი მოდელების კლასიფიკაციის მიხედვით, დღეს ყველაზე მეტად ფასობს ელი მაკფერსონის სილამაზე. ამ ავსტრიელმა მოდელმა უკვე 37 მილიონი დოლარი იშოვა. ყველაზე პერსპექტიულად ითვლება ფრანგი ქალიშვილის ლეტიცია კასტას სილამაზე, რომელმაც 18 წლის ასაკში 5 მილიონი გამოიმუშავა.*

## ბენზინის მაფიას ეხაზება?

ევროპის ექვსი უდიდესი ქალაქის — ათენის, ფლორენციის, ბარსელონის, ლისაბონის, სტოკჰოლმისა და ოქსფორდის მერებმა, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნების ტრანსპორტისა და გარემოს მინისტრების ჩესტერის (ბრიტანეთი) შეხვედრაში მონაწილეობდნენ, შეათანხმეს ფრიად ამბიციური პროექტი. მათ დათქვეს, რომ ეკოლოგიურად ხალასი ტრანსპორტის განვითარების ინტერესებისათვის თავიანთ ქალაქებში დააწესებენ ჩვეულებრივი ავტომობილებისათვის დახურულ ზონებს, ვინაიდან მანქანების გამონაფრქვევი აბინძურებს ატმოსფეროს. მერებმა გამოთქვეს იმედი, რომ მათ ინიციატივას შეუერთდებიან ევროკავშირის უმრავლესი ქვეყნების ქალაქისთავები. გამოცხადდა, რომ „სპეცზონების" შექმნის იდეებს მთლიანად იზიარებენ ჰამბურგი, ვენა და ლიონი. მერების გეგმის მორალური მხარდაჭერის დემონსტრირება გადაწყვიტა შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად საგანგებოდ ჩამოსულმა ბრიტანეთის ვიცე-პრემიერმა ჯონ პრესკოტმა. ეკოლოგიურად ხალასძრავიანი ავტომობილების გამოფენის დათვალიერების შემდეგ მან განიზრახა, გაესეირნა მზისბატარეებიანი „ჰონდათი". მაგრამ საჭე ვერ დაიმორჩილა და შეასკდა ახალი მოდელის ასევე „წმინდაძრავიანი" ტაქსის ბამპერს.

## ცხვირის დაცემინებისას პირი უნდა მომუწო!

ჰორჰის მტატის ტურმონდის ტბაზე თევზაობა ნავსი გამოდგა 70 წლის ჯეიმს ვერდერისათვის, წერს ამერიკის გაზეთი „ю-ეს-ეი-თუდეი". ვერდერმა, რომელსაც მეგობრებში პირველი მეთევზის სახელი აქვს მოხვეჭილი, ამჯერად თვითონ მიუყენა წყალი საკუთარ რეპუტაციას. ანკესის მორიგი მოქნევისას მეთევზემ ცხვირი დააცემინა, თან ისე მაგრა, რომ ნავის ბორტს მიღმა აღმოჩნდა მისი კბილის პროთეზები, რომლებშიც სულ ცოტა ხნის წინათ გადაუხადა ადგილობრივ დანტისტს 300 დოლარი. გულმოკლულმა მოხუცმა მაშველებს მიმართა. მყვინთავებმა თვალის დახამხამებაში უპოვეს პროთეზი. ერთმა მათგანმა ამას ნამდვილი სასწაული უწოდა და თქვა, ჩაძირული ავტომობილის ძებნაზეც კი გაცილებით მეტი დრო დაგვეჭირდებოდაო. თვით ვერდერმა მომხდარი ამბავი ახსნა ალერგიის უეცარი შემოტევით, რომელმაც აიძულა, ცხვირი ასე მაგრა დაეცემინებინა.

## მტრისას, თუ ელ-არენალმა გაიღვიძა!

კოსტა-რიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, გახიზნოს ელ-არენალის ვულკანის ძირას მდებარე რაიონების მოსახლეობა, წერს ამერიკული გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი". ვულკანი, რომლის მწვერვალი სამი ათას მეტრ სიმაღლეზეა, თანდათან ილვიძებს. ამის დასტურია ამასწინანდელი ლავის ამოტყორცნა, რასაც თან სდევდა ოხშივრისა და კვამლის ვეება სვეტები. ვულკანი ნამდვილი მექა გახდა მთელი მსოფლიოს ტურისტებისათვის. აქ ყოველწლიურად ჩამოდის ასიათასობით მოგზაური, რათა დატკბნენ თვალწარმტაცი სანახებით და გაიარონ მკურნალობის კურსი ცხელ სასწაულებრივ წყაროებში. ელ-არენალის უკანასკნელი ამოფრქვევა მოხდა 1993 წელს, თუმცა, მაშინ იგი სუსტი იყო და სერიოზული შედეგები არ მოჰყოლია. მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებთ დღესაც კოშმარივით ახსოვთ 1968 წელი. მაშინ ვულკანის ბობოქრობამ ასზე მეტი კაცის სიცოცხლე შეიწირა და ათასი ოჯახი უსახლკაროდ დატოვა.




*ყოფილ იუგოსლავიაში სერბეთის პოლიციამ ცეცხლი დაუშინა ალბანელთა სახლებს. ეს სურათი სოფელ ტურიჩევაჩში გადაღებული. „მადონა ყრმით", რომელსაც ნატყვიარი სარკმლის მიღმა ხედავთ, გადარჩა...*

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას" მასალების მიხედვით

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

### — ფეხბურთი —

## ცხრაგზის!

გუშინ საქართველოს სტადიონებზე გაიმართა ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის გამოტოვებული შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს:

**მორკინალი** (თბილისი) – **გურია** (ლანჩხუთი) 1:0;

**ტორპედო** (ქუთაისი) – **„ბათუმი"** 1:0;

**მაღაროელი** (ჭიათურა) – **გორდა** (რუსთავი) 1:3;

**ოდიში** (ზუგდიდი) – **დინამო** (თბილისი) 1:5.

ამ მოგებით დინამოელებმა ზედიზედ მეცხრედ მოიპოვეს ჩემპიონობა.

### — წყალბურთი —

## ჩინებული სტარტი

საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ეროვნული ნაკრები სლოვენიაში იმყოფება და ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში მონაწილეობს. ქართველმა სპორტსმენებმა წარმატებით აიღეს სტარტი. შეჯიბრების პირველ დღეს ჩეხები დაამარცხეს 11:9, შემდეგ შვეიცარიელებს სძლიეს – 7:6, გუშინ გვიან ღამით ქვეჯგუფის ბოლო შეხვედრა პოლონელებთან ჰქონდათ. ჩვენს წყალბურთელებს მეორე ეტაპზე გასვლის ჩინებული შანსი აქვთ.

### — ხელბურთი —

## ჩემპიონი არ შეცვლილა

წლეულსაც 6 ეტაპად გაიმართა საქართველოს VIII ეროვნული ჩემპიონატი ხელბურთში უმაღლესი ლიგის ოსტატ ვაჟთა გუნდებს შორის. ამჯერად საპრიზო ადგილებზე ჩვენი ქვეყნის 7 გუნდი აცხადებდა პრეტენზიას. ბოლო, მეექვსე ტურის კალენდარული მატჩები თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში გაიმართა. საქართველოს 1998 წლის ჩემპიონის ტიტული ზედიზედ მერვედ დაისაკუთრა „სტუ–შევარდენის" ვაჟთა გუნდმა, რომელსაც ზაზა დოლიძე უდგას სათავეში. მეორე ადგილზე გავიდნენ თბილისის „მამულის" ხელბურთელები, ხოლო მესამეზე „სტუ შევარდენის" მეორე გუნდი გავიდა. მეოთხე ადგილი დაიკავეს თელავის „ავიატორის" მფრინავებმა. როგორც საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **მერაბ მეტრეველმა** განაცხადა, სექტემბერში მოეწყობა ევროთასების წილისყრა. ჩემპიონთა ლიგაში „სტუ-შევარდენის" პირველი გუნდი გამოვა, დანარჩენი პრიზიორები და მეოთხე ადგილზე გასული თელაველ მფრინავთა კლუბი დანარჩენ ევროპულ ტურნირებში მიიღებენ მონაწილეობას. ახლა ჩვენი უძლიერესი გუნდები ცოტას შეისვენებენ, ხოლო შემდეგ ევროთასების პირველი მატჩებისათვის ინტენსიურ მზადებას შეუდგებიან.

შოთა ბოკერია.

### — ჭადრაკი —

## რუბიკონი გადალახეს

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება 10 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელიც შვეიცარიული სისტემით – 9 ტურად იმართება. შეჯიბრების მონაწილეებმა გუშინ მე-5 ტურის პარტიები ითამაშეს. განსაკუთრებულ ინტერესს ლიდერთა შეხვედრები იწვევდა. გოგონათა შორის დაწინაურებულმა გურჯაანელმა მაკა ფურცელაძემ შავი ფიგურებით ვერაფერი გააწყო ლანჩხუთელ ქრისტინე მჟავიასთან და ტურნირზე პირველი მარცხი იწვნია ზედიზედ ოთხი გამარჯვების შემდეგ. გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცა მჟავია, რომელსაც 4,5 ქულა აქვს. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ფურცელაძესთან ერთად ნინო კიკილაძე, ეკა მხეიძე, ნინო აღეიშვილი, თეონა მესხი, ბელა ხოტენაშვილი, თინათინ ბერიძე და თეონა ლერჭმალ[...]

ვაჟებში ხუთი ტურის [...] მდეგ უდანაკარგოდ ლი[...] რობს სამტრედიელი და[...] ჯოჯუა. გუშინ მან სძლ[...] დავით ბარამიძეს, რომ[...] ლიც 4 ქულით III-VIII [...] გილებს იყოფს. 4,5 ქულ[...] მეორე ადგილზე გადაინ[...] ცვლა სანდრო ცქიტიშვილ[...] მას შემდეგ, რაც მაგი [...] გურებით ვლადიმერ შ[...] ჯიაშვილი დაამარცხა.

დღეს მეექვსე ტურია.

ეკა გესტავაშვილ[...]

## სანუკვარი 5,5 ქულა

ვლადიმერ კრამნიკი და ალექსეი შიროვი ერთმანეთს მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტობისთვის შეერკინებიან, გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც პირველი დააგროვებს 5,5 ქულას. საყაიმო შედეგის შემთხვევაში მოჭადრაკეებს ორი 25-წუთიანი პარტიის ჩატარება მოუწევთ. თუ კვლავ ყაიმი დაფიქსირდება, მაშინ კიდევ ორი 25-წუთიანი პარტია გათამაშდება. ხოლო თუ გამარჯვებული არც ამჯერად გამოვლინდება, იმ შემთხვევაში მეტოქეები ჩქარ ჭადრაკს ითამაშებენ. თანაც თეთრი ფიგურებით მოთამაშეს ხუთი წუთი მიეცემა, ხოლო შავებით მოთამაშეს – ოთხი წუთი. გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც პარტიას თეთრი ფიგურებით მოიგებს. ფიგურების ფერი კენჭისყრის შედეგად გაირკვევა.

წესით, ალექსეი შიროვი ინდოელ ვიშვანათან ანანდს უნდა შეხვედროდა, რადგან ლინარესში მიმდინარე დიდ საერთაშორისო ტურნირზე სწორედ მათ დაიკავეს პირველი-მეორე ადგილები, მაგრამ ინდოელმა დიდოსტატმა უარი განაცხადა მატჩში მონაწ[...] ობაზე, რადგან [...] კონტრაქტი გააფორმა [...] დესთან, რომლის თანახმ[...] მას არ შეუძლია ასპარე[...] ბა იმ მსოფლიო ჩემპიონ[...] ტებში, რომლებსაც სხვა [...] ჭადრაკო ორგანიზაცი[...] აწყობენ. ანანდის თქმ[...] ამ კონტრაქტის იურიდ[...] ლი მხარის გაპროტესტ[...] თავისუფლად შეიძლება, [...] გრამ ამას არ აპირებს, [...] დგან ინდოელი მოჭადრ[...] კე სიტყვის კაცია და მას [...] გადავა.

(„ვე[...]

### — ყოველი მხრიდან —

## მსოფლიო თასი ფულს უკვე იხვეჭს

წლეულს ევროპაში სარეკლამო ხარჯები 5,8 პროცენტით უნდა გაიზარდოს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის გამო – ამას ადასტურებს ფრანგული ჯგუფის Havas მიერ მოწყობილი გამოკვლევა.

„მსოფლიო თასი 1,2 მილიარდ დოლარს მოგვიტანს, საიდანაც 35 პროცენტს სპონსორები გაიღებენ, 35 პროცენტი რეკლამაზე მოდის და 30 პროცენტი კი გამომუშავდება ფეხბურთთან დაკავშირებული ყველანაირი ღონისძიებებით", – პრესკონფერენციაზე განაცხადა Havas სამსახურის დირექტორმა ალბინა პედროიამ.

## საფიცროებას თავიდან აიცილებენ?

მოულოდნელი პრობლემა წამოიჭრა ჩემპიონთა ლიგის ფინალურ შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე: ჩაშლის პირამდე მივიდა მადრიდის „რეალისა" და ტურინის „იუვენტუსის" შეხვედრა. ის ოთხშაბათს უნდა გაიმართოს ამსტერდამში. იმასაც კი ფიქრობენ, მატჩი სხვა ქალაქში ხომ არ გადაიტანონ.

ყველაფერი კი იმან გამოიწვია, რომ ჰოლანდიის კანონმდებლობით დადგენილია „ხმაურის ლიმიტი", რაც თავისებურად კრძალავს დედაქალაქის აეროპორტში „სკიფოლში" ერთდროულად ბევრი თვითმფრინავის დაჯდომას.

პოლანდიის ფეხბურთის ასოციაციის მონაცემებით კი, ოთხშაბათს, 20 მაისს, ამსტერდამში ჩარტერული რეისით უნდა ჩაფრინდეს თითქმის 160 თვითმფრინავი და ჩაიყვანოს 30 ათასი იტალიელი და ესპანელი გულშემატკივარი. საქმეს ისიც ართულებს, რომ სწორედ 20 მაისისათვისაა დანიშნული რკინიგზელთა ეროვნული გაფიცვა – ეს კი ნიშნავს, რომ აეროდრომებიდან გულშემატკივრების ქალაქში ჩამოსვლა ძალზე გაუძნელდებათ.




ეს რომ შეიტყო, **უეფამ** სთხოვა ნიდერლანდების ტრანსპორტის სამინისტროს, ამხელა საერთაშორისო მატჩის გამო თვალი დაეხუჭა „ხმაურიან ლიმიტზე", მაგრამ ჩინოვნიკებმა ამაზე უარი განაცხადეს: „სამინისტროს ამის გაკეთების უფლება არა აქვს, ვინაიდან ეს პოლიტიკური საკითხია". ქალაქის მერმა სკე[...] პატიინმა კი დაამატა: „ჩვენ [...] გვინდა, რომ ათიათასობით [...] ნატიკოსი მთელ ღამეს, [...] ტჩის შემდეგ, ჩვენს ქუჩებ[...] დაეხეტებოდეს".

ორივე გუნდის ხელმძღვან[...] ლობამ ისიც კი მოითხოვა, რ[...] გამართულიყო ორი მატჩი [...] ტურინსა და მადრიდში, მაგრ[...] **უეფამ** სასწრაფოდ უარყო [...] ვარიანტი და ჰოლანდიის ფ[...] ხბურთის ასოციაციას წაუ[...] ნა ულტიმატუმი: ოთხშაბათ[...] მდე მოაგვაროს საჰაერო ტრ[...] ნსპორტის პრობლემა.

როგორც ცნობილი გახდ[...] ნიდერლანდების მთავრობა დ[...] თმობაზე წავიდა – „ხმაურ[...] ლიმიტი" მოხსნა.

*სურათზე: ამსტერდამის აერ[...] პორტი საგანგაშო მოლოდ[...]*

### — ათლეტიზმი —

## ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად



**სოსო ხარაბაძის ერთი სავარჯიშო კვირა**

ვთავაზობთ რამდენიმე ვარჯიშს, ევროპის 1995 წლის ჩემპიონის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის სოსო ხარაბაძის შესრულებით. დღეს წარმოგიდგენთ ჩაჯდომისა და ამოწევის დამხმარე ვარჯიშებს.

II დღე – სამშაბათი

(დასაწყისი – იხილეთ „საქართველოს რესპუბლიკა" № 92 18. V. 1998).

**ჩაჯდომის დამხმარე ვარჯიშები:**

I. ნახევარჩაჯდომები (სურ. 1,2). სრულდება დიდი წონებით.

ათლეტი ჯდება ჩაჯდომისათვის მიღებული ბლვრული სიღრმის ნახევარზე. 4 მისვლა, თითოეული 8 გამეორებით.

II. არასრული ჩაჯდომები (სურ. 3,4) სრულდება პირველთან შედარებით ნაკლები წონებით. ამ შემთხვევაში ათლეტი ჯდება არაჯდომისათვის მიღებული ბლვრული სიღრმის 3/4-ზე, 4 მისვლა თითოეულში 8 გამეორებით.

**ამოწევის დამხმარე ვარჯიშები:**

III. ამოწევები გამართული ფეხებით, ამაღლებული ფიცარნაგიდან (სურ. 5,6) ამ მოძრაობისას ათლეტი მტანგას ეწევა მხოლოდ წელისა და ზურგის ძალით. მოძრაობას იწყებს ღრმა სტარტიდან; ვარჯიში სრულდება კლასიკურთან შედარებით ნაკლები წონებით. 5 მისვლა, თითოეულში 6 გამეორებით.

IV. ზურგის უგანიერესი კუნთების ვარჯიში (სურ. 7,8), ათლეტი მტანგას იღებს შებრუნებული ტაცით, და მიაქვს მუცელთან. ამ დროს სერიოზულად იტვირთება ტრაპეციისებრი კუნთებიც. 4 მისვლა, თითოეულში 10 გამეორებით.

V. ტრაპეციისებრი კუნთების ვარჯიში (სურ. 9).

ათლეტი მტანგას იღებს ჩვეულებრივი ტაცით და მიაქვს მუცელთან. ამ ვარჯიშისას იტვირთება ზურგის უგანიერესი კუნთებიც. 4 მისვლა, 10 გამეორებით.

I ვარჯიშს სოსო ხარაბაძე ასრულებს 320-360 კგ წონის მტანგით; II ვარჯიშს – 300-320 კგ; III ვარჯიშს – 240-260 კგ; IV ვარჯიშს 280-310 კგ; V – ვარჯიშს 310-350 კგ-ით.

**ზურაბ ჭავჭანიძე,**
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, პროფესორი.

*თელო ნიკოლაიშვილის ფოტო.*




























უძღვება ანზორ ბასილაია.

თეატრალური გაზეთი

# სახიობა

„საქართველოს რესპუბლიკის" ყოველთვიური დამატება

№5 (17)


...დიდია, განუზომელია მნიშვნელობა თეატრისა ყველა ერისათვის. კულტურა თეატრისა უმაღლესი კულტურაა ერისა. იგი ხარობს, ფრთებს ისხამს მასთან ერთად და ეცემა, კვდება ერის სიკვდილთან ერთად.

სანდრო ახმეტელი.

## ჩეხოვის ფესტივალი

. როგორც ამბობენ, ყველაფერი თავის წრეს უბრუნდება. ასეთია ბუნების კანონი. ამჯერადაც ასე მოხდა. მარჯანიშვილმა თავისი საგასტროლო მცირე ტურნე მოსკოვში პუშკინის სახელობის თეატრში გამართა. ალექსანდრე ტაიროვი... მარჯანიშვილი... „თავისუფალი თეატრი" და მარად მომხიბვლელი ალისა კოონენი... შემდეგ „კამერული თეატრი", ტრაგიკული აღსასრული.

დღეს კი ბედნიერი დღეები იყო მოსკოვში. როგორც იქნა, გრძელ

აგრის დაარსების 100 წლისთავს. ფესტივალი ხანგრძლივია და თვეების მანძილზე გრძელდება. სამხატვრო თეატრთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ მიმდინარე წელს კონსტანტინე სტანისლავსკის პრემია ჟორჟო სტრელთან ერთად მიეკუთვნა ოთარ მეღვინეთუხუცესს.

ვერ ვიტყვი, რომ თეატრი არ ლელავდა, მით უმეტეს, როცა დოსტოევსკი თავის სამშობლოში უნდა აჩვენონ. დაიწყო წარმოდგენა და მაყურებელი „დაბანგულივით" უსმენდა საყვარელ ავტორს, ხოლო რეჟისორ თემურ ჩხეიძისა და მხატვარ იური გეგეშიძის მიერ შექმნილი სამყარო ქმნიდა იმ განწყობილებას, რაც გენიალური ავტორის ფილოსოფიურ ჩანაფიქრს მიესადაგება.



სპექტაკლის

დნენ ქართული დიასპორის ბრწყინვალე წარმომადგენლები, გაბრწყინებული სახეებით, ბედნიერი თავისი თეატრის წარმატებით. მათ შორის მაყვალა ქასრაშვილი, რომელმაც „მეფე ლირის" შემდეგ თქვა, რომ იგი ბედნიერია ოთარ მეღვინეთუხუცესის დიდი ხელოვნების თანაგანცდის გამო.

სპექტაკლ „მეფე ლირს" მოსკოვის ელიტა დაესწრო: იური გრიგოროვიჩი, მიხეილ ულიანოვი, ნატალია ბესმერტნოვა, მარინა ვლადი, ახლადდამტკიცებული კულტურის მინისტრი ნატალია დემენტიევა, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში ვაჟა ლორთქიფანიძე, მთელი საელჩო და თეატრმცოდნეთა დიდი კოჰორტა. წარმოდგენის მსვლელობის დროს ხშირად გაისმოდა აპლოდისმენტები, ხოლო დასასრულს, როგორც შექსპირის უდიდეს პოეტურ ქმნილებას შეჰფერის, ტაში გადაფარა შეძახილებმა. ულიანოვი ხმამაღლა აცხადებდა – თურმე კიდევ არ მომკვდარა ტრაგიკული მუზა! ოთარ მეღვინეთუხუცესი უდიდესი მსახიობიაო!

## დღეები სიყვარულისა... დიდი გამარჯვებისა!..

და სუსხიან ზამთარს გაზაფხული გამოეპარა. იყო სითბო ადამიანური, კეთილი და მშობლიური. ასეა თუ ისე, წარსული არავის არავიწყდება. საოცრად თბილი იყო მასპინძელი თეატრის დამოკიდებულება და ჩვენი წარმატება საკუთარ წარმატებად მიიღეს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ყველაფერი წინასწარ ჰქონდათ გათვლილი. „მეფე ლირის" წარმოდგენის წინ (ეს უკვე მესამე სპექტაკლი იყო) აქიოტაჟმა პიკს მიაღწია და თეატრის დირექციამ კარგა ხნის მიტოვებული ბალკონი გაასუფთავებინა დამლაგებლებს, ანშლაგის პირობების გათვალისწინებით. ასეთი რამ ტაიროვის შემდეგ ჯერ არ მომხდარა. ისე აგიხდათ ყველაფერი, თადარიგი მეტად ზუსტი და საჭირო აღმოჩნდა.

მარჯანიშვილის თეატრი მიწვეული იყო თეატრების კონფედერაციის მიერ ჩეხოვის ფესტივალზე ფიოდორ დოსტოევსკის „მარადი ქმრით", მეორე სპექტაკლი კი „ერების თეატრთა" გაერთიანებამ მოიპატიჟა. ხოლო ვინც ამ სპექტაკლების ჩვენება პუშკინის, იგივე კამერული თეატრის სცენაზე გადაწყვიტა, მას უდავოდ პოეტური და ადამიანური დამოკიდებულება აქვს თეატრალური წარსულის მიმართ.

ტურნემ ჩაიარა, თავიდანვე ვიტყვი, უდიდესი წარმატებით. სხვაგვარად არც შეიძლება მომხდარიყო. თუკი თბილისში დადებითად შეფასდა თეატრალური ქმნილება, მას შეუძლია თამამად გაუსწოროს თვალი ყველა კონტინენტის მაყურებელს. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩეხოვის ფესტივალი დღეს მეტად პოპულარულია მსოფლიოში და ედინბურგისა და ავინიონის ფესტივალებს არაფრით არ ჩამოუვარდება. წლევანდელი ღონისძიება კი ეძღვნება მოსკოვის სამხატვრო თე-



შემდეგ პირველი, რაც ითქვა, იყო ქებათა-ქება ინსცენირების ავტორის, თამაზ გოდერძიშვილის მისამართით (სპექტაკლის ღირსებაზე სპეციალისტები წინასწარ საკმაოდ ინფორმირებულნი იყვნენ). მსახიობთა დუეტი – ნოდარ მგალობლიშვილი და მიხეილ გომიაშვილი! წამყვანი თეატრმცოდნეები – ანა ობრაზცოვა, ბორის პაიუროვსკი, ნატაშა კრიმოვა, ნატაშა კამინსკაია სიამოვნებით და ამაღლებული ინტონაციით ახსენებდნენ ამ გვარებს, მოწიწებითა და სიყვარულით, ნატაშა კრიმოვამ გაიხსენა, რომ მიხეილ ჩეხოვი ოცნებობდა ტროსტენეცკის როლზეო. „მარადი ქმრის" მეორე წარმოდგენაც მაყურებელთა აღმავალი ინტერესით აღინიშნა. დამსწრენი ჩართული იყვნენ მოქმედებაში და სუფევდა ის, რასაც ჰქვია ჰარმონიული თანაარსებობა სცენასა და პარტერს შორის. ჩვენმა თანამემამულემ, თეატრთმცოდნე მაია კობახიძემ სპექტაკლისადმი მისი დამოკიდებულება ასე აღნიშნა: ეს სხვა განზომილებაა, საოცრად მაღალი თავისი ჩანაფიქრით და საუცხოო განხორციელებით.

მაყურებელი, სპეციალისტები ხმამაღლა და მადლიერებით იმეორებდნენ სპექტაკლში მონაწილე მსახიობთა – თამარ სხირტლაძის, თამარ მამულაშვილის, ქეთევან გეგეშიძის, დიმიტრი ტატიშვილის, ზაალ ჩიქობავას გვარებს.

მთელს ამ გასტროლებს ესწრებო-

როდესაც შემოქმედებითი წვისაგან დაღლილი და ბედნიერი მსახიობები დავით დვალიშვილი, გია ბურჯანაძე, ვაჟა გელაშვილი, გურანდა გაბუნია, ნანა ჩიქვინიძე, გივი ჩუგუაშვილი, ჯემალ მონიავა, ვალერი კორშია, ზაზა იაკაშვილი, მიშა გომიაშვილი, ზაალ ჩიქობავა, ზურაბ სტურუა, ნატო მურვანიძე თავს უკრავდნენ მაყურებელს, შემდეგ კი მათ შემოუერთდა ახალგაზრდა რეჟისორი და მხატვარი – დავით დოიაშვილი და სიმონ მაჩაბელი, – დარბაზმა ირწმუნა ქართული თეატრის მომავალი.

ეს იყო კიდევ ერთი მკაფიო გამოხატულება ტრიუმფალური გამარჯვებისა.

**ვაჟა ბრეგაძე.**

მოსკოვი – თბილისი.

25 აპრილი-2 მაისი.

**სურათებზე: „მეფე ლირი" – ლირი ო. მეღვინეთუხუცესი, კორდელია – ნ. მურვანიძე; „მარადი ქმარი" ველჩანინოვი – მ. გომიაშვილი, ტრუსოცკი – ნ. მგალობლიშვილი.**

ნოდარ კუჭაიძის ფოტო.

## იუბილე

# სამართლიანობის აღდგენის რწმენით!..

უკვე ხუთი წელიწადია სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის თეატრი თავის შემოქმედებით ცხოვრებას რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში აგრძელებს. დევნილ დასს რობერტ სტურუამ ფართოდ გაუღო თავისი თეატრის კარი და მუდმივად ზრუნავს მათზე, თვალყურს ადევნებს სოხუმელთა ყოველი ახალი წარმოდგენის სამზადისს და თუ საჭიროა, რეპეტიციებზეც შედის, რაც უდიდეს პატივად მიაჩნიათ სოხუმელებს.

სოხუმის თეატრი ყოველთვის ითვლებოდა ერთ-ერთ წამყვან, არაპროვინციულ კოლექტივად, სადაც შესანიშნავი მსახიობები ილწოდნენ, ბრწყინვალე რეჟისორები ქმნიდნენ სპექტაკლებს, ამ თეატრმა დევნილობაშიც შეინარჩუნა პროფესიული სიმაღლე, მათი თბილისში დადგმული სპექტაკლები კვლავ საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია, მაყურებელი აღტაცებულია ამ თეატრის შემოქმედებითი გმირობით.

11 მაისს რუსთაველელთა მცირე დარბაზში სოხუმის თეატრმა თავისი აღდგენის 70 წლისთავი აღნიშნა, რომელიც სევდიან და თანაც ნათელ ზეიმად იქცა. ყოველმა გამომსვლელმა დიდი ადამიანური სითბო და თანადგომა გამოხატა ბედმოშლილი ადამიანების მიმართ, ვისი ხელოვნებაც ათწლეულების განმავლობაში ამაღლევებელი და სათაყვანო იყო მაყურებლისათვის...

70 წლისთავი სოხუმის თეატრის აღდგენიდან აღინიშნა, თორემ თეატრალურ ტრადიციას ამ ქალაქში გაცილებით დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან სოხუმში სცენისმოყვარეთა ძალებით იდგმებოდა წარმოდგენები, ასევე თბილისიდან და საქართველოს სხვა ქალაქებიდან აქ ჩამოდიოდნენ მსახიობები, მოძრავი თეატრის დასები, რომლებიც ხშირად მართავდნენ სპექტაკლებს. 1890-იანი წლებიდან სოხუმში უფრო ინტენსიურ ხასიათს იძენს თეატრალური მოღვაწეობა, სცენის მოყვარეთა წარმოდგენებში სიამოვნებით მონაწილეობდნენ ქართული თეატრის დიდოსტატები: ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია, ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ვალერიან გუნია, შალვა დადიანი, ალექსანდრე იმედაშვილი, ვალერიან შალიკაშვილი.

1928 წელს სოხუმში დაარსდა მუდმივმოქმედი პროფესიული დასი, რომელმაც სასახელოდ გამოიარა შვიდი ათეული წელი. ამ ხნის განმავლობაში თეატრს ხელმძღვანელობდნენ შესანიშნავი რეჟისორები: დავით ძნელაძე, სერგო ჭელიძე, გიორგი ქურული, ლეო ჭელია, ვასო ყუშიტაშვილი, გიორგი გაბუნია, დავით ცისკარიშვილი, ანზორ ქუთათელაძე, იური კაკულია, გოგი ქავთარაძე.

თაობები აღიზარდნენ ბრწყინვალე მსახიობების – ირინე დონაურის, თამარ მაკარაშვილის, ლეო ჭელიას, ფლორა შედანიას, მიხეილ ჩუბინიძის, თინა ბოლქვაძის, ნორა ყიფიანის, ბორის თოფურიძის, სოსო კალანდაძის, გიორგი რატიანის შემოქმედებაზე, სხვადასხვა დროს სოხუმის თეატრში მოღვაწეობდნენ მარინე თბილელი, სალომე ყანჩელი, ელენე საყვარელიძე, ოთარ კობერიძე, ვიქტორ ნინიძე, ლეო ფილფანი, თენგიზ არჩვაძე, გივი ბერიკაშვილი და სხვები.

მაყურებლის დიდი სიყვარულით სარგებლობენ თეატრის წამყვანი მსახიობები: სერგო პაჭკორია, თინა ბაბლიძე, ბაჩა ბექაური, ლია მიქაშავიძე, დიმიტრი ჯაიანი, ვალერი არღელიანი, გიზო სირაძე, ლორინა პაპუაშვილი, ლეილა კალანდია, ნუგზარ წერედიანი, ლილი და ნანა ხურითები, მერაბ ყოლბაია და სხვები.

ახლა კი მივუბრუნდეთ თეატრის აღდგენისადმი მიძღვნილ საღამოს, რომელმაც გააერთიანა სცენა და დარბაზი, სადაც ბევრი წრფელი და მხურვალე სიტყვა ითქვა, იყო საყოველთაო სიყვარულის გამოცხადება და გაუქუჩებელი ტკივილი, იმის რწმენა და იმედი, რომ ბოლოსდაბოლოს ეს ადამიანები დაბრუნდებიან თავიანთ ფუძეზე.

საღამო შესანიშნავად წარმართა გოგი ქავთარაძემ, ვისთვისაც სოხუმის თეატრი უაღრესად ახლობელია, მისეულ წარდგენებსა და კომენტარებს სულ სხვა



ხიბლი და უშუალობა ახლდა, იგი დროდადრო ორგანულად ერთვებოდა დიალოგებშიც და სპექტაკლების ნაწყვეტებშიც.

სოხუმის თეატრის დასს მიესალმა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი, რომელმაც გამოაცხადა იმ მსახიობთა ვინაობა, ვინც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ღირსების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა.

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარემ გიგა ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ დიდია ყოველი ჩვენგანის სიყვარული სოხუმის თეატრისადმი. თქვენ შეძელით – მიმართა მან თეატრის მსახიობებს – მაჩაბლის დასის მაგალითი გაგვემეორებინათ ჩვენს თვალწინ!

საქართველოს კულტურის მინისტრმა ვალერი ასათიანმა საზოგადოებრიობას გააცნო საქართველოს პრეზიდენტის მადლობა სოხუმის თეატრისადმი. დასს მიესალმნენ ბორის წიფურია, ეთერ გუგუშვილი, გიზო ჟორდანია, ჯანსუღ ჩარკვიანი, გოგი გეგეჭკორი, ზინა კვერენჩხილაძე, ვახტანგ სალარიძე, გურანდა გაბუნია, სანდრო მრევლიშვილი.

საღამო დაამშვენა რუსუდან სებისკვერაძის, ეკა მამალაძის, გოგი ჩლაიძისა და ვახტანგ სალარიძის სიმღერებმა.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა დიმიტრი ჯაიანმა მადლიერებით მოიხსენია სოხუმის თეატრის თანამდგომნი – რუსთაველის თეატრი, თბილისის მერი ბადრი შოშიტაიშვილი, ასევე ქველმოქმედები გუჯა ბუბუტეიშვილი, გია ჯოხთაბერიძე, ოთარ ხუფენია, ნუგზარ ნადარაია და სხვები.

ზინა კვერენჩხილაძისა და დიმიტრი ჯაიანის მიერ წაკითხულმა ირაკლი აბაშიძისა და ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსებმა: „არ დაუკეტო საქართველოს პონტის კარები" და „მაგრამ მაინც დავბრუნდებით", სოხუმის თეატრის აღდგენის 70 წლისთავის აღსანიშნავ საღამოს ემოციური მუხტი და სამართლიანობის აღდგენის რწმენა შესძინა.

**გიორგი ლალიაშვილი.**

**სურათზე: საღამო რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში.**

ჯემალ ქარაძის ფოტო.

საქართველოს რესპუბლიკა
№117. შაბათი, 16 მაისი, 1998 წელი.

## ვარსკვლავედი

# ალექსანდრე იმედაშვილი

დაიბადა 1882 წლის 18 თებერვალს. მისი მამა, სოლომონი, ყაფლან ორბელიანის ნაყმევი იყო და ბატონყმობის დროს მისი კარის დალაქი. დედა, მარიამი, მეტყავის შვილი იყო. ანბანი პატარა საშას მეზობლად მცხოვრებმა მოხუცმა ქალმა შეასწავლა. 1890 წელს, რვა წლისა, იგი ნიკოლოზის სასწავლებლის უმცროსი განყოფილების მოსწავლეა. ეს სამგანყოფილებიანი სასწავლებელი ღარიბი მოსახლეობისა და ხელოსანთა შვილებისათვის იყო განკუთვნილი. ასე რომ, 1894 წელს დაამთავრა, შემდეგ კი სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, მაგრამ ის აღარ დაუმთავრებია, დაამთავრა საბუღალტრო კურსები. 1898 წელს სტამბაში იწყებს მუშაობას ასოთამწყობად. როგორც ვხედავთ, არავითარი სისტემა განათლების თვალსაზრისით.

ამ დროს თბილისში თეატრი არსებობს, მაგრამ მშობლები ბავშვს მას საერთოდ არ აკარებენ – მასხრობად მიაჩნდათ. ის კი საუზმისათვის მიცემულ შაურიანებს აგროვებდა და ჩუმად დაიარებოდა ქართულ თეატრში. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მის სცენაზე დავით ერისთავის „სამშობლო" იხილა ლადო მესხიშვილის მონაწილეობით. ამის შემდეგ, იგი უკვე მხოლოდ მსახიობობაზე ოცნებობდა.

სხვისი სახით მაყურებლის წინაშე წარდგომის სურვილი საშამ პირველად სასწავლებელში გამოავლინა – მღვდელ ჯავაშვილის წირვას ბაძავდა თურმე საბანწამოსხმული. მოგვიანებით უკვე სახლის სახურავზე მართავდა წარმოდგენებს, რომლებიც მთლიანად მისი შეთხზული იყო.

18 წლისა იყო იმედაშვილი, როდესაც დრამატული საზოგადოების გამგეობამ „გამოსაცდელი წარმოდგენა" გამოაცხადა იმათთვის, ვისაც თეატრში უნდოდა მუშაობა. ეს ვალერიან გუნიას თაოსნობა იყო.

წარმოდგენა ორი ვოდევილისაგან შედგებოდა: „უკუღმართი ადგილი" და „ძალად ავაზაკი". ერთში იმედაშვილი ყმაწვილ კაცს განასახიერებდა, მეორეში – მოხუც პოლკოვნიკს. ეს იყო 1900 წლის 30 სექტემბერს. მეორე დღეს ალექსანდრე იმედაშვილი ქართული თეატრის დასში ჩაირიცხა. იმავე 1900 წლის 12 ნოემბერს იგი პირველად გამოვიდა სცენაზე, როგორც პროფესიული დასის მსახიობი. ვასო აბაშიძის ბენეფისი იყო. თამაშობდნენ დე-კურსელის მელოდრამას „ორი ჯიბგირი". დამწყები მსახიობი ჯარისკაც ბრისკეს პატარა როლით წარსდგა საზოგადოების წინაშე.

ოთხი ათეული წლის მანძილზე იმოღვაწა ალ. იმედაშვილმა ქართულ სცენაზე, არა მარტო თბილისის სცენაზე, სადაც მან ფეხი აიდგა, არამედ, მართლაც რომ, ქართულ სცენაზე, ვინაიდან არ დარჩენილა იმ დროის საქართველოში თეატრი, მას რომ არ ეთამაშოს. ექვსასამდე როლი შეუსრულებია: ბრისკე (დეკურსელის „ორ ჯიბგირში"), ბოჯასპირ არაბული (ა. ყაზბეგის „ქეთევან წამებულში"), პირველი აქტიორი (შექსპირის „ჰამლეტში"). ეს როლი მნიშვნელოვანი იყო, ჯერ ერთი, იმით, რომ ახალგაზრდა მსახიობი პირველად შეხვდა შექსპირს – ავტორს, რომელიც შემდგომ განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს მის შემოქმედებაში, მეორე – იმიტომ, რომ მაყურებელმა და კრიტიკამ შენიშნა მისი პირველი აქტიორი იმ დროს, როდესაც სცენაზე იდგა ლადო მესხიშვილი – კერპი მაყურებლისა და თვით ალ. იმედაშვილისა. ეს არ იყო ადვილი მაშინ. ითამაშა დესანტოსი კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტაში". ეს როლი შემდგომ კ. მარჯანიშვილის დადგმაშიც ითამაშა. პირველად კი მაშინ, როდესაც ურიელს ლადო მესხიშვილი ასახიერებდა. აქაც წარმატება ხვდა წილად. ესეც გამარჯვება იყო. ითამაშა დათო ალ. სუმბათაშვილის „ღალატში". შემდეგ ამავე პიესაში ანანია გლახა. ითამაშა ფრანც მოორი შილერის „ყაჩაღებში". აქ განიცადა პირველად შემოქმედებითი მარცხის სიმწარე!

ლადო მესხიშვილის შემდეგ, პირველმა ალ. იმედაშვილმა გაბედა დანიის პრინცის სახით ქართულ სცენაზე გამოსვლა. ეს იყო 1910 წელს. მაყურებელმა არ მიიღო მისი ჰამლეტი. ეს მეორე მარცხი განსაკუთრებით მწარე იყო, რადგან ალ. იმედაშვილი შექსპირსაც ეთაყვანებოდა და მის მთარგმნელ ივანე მაჩაბელსაც. სამაგიეროდ, კარლ მოორის როლმა მოუტანა უდიდესი წარმატება შილერის ტრაგედიაში „ყაჩაღები". სპექტაკლი მიხეილ ქორელმა დადგა ქუთაისში. საინტერესო და ბევრის მთქმელია მსახიობის მოგონება ამ როლზე მუშაობასთან დაკავშირებით: „მოვითხოვე პიესის დადგმა ორი თვით მაინც გადაედოთ, ვიდრე მოვემზადებდი. ლ. მესხიშვილს პიესა ისე ჰქონდა შემოკლებული, რომ კარლოსი კარლოსს აღარ ჰგავდა. ბევრი სცენა აღვადგინე, ბევრი ადგილი მე თვითონ ვთარგმნე და ორი თვის შემდეგ ვითამაშე. მას შემდეგ კარლოსი გახდა ჩემი საყვარელი როლი".

კარლოსის როლმა მისცა შესაძლებლობა ალ. იმედაშვილის ტრაგიკულ ტემპერამენტს სრული ძალით ამოფრქვეულიყო. ამავე დროს წარმოაჩინა როლზე მუშაობის მისეული წესი – შესწავლა არა მარტო საკუთარი როლისა, არამედ მთელი პიესისა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ერკვეოდა ყველა მოქმედი პირის ხასიათსა, სურვილებსა და მისწრაფებებში, იმ დამოკიდებულებაში, რომელიც აქვს ყოველ მათგანს ავტორის მიერ შემოთავაზებული მოვლენების მიმართ. მაშასადამე ალ. იმედაშვილისათვის მუდამ ნათელი იყო რანაირი მთლიანობის ნაწილია ის როლი, მან რომ უნდა განასახიეროს.

1913 წელს მიხეილ ქორელმა ქუთაისში დადგა სოფოკლეს ტრაგედია „ოიდიპოს მეფე", ცნობილი გერმანელი რეჟისორის მაქს რეინჰარდტის გეგმის მიხედვით. ამას თავისთავად უკვე ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა, რადგან რეჟისორული გეგმით განხორციელებული პიესა რეჟისურის, ანსამბლური თეატრის პრინციპებზეა აგებული და არა ვარსკვლავმსახიობთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე. ასეთ სპექტაკლში მიიღო ალ. იმედაშვილმა ოიდიპოსის როლი. იოკასტეს ნუცა ჩხეიძე ასახიერებდა. მისი მოგონებიდან: „იგი არც წინათ და არც შემდეგ მე ასეთი კარგი არ მინახავს. სად გაჰქრა მისი ტლანქი მიხრა-მოხრა, ულამაზო სახე და გრძელი ცხვირი! სცენაზე იდგა როგორც ქანდაკება. აგერ, ტირეზიც – გიორგი არაბული-იმხნელი, თავისი ძლიერი ხავერდოვანი ხმით. ნამდვილი შეჯიბრი იყო ამ ორ ნიჭიერ მსახიობს შორის და ჩვენც გავიმარჯვეთ". მრავალი წლის მანძილზე იყო ოიდიპოს მეფე ალ. იმედაშვილის რეპერტუარში. მთელი ამ ხნის განმავლობაში ის განაგრძობდა ამ მხატვრულ ქმნილებაზე მუშაობას.

ოიდიპოსის შემდეგ ოტელო ითამაშა 1915 წელს ისევ მიხეილ ქორელთან თანამშრომლობაში. ამ როლსაც წლების მანძილზე ამზადებდა. დაწვრილებით ჰქონდა შესწავლილი მთელი პიესა და მის შესახებ არსებული, მისთვის ხელმისაწვდომი ლიტერატურა. ეს შრომა შესანიშნავად აირეკლა მისსავე ნაწერებში, სადაც მოცემულია არა მარტო ოტელოს როლის დაწვრილებითი ანალიზი, არამედ სხვა მოქმედ პირთა ანალიზიც. ეს მასალა უტყუარი საბუთია იმისა, რომ მსახიობი ალ. იმედაშვილი აღიქვამს თავის გმირს პიესის და მომავალი სპექტაკლის ორგანული, მისი მთლიანობისაგან განუყოფელ ნაწილად. ეს უკვე ახალი, პრინციპულად განსხვავებული მიდგომაა მსახიობის შემოქმედებისადმი.

**ვერიკო ანჯაფარიძე:** „მას შემდეგ, რაც ქუთაისში ვნახე „ოტელო", არ მახსოვს ჩემი ცხოვრების ისეთი პერიოდი, როდესაც გატაცებული არ ვყოფილიყავი თეატრით. უდიდეს გავლენას ახდენდა ჩემზე ალექსანდრე იმედაშვილი. ახლაც მახსოვს, რა ძლიერად განვიცდიდი მის თამაშს, რამდენი ცრემლი დამიღვრია, როცა სცენაზე კვდებოდა, შეძრწუნებული უარს ვამბობდი შინ წასვლაზე და მხოლოდ მაშინ ვთანხმდებოდი, როდესაც მიჩვენებდნენ იმედაშვილს, ცოცხალსა და უვნებელს... მე მას ვაღმერთებდი... ახლაც ყურში ჩამესმის მისი განმაცვიფრებელი ხმა.

...დადგა დრო და ჩემი სათაყვანო იმედაშვილი გახდა ჩემი პარტნიორი. მასთან ერთხელ, 1924 წელს, რუსთაველის თეატრში ვითამაშე დეზდემონას როლი. იმ სცენის დროს, როცა ოტელო ახრჩობს დეზდემონას, იმედაშვილმა წამჩურჩულა: „რას წარმოიდგენდი, ვერიკო, რომ იმედაშვილთან ითამაშებდი... შენ ისეთი სახე გაქვს, იმდენი სიყვარულია შენ თვალებში, რომ ვერ დაგახრჩობ... მოდი, შევცვალოთ ბოლო", – მეჩურჩულა მაყურებლისთვის შეუმჩნევლად...

მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე თაყვანს ვცემდი იმედაშვილის დიდ ხელოვნებას".

1915 წელს განსახიერებული მისი ოტელო 24 წლის შემდეგ იხილა ცნობილმა კრიტიკოსმა ი. ტელნიკოვმა და ასე აგვიღწერა იგი: „დეზდემონასადმი მის სიყვარულში უფრო მეტი უიმედობა იყო, ვიდრე ნეტარება. არც სიმსუბუქე, არც აღმაფრენა, არც ბავშვური გულუბრყვილობა მასში არ იყო. მრავალჭირგარდახდილი ადამიანის სერიოზულ, მოღუშულ მზერაში ბედნიერება არ ახხივებს ოქროსფერი ნაპერწკლებით, არც მოძრაობა აქვს ნარნარი... არც მაღალია. მხრებში მოხრილი. სულ არ ენაღვლება თავის გარეგნობა. ეს ულამაზო, წვეროსანი და პირქუში კაცი არაა შემოსილი ფერადოვანი აღმოსავლური სამოსით, აცვია რუხი ფერის საკმაოდ ვიწრო ხალათი... ასკეტური ოტელო, რისთვის შეიყვარა იგი დეზდემონამ? შექსპირთან ხომ ვენეციელმა ქალმა მავრი შეიყვარა არა მარტო მის ჭირთა გამო, არამედ კიდევ ძლიერი ვნების გამო".

შექსპირისადმი დაუოკებელმა ინტერესმა და სიყვარულმა ბუნებრივად მიიყვანა ალ. იმედაშვილი მეფე ლირთან შეხვედრის სურვილამდე. ეს სურვილი განახორციელა 1941 წელს. სამოც წელს მიღწეულს, ჯანმრთელობა ღალატობდა. სიცოცხლის მხოლოდ ერთი წელი-ღა ჰქონდა დარჩენილი. პრემიერა ქუთაისში შედგა 1941 წლის 30 აპრილს. იმედაშვილისთანა მსახიობისთვის პრემიერა როლზე მუშაობის დასასრულს არ ნიშნავდა არასდროს, მით უფრო ისეთ ურთულეს როლზე, როგორიცაა მეფე ლირი. არ დასცალდა სპექტაკლებში როლის დახვეწა – მხოლოდ თოთხმეტჯერ მოასწრო სცენაზე ლირის გაცოცხლება, აქედან ერთხელ – თბილისში 1941 წლის 20 ივნისს, ქუთაისის თეატრის გასტროლების დროს უდიდესი წარმატება ჰქონდა. ვინც იმ საღამოს ვერ მოხვდა თეატრში, მოუთმენლად ელოდა მომდევნო სპექტაკლს, მაგრამ ის არ შედგა – დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და გასტროლები შეწყდა. აღარც ქუთაისში უთამაშია, რადგან მოეძალა ტუბერკულოზი და ლოგინად ჩააგდო. 1943 წლის 30 სექტემბერს შეწყდა მისი სიცოცხლე.

რა ვიცით ალ. იმედაშვილის, როგორც პიროვნების შესახებ – ეს სცენური სახეები ხომ მისი პიროვნებისაგან ამოიზარდა. ბავშვობაში, თურმე, არაფრით გამოირჩეოდა, ჩვეულებრივი ბავშვი ყოფილა, მშობლების პატივისმცემელი. განსაკუთრებით უყვარებია დედა, ბავშვობაშიც და შემდგომაც. ჩხირკედელაობა ჰყვარებია, ეს თვისება სიბერეშიც შემორჩა – ხან ბოსტანში მუშაობდა, ხან სახლის შეკეთებას ცდილობდა, ხან სურათების არშიებს აკეთებდა, ხან ჩემოდნების გაკეთებით იყო გატაცებული... ერთი სიტყვით, უსაქმოდ ვერ ძლებდა.

პრინციპული იყო, ზოგჯერ კერპი და თვითნებაც. ამაყი. არავითარ დათმობაზე არ მიდიოდა არც ცხოვრებაში, არც შემოქმედებაში, ბევრი რამ გართულებია ამის გამო იქაც და აქაც. ძლიერი ნებისყოფისა იყო, შეურყეველი. ამავე დროს თვითკრიტიკულიც – ჩვეულებად ჰქონდა სპექტაკლის შემდეგ, ღამით, ფხიზელი გონებით გაეანალიზებინა იმ დღეს ნათამაშები როლი. იშვიათი მეხსიერების პატრონი იყო. მომგებიანი გარეგნობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ სცენაზე იყო განუზომლად მომხიბვლელი. გულჩათხრობილი იყო, ბუზღუნა, ამავე დროს სათნო და გულისხმიერი. გულიანი ხარხარი იცოდა, ახლო მეგობარი ცოტა ჰყავდა. ისინი, უპირატესად, უბრალო ადამიანები იყვნენ – მოკარნახე ბეგლარ ახოსპირელი, ბუკინისტი სოსო ივანიძე და ქუთაისელი ხელოსანი ისაკ მენიკულოვი. წარმოშობითაც დემოკრატი იყო და მეგობრობაშიც ისეთი დახმარება იცოდა, ღვიძლი რომ ვერ გაგიწევდა. ჰქონდა მეამბოხე სული და სტიქიური ტემპერამენტი, უდიდესი შინაგანი ძალა. ამ მხრივ ის ლადო მესხიშვილის ნამდვილი მემკვიდრე იყო, მოწაფე მისი და თაყვანისმცემელი. იშვიათი ქართული იცოდა. შესანიშნავად თარგმნიდა, ოცდაათამდე პიესა აქვს თარგმნილი რუსულიდან ქართულად ენისა და სცენის ცოდნით. იმდენად ფლობდა მშობლიურ ენას, რომ ქუთაისში მიწვეულს, კოტე მარჯანიშვილმა დაავალა დასადგმელად არჩეული ყველა პიესის შემოწმება ენობრივად და შესწორებაც, თუკი საჭიროდ მიიჩნევდა, ხმა ჰქონდა განსაცვიფრებელი – ძლიერი და უსასრულოდ მრავალფეროვანი ნიუანსებით მდიდარი. იგი ყველაფერს გამოხატავდა. როლზე მუშაობის დროს ყოველ ფრაზას ასწონ-დასწონიდა – თუ ლიტერატურა ნაკლები ხარისხისა იყო, – მისი გაუმჯობესების მიზნით. თუ მაღალი ხარისხისა – მისი წვდომისა და ამოხსნის მიზნით.

ურთულესის უბრალოდ გადმოცემა უყვარდა, სადად. მისი იდეალი იყო ემოციით დატვირთული ღრმა შინაარსის სისადავე. ასეა დაწერილი მოგონებათა მისი წიგნიც – გულწრფელი დოკუმენტი, რომელშიც მრავალი საინტერესო და ყურადსაღები ფურცელია. ამ მოგონებათა წყალობით, ქართული თეატრის ცხოვრების არაერთ მნიშვნელოვან მოვლენას ეფინება შუქი. გამოჩენილი ტრაგიკოსი, ვოდევილებსა და ოპერეტებშიც მონაწილეობდა, თუმცა ნოტების კითხვა არ იცოდა, – სმენა ჰქონდა იშვიათი.

მარჯანიშვილი რომ ჩამოვიდა საქართველოში, ალ. იმედაშვილი ორმოცი წლის სახელმოხვეჭილი პრემიერი იყო. ორმოცი წელი შემოქმედებითი სიმწიფის ხანაა, მით უფრო მამაკაცი მსახიობისათვის. მაგრამ ალ. იმედაშვილი მაინც ძველ მსახიობთა ბანაკში აღმოჩნდა, თუმცა მარჯანიშვილის ლეგენდარულ „ცხვრის წყაროშიც" მონაწილეობდა (ესტევანს თამაშობდა) და ახმეტელის „ანზორშიც" (კაპიტანი). მარჯანიშვილმა კინოშიც მიიწვია იმედაშვილი, გადაიღო „ამოკსა" და „კრაზანაში". მის მიერ დადგმულ „ურიელ აკოსტაშიც" ითამაშა დესანტოსი ბრწყინვალედ. ამას ამ სპექტაკლის მონაწილენი ადასტურებენ... და მაინც, მტკიცედ ჩამოყალიბებული რეჟისორული სპექტაკლების თეატრის არტისტი ის ვერ გახდა. რატომ? ამას საგანგებო შესწავლა უნდა, მით უფრო, რომ კინოში ეს განხორციელდა, თანაც ძალიან მაღალ მხატვრულ ხარისხში. ამის საბუთად ნიკოლოზ შენგელაიას საქვეყნოდ აღიარებული ფილმი „ელისოც" საკმარისია. ვისაც ეს ფილმი უნახავს, არ დაავიწყდება ეპიზოდი, სადაც მშობლიური აულიდან გასახლებული ხალხი სასოწარკვეთას მისცემია. მამასახლისი (ალ. იმედაშვილი) მიიღებს გადაწყვეტილებას შეუცვალოს ხალხს ეს განწყობილება. შთაბეროს მას მხნეობა. ამისათვის აიძულებს მათ იცეკვონ. რა ძალა უნდა ჰქონდეს ერთ კაცს, რომ მასაზე ასეთი ზემოქმედება მოახდინოს! არ შეიძლება იმის დავიწყება, თუ როგორ შეებმება იმედაშვილის გმირი საკუთარ ხალხს, როგორია მის თვალთა მზერა!

1932 წელს ალ. იმედაშვილს რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

ალ. იმედაშვილი რეალისტი მსახიობი იყო, განცდისა და გარდასახვის სკოლის მიმდევარი, ადამიანის სულში ჩაღრმავება აინტერესებდა, პიესის სხვა მოქმედ პირებთან კავშირების აღმოჩენა. ამიტომ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა პარტნიორს. წერს კიდეც ამის შესახებ: „როცა რომელიმე როლს ვამზადებ, იმდენსავე დროს ვანდომებ პარტნიორის მოსმენის შესწავლას, რამდენსაც თვით ტექსტს, რადგან მოსმენა, ისევე, როგორც ლაპარაკი, განუყრელნი არიან".

განსაკუთრებული კეთილმობილებით იყო გასხივოსნებული ყველაფერი, რასაც იგი აკეთებდა სცენაზე, განსაკუთრებული მიმზიდველობით.

იგი ეკუთვნოდა მუდმივი ქართული თეატრის მსახიობთა მეორე თაობას. ამ თაობამ მიიღო ესტაფეტა უშუალო წინამორბედთაგან, პირველი ბირთვისაგან და მოიტანა იგი 1921 წლამდე. ამის შემდეგ საქართველოში იწყება ახალი ცხოვრება. იქმნება ახალი თეატრი. სულ სხვა ცხოვრება, სულ სხვა თეატრი.

ალ. იმედაშვილის ცხოვრების გზა ქართული თეატრის ცხოვრების ერთი ძალზე რთული პერიოდის თვალსაჩინო სურათია.

**ნათელა ურუშაძე.**





**სურათებზე: ალ. იმედაშვილი (1902 წ.); ალ. იმედაშვილი – ლირი (შექსპირის „მეფე ლირი").**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სათავე

# 130 წელი პირველი ოზურგეთული წარმოდგენიდან

**ალექსანდრე წუწუნავას სახელობის ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი საიუბილეო სამზადისშია — სრულდება 130 წელი მას შემდეგ, რაც ოზურგეთში პირველი თეატრალური წარმოდგენა გაიმართა. საქართველოში ერთ-ერთი უძველესი თეატრის ისტორია იმ შორეულ წარსულში იღებს სათავეს, როცა პირველი წარმოდგენები კერძო სახლებში, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებში, სასწავლო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივი საკრებულოების დარბაზებში იმართებოდა. ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მუზეუმში შემონახულია თითქმის ყველა ის დოკუმენტი და ნივთიერი მასალა, რომელიც თვალნათლივ გვაცნობს ამ ისტორიის სხვადასხვა პერიოდებს, თეატრში მოღვაწე ამა თუ იმ თაობის ადამიანებს და ა. შ. ოზურგეთის თეატრს ჰყავს მემატიანე, ქართული თეატრის ისტორიის საუკეთესო მცოდნე, თეატრზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ხსენებული მუზეუმის დამაარსებელი ბატონი მიხეილ გოლიაძე, რომელიც თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგეც გახლავთ. იგი მრავალი ათეული წლის მანძილზე რუდუნებით აგროვებდა ყველა იმ სამუზეუმო ექსპონატს, რომლებიც დღეს ცოცხლად განგვაცდევინებენ 130 წლის თეატრის შემოქმედებით მაჯისცემას. სწორედ ამან გადაგვაწყვეტინა რამდენიმე კითხვით მიგვემართა ბატონ მიხეილ გოლიაძისათვის, რამეთუ ამ სულითა და ხორცით ინტელიგენტმა, თეატრის სიყვარულით ანთებულმა კაცმა ყველაზე უკეთ უწყის ავ-კარგი იუბილარი თეატრისა.**

***— ბატონო მიხეილ, ალბათ, მიზანშეწონილი იქნება მკითხველებს მოუთხროთ იმ სათავეების შესახებ, საიდანაც დასაბამს იღებს ოზურგეთის თეატრის ისტორია. რამდენადაც ვიცი, თეატრი, კლასიკური გაგებით, აქ ცოტა უფრო მოგვიანებით ჩამოყალიბდა.***

— საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „დროება" 1868 წლის 8 მარტს იუწყებოდა: „ოზურგეთში ქართული წარმოდგენა მოხდარა აქაური სკოლის შესაწევნელად. სამწუხაროდ, ამ წარმოდგენაზე დაწვრილებით არა ვიცით რა" და სწორედ ეს თარიღი არის მიჩნეული ოზურგეთის თეატრის დაბადების დღედ. თუმცა ზოგიერთი წყაროს მოწმობით, თეატრალური ყოფის საწყისები გურიის ქვეყანაში ადრეც შეინიშნებოდა. კერძოდ, თეატრალური სანახაობის ისტორიიდან ცნობილია, რომ გურიის უკანასკნელი მთავრის მამია გურიელის დროს 1808-1824 წლებში ოზურგეთში, თავის სასახლეში მამია გურიელმა შექმნა სალონი, რომელიც ამ დროის ევროპული ტიპის პირველი კულტურული დაწესებულება, ხელოვნების კერა იყო გურიაში. თუმცა, როცა უძველეს საწყისებზე ვსაუბრობთ, თეატრალური ყოფისათვის მონათესავე ხალხური სანახაობანი გურიაში ფართოდ იყო გავრცელებული ძველთაგან, ისევე როგორც მთელ საქართველოში. დიახ, თეატრი თავის დაბადების თარიღად 1868 წლის მარტს აღიარებს წასულიდან 1914 წელი უნდა გამოვარჩიოთ, როცა ცენტრში, სადაც ამჟამად სასტუმრო „გურია" მდებარეობს, კინოსა და თეატრის ცნობილი მოღვაწისა და მეცენატის, ოზურგეთის მკვიდრის გერმანე გოგიტიძის თაოსნობით თეატრი აიგო 200-კაციანი დარბაზითა და მოძრავი სცენით. მისივე მეოხებით თეატრის ელექტროენერგიით უზრუნველსაყოფად ქალაქის მმართველობას ბათუმში გემზე შეუძენია ჩამოწერილი ელექტრომრავა, რომელიც თეატრისაგან მოშორებით დაუდგამთ. მისი რახრახი თურმე მთელ ოზურგეთში ისმოდა. საკუთარი ელექტროსადგურის მომსახურებისათვის მოუწვევიათ იმ დროისათვის ოზურგეთში ელექტროსაქმის ერთადერთი მცოდნე ვასო თენიეშვილი. სხვათა შორის, თითქმის 1937 წლამდე დადგმული სპექტაკლების ძველ აფიშებზე ყველგან აწერია: „ელგანათება ვასო თენიეშვილისა".

რამდენიმე ხნის შემდეგ თეატრისათვის უფრო მოზრდილი შენობა აავეს. აქ მუშაობდა თეატრიცა და კინოც. 1962 წელს კი დასრულდა კარგა ხნის წინათ დაწყებული თეატრის მშენებლობა (არქიტექტორი კ. ჩხეიძე, მოქანდაკეები ე. თოფურიძე, გ. ჯაფარიძე, ჭერის მხატვრობა აპ. ქუთათელაძისა). ეს ჩინებული არქიტექტურული ნაგებობა არა მარტო თეატრალური, არამედ, საერთოდ, ოზურგეთელთა კულტურული ცხოვრების ცენტრი გახდა.

***— ბატონო მიხეილ, ალბათ, შეიძლება ცალკეული საეტაპო მონაკვეთების გამოყოფა თეატრის წარსულიდან.***

— ნახევარი საუკუნის განმაელობაში (1868-1917 წ. წ.) თეატრი თვითმოქმედი გახლდათ. ეს იყო სხვადასხვა თაობის სცენის მოყვარულთა ჯგუფები. სწორედ სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში გადადგეს პირველი ნაბიჯები ქართული თეატრის ისეთმა ცნობილმა მოღვაწეებმა, როგორებიც იყვნენ ალექსანდრე, ეველინა, ცეცილია წუწუნავები, სანდრო ქორქოლიანი, ვასო ურუშაძე და სხვები.

ჟამთა მდინარების კვალობაზე ოზურგეთის თეატრი თანდათან იხვეწებოდა, უფრო მრავალფეროვანი გახდა სარეპერტუარო პოლიტიკა, ამაღლდა დასის პროფესიონალიზმი.

130 წლის გადასახედიდან კიდევ არაერთი საეტაპო მნიშვნელობის ფაქტისა და თარიღის მონიშვნა შეიძლება. თითქმის ყოველი ახალი თეატრალური სეზონი ახალ სახელებს წარმოაჩენდა. და მაინც ოზურგეთის თეატრის ისტორია ისევ და ისევ ამა თუ იმ რეჟისორის მოღვაწეობისდამიხედვით შეიძლება დაიყოს ეტაპებად. თითოეული ახალი რეჟისორის მოსვლა, ბუნებრივია, უკავშირდებოდა რეპერტუარის განახლებას, ცალკეული მსახიობების ტალანტისა და შესაძლებლობების სხვადასხვა რაკურსით წარმოჩენას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა 20-30-იანი წლები, როცა თეატრში მოღვაწეობდნენ შალვა ბეჟუაშვილი, პავლე ფრანგიშვილი, ნიკოლოზ კახიძე, გალაქტიონ რობაქიძე, პატუ ლოლაძე, გიორგი როსება, გიორგი კერესელიძე, ვასო ყუშიტაშვილი, ლავრენტი ციცაგი, აკაკი ქლენტი, სამსონ ხურციძე, ევტროფი თალაკვაძე. თეატრის მხატვრად 1923 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ლადო მალაზონია, მუსიკალური ნაწილის გამგედ — შემდგომში საქართველოს სახალხო არტისტი რომან ლომინაძე.

1940-იან-50-იან წლებში თეატრს სათავეში ედგნენ სერგო ახალაძე, თედო წეროძე, ოთარ თალაკვაძე, ცალკეულ დადგმებზე მოწვეულნი იყვნენ ოთარ ალექსიშვილი, შალვა კილასონიძე, ვიქტორ ნინიძე, გრიგოლ ლაღიძე, სამუელ თოიძე, მიხეილ სულთანიშვილი, ხოლო 60-იანი წლებიდან მთავარ რეჟისორებად მუშაობდნენ ლერი პაქსაშვილი, გურამ აბესაძე, ხოლო ცალკეული დადგმები განახორციელეს გიგა ლორთქიფანიძემ, ბექან ნაკაიძემ, გიორგი ქურულმა, ოთარ ალექსიშვილმა, თინა შონიამ. საგანგებოდ უნდა ითქვას ბექან ნაკაიძის შესახებ. ამ ენერგიულმა, მრავალი პიროვნული ღირსებით შემკულმა ადამიანმა შეძლო მის დროს გაფანტული დასის შეკრება და თეატრი აღადგინა. მის სახელთან არის დაკავშირებული ოზურგეთის თეატრის პირველი გასტროლების ორგანიზაცია დედაქალაქში 1958 წელს. ამასთან, როგორც მსახიობმა არაერთი და ორი დასამახსოვრებელი სცენური სახე შექმნა. ასევე გამოსაკვეთია მხატვარ შოთა დარჩიას წვლილი.

***— ბატონო მიხეილ, საგანგებოდ მინდა ისაუბროთ იმ ურთიერთობათა ირგვლივ, რომელიც ოზურგეთის თეატრს თეატრალურ სამყაროსთან აკავშირებს. ამ ურთიერთობიდან არა ერთი მთამბეჭდავი მაგალითის მოხმობა შეიძლება.***

— ოზურგეთის თეატრის მატიანეში მართლაც არის გამორჩეული ფურცლები. თუნდაც, 1964 წელი, როცა თბილისში გასტროლების დროს, ოზურგეთის თეატრის სპექტაკლში „მე ვხედავ მზეს" ანატოლის როლი ითამაშა რუსეთის სახალხო არტისტმა, მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობმა ვიტალი დორონინმა. მან ეს როლი ოზურგეთის თეატრის 100 წლის საიუბილეო საღამოზეც შეასრულა.



თეატრის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს 80-იანი წლების დასაწყისის თეატრალური სეზონი. იმხანად ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედში გაიხსნა ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახლ-მუზეუმი. როგორც ცნობილია, დიდი რუსი რეჟისორი სწორედ გურიის ამ ულამაზეს სოფელში დაიბადა. სახლ-მუზეუმის გახსნაზე ოზურგეთს ეწვია მისი შვილიშვილი, მოსკოვის სამხატვრო თეატრის მუსიკალური ნაწილის გამგე, ვასილ ნემიროვიჩ-დანჩენკო. სტუმართა შორის იყო ამავე თეატრის მსახიობი, რუსეთის სახალხო არტისტი ანგელინა სტეპანოვა. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი ოზურგეთისა და მოსკოვის სამხატვრო თეატრების მეგობრობასა და შემოქმედებით თანამშრომლობას, რისი კონკრეტული გამოვლინებაც გახლდათ ის, რომ შემდგომ სეზონში მოეიწვიეთ სამხატვრო თეატრის რეჟისორი ვლადიმერ სალიუკი, რომელმაც დადგა ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი". კრუჩინინას როლი შეასრულა სამხატვრო თეატრის მსახიობმა, რუსეთის სახალხო არტისტმა სვეტლანა კორკოშკომ. ეს სპექტაკლი ოზურგეთის თეატრმა მოსკოვში სამხატვრო თეატრის სცენაზეც წარმოადგინა 1987 წლის მაისში. ერთი თვით ადრე კი დასმა გასტროლები გამართა ბამბუკის დაბა იკაბიაში.

შემდგომ თეატრი საგასტროლოდ იმყოფებოდა უნგრეთსა და გერმანიაში, სადაც წარმოადგინა ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის" მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „გამარჯობათ, ხალხო"!". ევროპელმა მაყურებელმა საკმაოდ თბილად მიიღო მისთვის უცხო კოლორიტით შეზავებული წარმოდგენა (დამდგმელი რეჟისორი საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვასო ჩიგოგიძე).

***— და ბოლოს, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ ავუვლით თეატრის დღევანდელობას...***

— უკანასკნელ პერიოდში ცნობილ მიზეზთა გამო, თეატრს გარკვეული სიძნელეები შეექმნა, უპირატესად მატერიალური ხასიათისა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქ შემოქმედებითი სულისკვეთება არ შენელებულა. შედგა რამდენიმე პრემიერა, განახლდა რამდენიმე სპექტაკლი. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს იუგოსლავი დრამატურგის ანდრეი პინგის პიესა „კონკისტადორი", რომლის დადგმა განახორციელა თეატრის მთავარმა რეჟისორმა იგორ საბომ. საიუბილეოდ ახალი სპექტაკლებიც მზადდება უილიამ შექსპირის „ჭირვეულის მორჯულება". ფაქტი იმითაც არის საგულისხმო, რომ ეს დიდი დრამატურგის პირველი ქმნილებაა, რომელიც ოზურგეთის თეატრში დაიდგმება.

მოგეხსენებათ თეატრი ცოცხალი ორგანიზმია, რომლის არსებობას თაობათა მემკვიდრეობითობა განაპირობებს. ამიტომაც მკითხველებს სიამოვნებით მინდა გავაცნო მისი დღევანდელი შემადგენლობა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია იგორ საბო, დირექტორია რევაზ სარიშვილი, რეჟისორი — ოთარ კუტალაძე, მხატვრები — მამია თუთაიშვილი, თამაზ და გია დარჩიები, დასის წევრები არიან საქართველოს სახალხო არტისტი გაბრიელ მდინარაძე, საქართველოს დამსახურებული არტისტები ანა ანდღულაძე, ზაირა თოთიბაძე, გივი ახმეტელი, ნუგზარ ბარამიძე, ომარ ურუშაძე, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი იური ჯიჯიეშვილი და სხვა, რომლებმაც სცენაზე ხელდასხმა მიიღეს წინა თაობების შესანიშნავი მსახიობებისგან, საქართველოს სახალხო არტისტების ლამარა თურმანიძის, გაბრიელ მდინარაძის, რომან ლომინაძისგან, საქართველოს დამსახურებული არტისტების ვლადიმერ ბაჯელიძის, ვლადიმერ ღოლიძის, მიხეილ წივნაძის, მაღლენა ღონაძის, ამირან ქადეიშვილისგან.

ოზურგეთის თეატრს თავმოსაწონი ისტორია აქვს და დღევანდელი თაობა ცდილობს ღირსეული მემკვიდრე იყოს დიდი ტრადიციებისა.

**თამაზ ხარაიშვილი,**
**„სრ" საკ. კორ.**

*სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი".*

## ლაურეატები

# ორი პროფესიის მსახური

საქართველოს მუსიკალურ საზოგადოებრიობას ნამდვილად შეუძლია იამაყოს იმით, რომ ჩვენში ნიჭიერი ახალგაზრდა პიანისტები მნიშვნელოვან წარმატებას აღწევენ საერთაშორისო ასპარეზზე. ერთი თვეც არ გაივლის ისე, რომ ქართველი ლაურეატების სახელებს ერთი ან ორი ახალი ლაურეატის გვარი არ შეემატოს. პატარა ერის პირობაზე ეს საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. დღეს ახალგაზრდა თაობის პიანისტებს შორის ოცი ლაურეატი მაინც გვყავს. ყოველივე ეს დიდი იმედია მომავლისთვის. საწინდარია იმისა, რომ დიდი ქართველი მუსიკოსების შემოქმედებითი მიღწევების ტრადიცია საქართველოში გაგრძელდება.

ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა შორის გამორჩეული ბიოგრაფიის პიანისტებსაც შევხვდებით, რომელთა წარმატებები მხოლოდ ერთ სფეროში მოღვაწეობით არ იფარგლება. დღეს ერთ-ერთი მათგანი გვსურს გაგაცნოთ — ალექსანდრე შავგულიძე. იგი ნამდვილად უჩვეულო ბიოგრაფიის მქონე ახალგაზრდა ხელოვანია, რადგან ერთდროულად ორ ჰუმანურ პროფესიას ემსახურება, რომელთაგან ერთი ფიზიკურად, მეორე სულიერად აჯანსაღებს ადამიანს. ალექსანდრე მომავალი ექიმი და პიანისტია.

ალექსანდრე შავგულიძემ წარჩინებით დაამთავრა ფიზიკა-მათემატიკის გიმნაზია. მუსიკის სწავლა გვიან, ათი წლის ასაკში დაიწყო, თუმცა, რამდენიმე თვეში აითვისა სამი კლასის პროგრამა და მეათე სამუსიკო სკოლაში პირდაპირ მეოთხე კლასში ჩაირიცხა ფორტეპიანოს სპეციალობით. იგი ყოველწლიურად ამზადებდა საკონცერტო პროგრამებს რადიოსა და ტელევიზიისთვის, მონაწილეობდა გასვლით კონცერტებში მოსკოვსა და კლინში.

1990 წლიდან ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სპეციალურ სამუსიკო სკოლაში სწავლობდა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა რომ დაამთავრა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მომავალი ექიმი მუსიკალურ ათწლედში რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის ალა ჩიკვაიძის ხელმძღვანელობით სხვადასხვა საკონცერტო პროგრამებს ამზადებდა, თბილისის მუსიკალური კულტურის ცენტრში სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შეასრულა ბეთჰოვენის და ბრამსის საფორტეპიანო კონცერტები. ამჟამად ალექსანდრე სამედიცინო ინსტიტუტის ზოგადი სპეციალიზაციისა და რეზიდენტურის VII კურსის სტუდენტია, კონსერვატორიაში კი მეოთხე კურსზე სწავლობს. მის პროფესიულ დაოსტატებას წარმართავს დოცენტი — სვეტლანა კორსანტია.

ალექსანდრე ძალზე განათლებული ახალგაზრდაა, ჩინებულად იცის ინგლისური, ფრანგული, ცოტა გერმანულიც. პიანისტს ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა საქართველოს I კონკურსზე, რომელიც 1995 წელს გაიმართა თბილისში, კომპოზიტორთა კავშირის მიერ დაწესებული საგანგებო პრიზი გადაეცა ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისათვის. 1997 წლის დეკემბერში ალექსანდრე ლისენკოს სახელობის საერთაშორისო კონკურსზე გაემგზავრა კიევში, სადაც ლისენკოს ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისათვის დიპლომი და კონკურსის სპეციალური პრიზი მოიპოვა. ლისენკოს სახელობის საერთაშორისო კონკურსი ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება. ოთხი სპეციალობით პიანისტების კონკურსი სამი ტურის პროგრამას მოიცავს; თითოეული ტურის პროგრამა ალექსანდრეს საკმაოდ რთული ნაწარმოებებისგან ჰქონდა შედგენილი.

ვფიქრობთ, რომ ალექსანდრეს სახით მეტად ნიჭიერი პიანისტი და პიროვნება იზრდება. ცხადია, არავინ იცის, როგორ წარიმართება მისი შემდგომი ბიოგრაფია, მაგრამ პიანისტის იშვიათი ფიზიკური და სულიერი მონაცემები, ამ პიროვნების ინტელექტუალური მოღვაწეობის ფართო არეალი, მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის მომავალი წარმატებებისათვის.

**გვანცა ღვინჯილია.**

**„ქართულმა საბჭოთა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა“... ასე იწყებოდა ნეკროლოგი, რომელიც 1985 წლის 15 დეკემბერს გამოქვეყნდა იმდროინდელ პრესაში. ბევრია ნათქვამი ამ ერთი შეხედვით მშრალ ფრაზაში... განა ვინც მიდის ამ ქვეყნიდან, ყველა მართლა აკლდება სამშობლოს? ვფიქრობ, მართალი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია! სწორედ ერთი გამორჩეულთაგანი იყო სალომე ყანჩელი – მსახიობი, რომლის უპირველესი, ჭეშმარიტი სიყვარული იყო თეატრი. მსახიობი, რომელსაც „სასცენო ნათლობის დღიდან პროფესიისათვის არასოდეს უღალატია, რომელიც უდიდესი პატივისცემითა და პასუხისმგებლობით იყო აღსავსე თეატრისადმი“... მსახიობი, რომელსაც „შეეძლო ეთამაშა ყველა ჟანრისა და ყოველგვარი მხატვრული გადაწყვეტის სპექტაკლში“, ოღონდ უსათუოდ რაიმე უნდა ჰქონოდა სათქმელი მაყურებლისათვის, რაიმე მნიშვნელოვანი, ღირებული... მსახიობი – პროფესიონალი ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით... მრავალი სცენური გმირის სულის ჩამდგმელი, მრავალი სცენური სიცოცხლის ავტორი...**



# ქალბატონი გვაცნობს თავის თავს!..

ჩინებულ ქართულ ოჯახში აღიზარდა ქალბატონი სალომე. დედამისი – ელენე შენგელაია იყო უგანათლებულესი, კეთილშობილი მანდილოსანი, მომხიბლავი, ტკბილმოუბარი, გონებამახვილი. მამა – სანდრო ყანჩელი – იურისტი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე – საინტერესო, ენამოსწრებული მოსაუბრე. ოჯახი იყო მხატვრული და სამეცნიერო ინტელიგენციის თაყვრილობების ერთ-ერთი ცენტრი ოციანი-ოცდაათიანი წლების თბილისში. აქ ადამიანი ხშირად ნახავდა ილია ზურაბიშვილს, იაკობ ნიკოლაძეს, შალვა დადიანს, გერონტი ქიქოძეს, ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, პაოლო იაშვილს, ტიციან ტაბიძეს, კიტა მეგრელიძეს, გიორგი თავზიშვილს, ლევან ასათიანს, სერგო კლდიაშვილს, გიორგი ლეონიძეს... ამ ოჯახისკენ მიუხაროდათ საქართველოს სახელოვან სტუმრებს იური ტინიანოვს, ნიკოლოზ ტიხონოვს, ვლადიმერ მაიაკოვსკის... სულ რომ არ შეედგა სალომე ყანჩელს სკოლაში ფეხი, მარტო მშობლებისა და მათი მეგობრების გავლენა ღირდა ერთ რამედ. ახლო ნათესავთაგან, რომელთაც განსაკუთრებული კვალი დაამჩნიეს მომავალი მსახიობის ცხოვრებას, ქალბატონი სალომე ყოველთვის გამორჩეული მადლიერებითა და სიყვარულით იგონებდა ბიძას – ნიკოლოზ შენგელაიას და მის მშვენიერ მეუღლეს ნატო ვაჩნაძეს.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სალომეს ცხოვრებაში იმ დროის თბილისის ერთ-ერთი საუკეთესო – მეთოთხმეტე სკოლა, საყვარელი მასწავლებლები შალვა დოლაქიძე, თამარ ყაზახაშვილი... ყველას ჩამოთვლა განა შეიძლება?.. მერე იყო თბილისის თეატრალური ინსტიტუტი და კვლავ საუკეთესო პედაგოგები გ. ტოვსტონოგოვი, მ. მრევლიშვილი, აკ. ფაღავა, რ. მიქელაძე, ვ. ბერიძე, რ. ნათაძე, ვ. ქლენტი...

და მიუხედავად ამ ბრწყინვალე აღმზრდელთა სიმრავლისა, კითხვაზე – თუ ვის თვლის სალომე ყანჩელი პროფესიაში თავის უპირველეს მასწავლებლად, მან უყოყმანოდ უპასუხა – „მამაჩემს, სანდრო ყანჩელს“ და დასძინა: „იმ შესანიშნავ ხალხს, რომლებიც ჩვენს ოჯახს ამშვენებდნენ“.

მსახიობისათვის აუცილებელ თვისებად მიაჩნდა ქალბატონ ელენეს „ნიჭიერება, პროფესიონალიზმი, დისციპლინირებულობა, მორიდება-მოწიწება, ადამიანებში კი ყველაზე მეტად აფასებდა სიკეთეს, კაცთმოყვარეობას, ნიჭს.

კითხვაზე – რა არის მისთვის ცხოვრებაში უმთავრესი, ყველაფერზე უფრო მნიშვნელოვანი, უეჭველად გვპასუხებდათ: „ჩემი ოჯახი – შვილები და თეატრი, თეატრი და ჩემი ოჯახი, შვილები“.

ჰქონდა გამორჩევით საყვარელი როლები და უყვარდა მათზე საუბარი, მაგრამ ჰქონდა როლები, რომლებიც არ უყვარდა, – „ტერეზა, მარია მნიშეკი, ლელა და, სამწუხაროდ, ბევრი სხვა“, – ჩამოთვლიდა და თან ახსნიდა: „მათი შესრულების დროს არ ვღებულობ სიამოვნებას – უბრალოდ, ჩემს სამუშაოზე ვარ, ეს კი საშინელი გრძნობაა სცენაზე“. როლებს, რომლებიც არ უყვარდა, თავის მარცხად თვლიდა, ხოლო თუ რაში მდგომარეობდა მარცხი, რა იყო მისი გამომწვევი, იტყოდა: „მიზეზს ხედავს, ალბათ, რეჟისორი“. არ უყვარდა პიესები, რომლებშიც მისი გმირი ქალბატონის ვითარებაში იყო, როდესაც მაყურებლისთვის სათქმელი არაფერი ჰქონდა... მაგრამ „არ უყვარდა“ – როდი ნიშნავდა მუშაობისათვის თავის არიდებას, პირიქით, უფრო მეტს ცდილობდა, მეტს ებრძოდა სიძნელეებს.

ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალბატონ სალომესთვის როლის ქცევათა, ზუსტი ლოგიკით დალაგებას, სახეში ბუნებრივი გრძნობების და სწორი საქციელების მიგნებას.

როგორც ყოველ ჭეშმარიტ პროფესიონალს, სათუთი, ამაღლებული, სიყვარულით უყვარდა თავისი საქმე, პატივს სცემდა პარტნიორსა და მაყურებელს. საქმეში თავდაუზოგავი იყო, არ იცოდა დაღლა, არ მისცემდა მცირედ შეღავათსაც კი თავის თავს. ასევე მომთხოვნი იყო სხვებისადმი. ყოველდღიურობაში საოცრად რბილი და დამთმობი, არაფერში, რაც თეატრს ეხებოდა, კომპრომისს არ დაუშვებდა. კარგად ესმოდა, რომ არ არსებობს დიდი და პატარა როლი და აფასებდა როლს იმის მიხედვით, ხედავდა თუ არა მასში მომავალ სცენურ სახეს.

შემოქმედებითი მრავალმხრივობა, გამომსახველობითი ხერხების სიუხვე იყო მისი ნიჭიერების ერთი უმთავრესი ნიშანთაგანი.

ძიებებით, განცდითა და სიხარულით, წარუმატებლობითა და დიდი გამარჯვებებით სავსე რთული ცხოვრებით იცხოვრა და მიუხედავად არაერთგზის მიღებული ტკივილისა, ბედნიერი იყო იმით, რომ იცოდა და უყვარდა შრომა, ბედნიერი იყო იმით, რომ იწვოდა და თავისი ცეცხლით ყოველდღე ასობით ადამიანს ათბობდა და შუქს ფენდა; ბედნიერი იყო იმით, რომ სრულიად ახალგაზრდამ მოიხვეჭა სახელი, მოიპოვა მაყურებლის სიყვარული და იმით, რომ ეს სიყვარული წლების მანძილზე იზრდებოდა. იზრდებოდა და თან მაყურებელი სულ უფრო და უფრო მომთხოვნი ხდებოდა და თუ ზოგჯერ მკაცრი იყო უფერული სახეების მიმართ, უზომო სიყვარულს მიაგებდა მსახიობს საინტერესო მიგნებებისათვის; აღფრთოვანებული ტაშით, ყვავილებით აჯილდოებდა მოკრძალებულ სტუდენტ გოგონას იელიტე ბოსტოლანაშვილს, მექია ეალკას, გრძნეულ ტიტანიას, მშვენიერ ლიზის, წიკენია მშვენუნახავს, ქედმაღალ ლიდას, პრანჭია თალოს, ფუსფუსა ბაბალეს, ეშმაკ ხანუმას, დაუნდობელ ბერნარდას, – ალტაცებული ხვდებოდა და არც ცდებოდა. აბა რომელი მსახიობის ბიოგრაფიას არ დაამშვენებდა ამდენი მრავალფეროვანი და ასეთი ოსტატობით გამოძერწილი მხატვრული სახეები.

* * *

 პარტა ხნის წინათ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოვაქვეყნე სტატია „მსახიობი გვესაუბრება თავის თავზე“, რომელიც ეხება მაკო საფაროვა-აბაშიძეს, უფრო ზუსტად: დიდი ქართველი მსახიობის მიერ მოსკოვის სახელოვნო მეცნიერებათა აკადემიის თეატრალური სექციის ანკეტაზე გაცემულ პასუხებს.

ძალიან მოკლედ ამ ანკეტის შესახებ: ნ. ეფროსის, ლ. გურევიჩის, ა. პეტროვსკის მიერ მეცნიერთა და მსახიობთა ფართო წრესთან კონსულტაციების შედეგად შემუშავდა 68 კითხვისაგან შემდგარი ანკეტა. 1923 წელს იგი დაეგზავნა საბჭოთა კავშირის ყველა კუთხის გამორჩეულ მსახიობთ. 1930 წლისათვის პასუხი ანკეტის კითხვებზე გასცა 20-ზე მეტმა მსახიობმა. შემდგენლები პირდებოდნენ პასუხების საიდუმლოდ შენახვას. ასეც მოხდა. არც ერთი ანკეტა შემვსების სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. პირველად 1948 წელს პ. იაკობსონმა თეატრალურ ალმანახში გამოაქვეყნა მ. ერმოლოვას, ე. ლეშკოვსკაიას, ნ. ლუქსკის, ა. პეტროვსკის ანკეტები, შემდეგ მკითხველი გაეცნო ვ. კაჩალოვის და მ. ჩეხოვის პასუხებს. 1965 წელს კი ჟურნალ „ტეატრში“ დაიბეჭდა მ. დოლინსკისა და ს. ჩერტოკის მიმოხილვითი წერილი **„18 მსახიობი თავის თავზე“**. სხვებთან ერთად სტატიაში საუბარია მ. საფაროვა-აბაშიძის ანკეტების შესახებ. მაკო ერთადერთი ქართველი მსახიობია, ვისი ანკეტის მოძიებაც მოხერხდა ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულ ანკეტათა შორის. მ. დოლინსკის და ს. ჩერტოკის სტატიაში მიმოხილულმა ქართველი მსახიობის პასუხებმა მიიპყრო ჩემი ყურადღება და რადგან ამოკითხულიდან უკმარისობის გრძნობა დამრჩა, სრულად გავეცანი ლენინის ბიბლიოთეკაში დაცულ ანკეტას. გავეცანი და ჩავთვალე, რომ შეუძლებელია დიდი ქალბატონის ნააზრევი საზოგადოებას არ გავაცნოთ. ამიტომაც გაჩნდა ჟურნალში ხსენებული სტატია.

ჟურნალის გამოსვლიდან სულ მალე დამირეკა სალომე ყანჩელმა და მითხრა, რომ სტატია წაიკითხა და იგი ძალიან საინტერესოდ მოეჩვენა. გრაბახში თუ არ ჩამომერთმევა, შემიძლია ვთქვა, რომ ქ-ნ სალომეს და ზოგიერთი მისი კოლეგისაგან მსგავს გამოხმაურებებს შეჩვეული ვიყავი და არ გამკვირვებია, მაგრამ ეს ზარი სულ სხვა აღმოჩნდა, – ღრმად ერუდირებული, წიგნიერი ქალბატონი დაინტერესა ანკეტამ და მასზე ქართველი მსახიობის მიერ გაცემულმა პასუხებმა. გადაწყვიტა, თვითონაც ეპასუხა ამ კითხვებზე, თუნდაც თავისთვის, საკუთარი თავის შესამოწმებლად, ძალიან მინდაო – თქვა და შეასრულა. დღეს ეს პასუხები ხელთა მაქვს და მინდა ქართველ მკითხველს დაგვიანებით მაინც გავაცნო.

ანკეტაში, როგორც ზემოთ ითქვა, 68 კითხვაა. კითხვარი 4 ჯგუფად არის დაყოფილი. კითხვების პირველ ჯგუფზე (№1-25) გაცემული პასუხები გვაცნობს ახალ სახეზე მსახიობის მუშაობის პირველ პერიოდს, მზადებას ახალ გმირთან შესახვედრად, პირველ რეპეტიციებს.

მომდევნო შვიდმა პასუხმა უნდა გვიჩვენოს რეჟისორის როლი მსახიობის მუშაობაში და ჩაგვახედოს როლის მზადების ბოლო ეტაპზე დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხებში.

№33-49 კითხვებზე გაცემული პასუხები ნათელს ფენს სპექტაკლის სხვადასხვა კომპონენტებთან, მაყურებელთან, კრიტიკასთან მსახიობის დამოკიდებულებას, გვაცნობს, რას გრძნობს მსახიობი სპექტაკლის დროს და მის შემდეგ. რა უშლის ხელს და რა ეხმარება.

და ბოლოს, 50-68 კითხვარისდა მიხედვით მსახიობი უნდა შეეცადოს – გააანალიზოს თავისი შემოქმედების ზოგიერთი მხარე.

მოდით, წავიკითხოთ, – რა ჰკითხა მსახიობს ანკეტამ და რა პასუხები მიიღო.

## I

***1 – რას გაძლევთ პიესის პირველი გაცნობა თქვენს აქტიორულ მუშაობაში?***

– სიხარულს მანიჭებს. ვგრძნობ თრთოლვას იმის გამო, რომ იწყება ცხოვრების ახალი ეტაპი, რაღაც ახლის, სასიხარულო მოლოდინის განცდა მეუფლება.

***2 – ხედავთ თუ არა სხვა პირთა სახეებს მოსამზადებელი მუშაობის დროს და როგორ მოქმედებენ ისინი თქვენს შემოქმედებაზე?***

– დასაწყისში, ძირითადად, საკუთარი სახით ვარ დაკავებული. შემდეგ უეცრად ერთ-ერთ რეპეტიციაზე, ვგრძნობ სხვა სახეების მოახლოებას და ბოლოს დგება დრო, როდესაც უმათოდ ჩემი სახის წარმოდგენა აღარ შემიძლია.

***3 – პიესის ენა, მისი წყობა, რიტმულობა ახდენს თუ არა გავლენას თქვენს მუშაობაზე?***

– რა თქმა უნდა. სხვაგვარად როგორ შეიძლება. ჩეხოვი და პიუგო ხომ სრულიად სხვადასხვაგვარნი არიან...

***4 – მუშაობის დროს უპირატესად მხოლოდ თქვენი როლი გაინტერესებთ თუ მთლიანად პიესა?***

– ჯერ ჩემი როლი. შემდეგ თანდათან შემოდის ჩემში პიესა, სპექტაკლის ყველა კომპონენტი.

***5 – გაძლევენ თუ არა მასალას აქტიორული შემოქმედებისათვის ცხოვრებისეული მოვლენები და თქვენი პირადი განცდები?***

– რასაკვირველია. მაგრამ აქ მთელი სამზარეულო არსებობს, საკუთარი ემოციების ყულაბა, სცენურ განცდას ბადებს სათანადო ემოცია ამ ყულაბიდან.

***6 – როლის თვისებებს თქვენს თავში ეძებთ თუ სხვა ადამიანებში, ან ლიტერატურაში?***

– ეს როლზეა დამოკიდებული, ხან პირადი თვისებები უნდა მოიხმო, ხან სხვაგან უნდა ეძებო; ლიტერატურა კი უდიდესი დამხმარე ძალაა!!!

***7 – სცენურ სახეზე მუშაობის დროს თუ გქონიათ შემთხვევა ნაცნობი, რეალური პიროვნება აგელოთ ნიმუშად? რამდენად გზღუდავთ თქვენს მიერ არჩეული ნიმუში?***

– ასეთი შემთხვევა არ მქონია, მოგვიანებით კი, მზა სახეში შემინიშნავს, რომ იგი ცხოვრებაში ჩემს მიერ ნანახი სხვადასხვა ხასიათების ნიშნებს ატარებს.

***8 – განსასახიერებელი ტიპი უცბად ცოცხლდება თქვენს წარმოდგენაში თუ თანდათან უახლოვდებით მას ფიქრისა და მასში მემავალი სხვადასხვა ელემენტების შერწყმის შედეგად?***

– ტიპი-სახე დასაწყისში შორიდან გამოანათებს წარმოსახვაში, შემდეგ კი, მუშაობის პროცესში, იგი იძენს ადრე ჩაფიქრებული ადამიანი-სახის თვისებებს.

***9 – რა უფრო ადრე იბადება თქვენში – როლის ფსიქოლოგიური ხატი, პლასტიკური თუ ხმიერი?***

– სხვადასხვაგვარად ხდება. მიყვარს პლასტიკური გადაწყვეტა – სიარული, ჟესტები, თავის დაჭერა. ზოგჯერ სახე ჯერ ფსიქოლოგიურად იკვეთება, მერე კი როლის გარეგანი ნახატი ჩნდება.

***10 – როლზე მუშაობის დროს ხომ არ შეგიძლიათ განსაზღვროთ მომენტი – როდის ცოცხლდება სახე?***

– ხან ასე ხდება, ხან ისე. ზოგჯერ მხოლოდ მთლიან რეპეტიციაზე, რაიმე ხერხის, იმპულსის, რეკვიზიტის დახმარებით, ზოგჯერ რომელიმე რიგით სპექტაკლზეც.

***11 – ხომ არ გქონიათ შემთხვევა, რომ როლი რაიმე სიტყვის ან გარეშე იმპულსის გავლენით გაცოცხლებულიყო?***

– მქონია.

***12 – ადგენთ თუ არა მოსამზადებელი მუშაობის დროს როლის ტექსტს?***

– ტექსტს ადგენს დრამატურგი ან რეჟისორი.

***13 – განმეორებითი წარმოდგენის დროს ხომ არ ცვლით როლის ზოგიერთ ტექსტს?***

– ასეთი რამ სასურველი არ არის, მაგრამ იშვიათ შემთხვევაში ხდება ხოლმე. თუ კი სპექტაკლი იმპროვიზაციულია, მაშინ უფრო დასაშვები.

***14 – მესწავლის დროს როლს ხმამაღლა კითხულობთ თუ ჩუმად, თქვენთვის?***

– როლს მუშაობის პროცესში ვითვისებ.

***15 – თუ გქონიათ ლიტერატურული, მხატვრული, მეცნიერული წყაროებით სარგებლობის შემთხვევა?***

– მქონია.

***16 – წარმოიდგენთ თუ არა როლზე მუშაობის დროს იმ გარემო პირობებს, რომელშიც ცხოვრობს თქვენს მიერ განსახიერებული პიროვნება?***

– გარემო პირობებს ჩვენ სპექტაკლის დამდგმელი გვკარნახობს, მაგრამ მათ მკაფიოდ ჩამოყალიბებამდე, მე, ჩემთვის, რა თქმა უნდა, წარმოვიდგენ ხოლმე.

***17 – როლის ხატის ძიებისას უშუალოდ თქვენი გარეგნობიდან გამოდიხართ თუ ეძებთ ხერხებს, რათა მიუახლოვდეთ სახის იმ იდეალურ იერს, რომელიც თქვენ გესახებათ?***

– ერთი გარკვეული რეცეპტი ამისთვის არ არსებობს, გააჩნია როდის რა უფრო საჭირო შესაქმნელი სახისათვის.

***18 – როლის გარეგნულ სახეს (გრიმს, ტანსაცმელს...) როლის (თუ პიესის) ტექსტში დაეძებთ თუ გარეშე წყაროებში?***

– ვეძებ გრიმში, ვარცხნილობაში, თავსამკაულში, ფეხსაცმელშიც კი (ერთხელ მარცხენა ფეხსაცმელი მარჯვენა ფეხზე ჩავიცვი, მარჯვენასი – მარცხენაზე! – გამოვიდა ყველა სხვა სახისაგან მკვეთრად განსხვავებული სიარულის მანერა: სწორედ ისეთი, ამ სახეს რომ შეეფერებოდა).

***19 – როლზე მუშაობის დროს ჟესტსა და მიმიკაზე წინასწარ ფიქრობთ თუ თავისთავად იბადება?***

– ძალიან მიყვარს ჩემი ბუნებრივი მონაცემების დაძლევა: ვფიქრობ ამა თუ იმ ჟესტზე, მოძრაობაზე, გამოხედვაზე, ეს კი ბადებს შემდგომ ხერხებს.

***20 – ესმენთ თუ არა საკუთარ ხმას როლის მზადების თუ სპექტაკლის დროს?***

– არა. თუ ჩემს თავს ვუსმენ, ესე იგი – ცუდად ვთამაშობ.

***21 – როლზე მუშაობის დროს ამოწმებთ თუ არა თქვენს თავს სარკის წინ?***

– არა!

***22 – როლის მზადების პროცესში ხედავთ თუ არა საკუთარ გმირს წარმოსახვაში და რამდენად დაწვრილებით?***

– მიყვარს ეს პროცესი. ხშირად ჩემს თავს შენიშვნას ვაძლევ, რაღაცას ვასწორებ, ვცვლი ამა თუ იმ ნაკვეთს. თუ ეს მოხდა სცენაზე – მიძნელდება როლის ბოლომდე მიყვანა. გული მიმგვრდება.

***23 – ხომ არ იყენებთ საგარჯიშოებად ისეთ მომენტებს, რომლებიც პიესაში არ არის?***

– არა. არ მახსოვს. მაგრამ თუ როლი გამომივიდა, მერე მისი თამაში შემიძლია ნებისმიერ ვითარებაში (მაგალითად – ღია ცის ქვეშ, გასტროლების საშინელ პირობებში).

(იხ. ვე-9 გვ.)

## ჩვენი პუბლიკაცია

# ქალბატონი გვაცნობს თავის თავს!..

(მერვე გვერდიდან)

*24 – ხომ არ გიშლით ხელს, თუ თქვენი როლი ადრე სხვისი შესრულებით გინახავთ?*

– როლზე მუშაობის საწყის ეტაპზე ეს, ალბათ, ხელის შემშლელი იქნება (ასეთი შემთხვევა არც მქონია).

*25 – მუშაობის რა ნაწილს უთმობთ რეპეტიციებს, რას – თეატრის გარეთ (სახლში) და რომელია უფრო მნიშვნელოვანი?*

– ძირითადი და უფრო ნაყოფიერია მუშაობა რეპეტიციაზე. ისე კი, მუშაობის დროს სახე ყოველთვის ჩემთან არის – ეს მუდმივი ტვირთია. მას არასოდეს ვშორდები – შინ, ქუჩაში, ძილში... ეს ქვეცნობიერი მუშაობაა. თუმცა რატომ ქვეცნობიერი. ცნობიერია და ხშირად ძალიან ნაყოფიერიც (უამისოდ არც კი არსებობ)!

II

*26 – რამდენად გეხმარებათ ან გიშლით ხელს რეჟისორი?*

– მე მიყვარს რეჟისორი. ის მე ყოველთვის მეხმარება. მე მჯერა მისი. თუ ურთიერთობა არ შედგა, თუ დავკარგე მისდამი ნდობა – ვკარგავ საკუთარი თავის რწმენასაც და ვცდილობ განზე გავდგე. ურთიერთნდობის გარეშე შემოქმედება შეუძლებელია.

*27 – როდესაც როლი მზად გაქვთ, პოულობთ თუ არა სხვაობას თქვენს შესრულებაში უკანასკნელ რეპეტიციებსა და პირველ საჯარო წარმოდგენას (ან საჯარო გენერალურ რეპეტიციას) შორის? ხომ არ შეგინიშნავთ არსებითი ცვლილება თქვენს შესრულებაში პირველი საჯარო წარმოდგენის დროს როლის საერთო გადაწყვეტაში ან ცალკეულ სცენებში? რა იწვევს ასეთ ცვლილებებს?*

– ცვლილება ხდება ხოლმე, ზოგჯერ არსებითიც, უკეთესისკენ ან უარესობისკენ. გავლენას მაყურებლის რეაქციაც ახდენს (სარხარი – ტრაგედიის დროს, სამარისებური სიჩუმე – კომედიის წარმოდგენისას)...

*28 – შეგიძლიათ თუ არა, თქვენი სურვილით, გამოიწვიოთ როლისთვის საჭირო განცდა?*

(პირველი უპასუხოდ დატოვებული კითხვა)

*29 – გჭირდებათ თუ არა ამისათვის წინასწარ მომზადება?*

– კი. ყოველთვის ვცდილობ განვეწყო მოცემული როლისათვის, მოვიკრიბო ყურადღება. მნიშვნელობა არა აქვს, კომედია იქნება თუ დრამა. არ მიყვარს გრიმის კეთების დროს გარეშე საუბარი.

*30 – ხომ არ ფლობთ რაიმე ხერხებს სცენური ემოციის გამოსაწვევად?*

– თეატრში ადრე მოვდივარ. მშვიდად ვალაგებ ჩემს მაგიდას, ვიკრებ ყურადღებას, ვიხსენებ ჩემი გმირის მოქმედებებს: როდის რას აკეთებს, რატომ?

მიყვარს, როცა წარმოდგენის წინ რეჟისორი შემოდის, რაღაც შეიძლება არც არაფერი მითხრას... მაგრამ თვით მისი მოსვლა მაძლევს იმპულსს სპექტაკლისათვის (ასაკში რომ შევედი – მივხვდი: ეს ჩემი მუშაობის ხერხია).

*31 – წარმოდგენის წინ ხომ არ იყენებთ ხელოვნურ აღმგზნებებს – როგორც წესი, ან ხანდახან? (შემკითხველები გარანტიას გაძლევენ, რომ თქვენი პასუხი საიდუმლოდ იქნება დაცული). ან იქნებ გქონიათ შემთხვევა თვალი გედევნებინათ აღმგზნების გავლენაზე სხვისი თამაშისას.*

– არა. არა.

*32 – ხომ არ შეგინიშნავთ, რომ წარმოდგენის დღეს დილიდანვე იქცევით ხოლმე იმ ადამიანად, რომელიც საღამოს უნდა განასახიეროთ?*

– წარმოდგენის დღეს როლი დილიდან მღრღნის, როგორც ჭია. თუ ეს საყვარელი როლია, იმ დღეს მე ყველაზე უფრო ბედნიერი ვარ.

III

*33 – ახდენს თუ არა გავლენას თქვენს შესრულებაზე პირველ წარმოდგენასთან დაკავშირებული მღელვარება და თუ ახდენს – სახელდობრ როგორს?*

– ახდენს. ზედმეტი მღელვარება ხელს მიშლის.

*34 – აქვს თუ არა მნიშვნელობა იმას, სავსეა დარბაზი თუ არა? (თუ აქვს – როგორ?)*

– აქვს. მაგრამ ჩემს შესრულებაზე მაყურებლის ხარისხი უფრო მოქმედებს, ვიდრე რაოდენობა.

*35 – რა გავლენას ახდენს თქვენს გუნება-განწყობილებაზე წარმოდგენის დროს: ა) ტანსაცმელი, ბ) გრიმი, გ) დეკორაცია, დ) ბუტაფორია?*

– ბედნიერი ვარ, როცა ყველაფერი წესრიგშია. ეს ჩინებულია.

*36 – შეიგრძნობთ თუ არა რეალობად იმას, რაც სცენაზე ხდება?*

– გააჩნია რა მხატვრული სრულყოფილებით არის დაწერილი ნაწარმოები, რომელსაც დღეს ვთამაშობთ. სცენურ რეალობას ცხოვრებისეულ რეალობად ამის შესაბამისად აღვიქვამ.

*37 – ახდენს თუ არა გავლენას თქვენს შესრულებაზე მოვლენები, მსგავსი იმისა, რაც ხდება სცენაზე?*

– სცენურ განწყობილებას სულ სხვა ფესვები აქვს. ახლად გადატანილი უბედურების წარმოსახვა სცენაზე ძნელია. შემდეგ, როცა ტკივილი ემოციურ მეხსიერებად იქცევა, ის შეიძლება დაგეხმაროს.

კომედია გამოგთიშავს დარდისაგან, მისი თამაში უფრო ადვილია.

*38 – შეგისრულებიათ თუ არა კომედიური ან მხიარული როლი მაშინ, როდესაც შეძრული იყავით რაიმე უბედურებით? რა გავლენა მოახდინა ამან თქვენს თამაშზე? მაყურებელზე?*

(კითხვა დატოვებულია უპასუხოდ)

*39 – ხომ არ გამოგიყენებიათ სპექტაკლის დროს მომხდარი რაიმე მოულოდნელი შემთხვევა?*

– როგორ არა.

*40 – გიშლით თუ არა ხელს პარტნიორის შეცდომები ტექსტში, მოულოდნელი ცვლილებები მიზანსცენებში, დაგვიანებით შემოსვლა სცენაზე და სხვა ამგვარი?*

– თუ ეს შეგნებულად გაკეთდა – შეიძლება წონასწორობა დაგაკარგვინოს. მაგრამ თუ შემთხვევით მოხდა – უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს, ამისთვის ვართ პარტნიორები. ისიც მომხდარა, რომ შემთხვევითი მიგნება მოგვწონებია და დაგვიტოვებია სპექტაკლში.

*41 – მეხსიერების შემთხვევითი დაქვეითების გამო ხომ არ გქონიათ ტექსტის იმპროვიზირების შემთხვევა და თუ გქონიათ, როგორ უმოქმედია ამას თქვენს სცენურ შეგრძნებებზე?*

– მქონია. ეს ყოველთვის უხერხულობის გრძნობას ბადებს.

*42 – გრძნობთ თუ არა მაყურებლის განწყობილებას სცენაზე ყოფნის დროს?*

– კი. ყოველთვის. საკმაოდ ძლიერადაც.

*43 – როგორ მოქმედებს თქვენზე მაყურებლის ტაში და გამოხმობა?*

– ეს დიდებულია!!!

*44 – ანტრაქტებში და წარმოდგენის შემდეგ ხომ არ ინარჩუნებთ იმ პიროვნების ტონსა და მიმოხვრას, რომელსაც ასახიერებთ?*

*45 – სცენიდან გასვლის შემდეგ უმალვე გიბრუნდებათ ჩვეულებრივი განწყობილება?*

– გმირის განწყობილება ერთ ხანს მრჩება ხოლმე (ორივე კითხვას ერთად პასუხობს).

*46 – რა გავლენას ახდენს თქვენს შესრულებაზე მაყურებლის და კრიტიკის გამოხმაურება?*

– ჩვენს პრაქტიკაში, სამწუხაროდ, სპექტაკლის კრიტიკული შეფასება ისე იგვიანებს, რომ შესრულებულში რაიმე ცვლილების შეტანა შეუძლებელია. არადა, რეცენზიას გამხნევებაც შეუძლია და გულის ტკენაც.

*47 – დაგეხმარებიათ როდისმე რეცენზენტის მიერ გამოთქმული შენიშვნები? მათ მითითებას რაიმე სარგებლობა თუ მოუტანია თქვენთვის? ხომ არ შეგიტანიათ შესრულებაში ცვლილება?*

– შენიშვნებს ყურადღებით ვისმენ და ვცდილობ გავითვალისწინო ისინი.

*48 – ახდენს თუ არა გავლენას შესრულებაზე თქვენდამი დასისა და პარტნიორების დამოკიდებულება?*

– ახდენს.



*49 – თქვენი დამოკიდებულება პარტნიორისადმი ხომ არ მოქმედებს თქვენს თამაშზე?*

– თუ პარტნიორთან ცუდი ურთიერთობა მაქვს, მუშაობის საწყის ეტაპზე მიჭირს. შემდეგ უკვე, თუ მუშაობა აეწყო და როლი გამომდის, ეს ურთიერთობა მეორე პლანზე გადადის.

IV

*50 – თქვენი აზრით, სცენური განცდა ყოველთვის არის აუცილებელი, როგორც ამას სალვინი თვლიდა, თუ მხოლოდ როლის მზადების დროს, როგორც მიაჩნდა კოკლენს?*

– სცენური განცდა აუცილებელია ყოველ სპექტაკლზე, ყოველ რეპეტიციაზეც. ამაში ეხედავ ჩვენი პროფესიის განუმეორებლობას.

*51 – ხედავთ თუ არა სხვაობას სცენურ და ცხოვრებისეულ ემოციებს შორის? რაში ხედავთ?*

– როგორც ზემოთაც ვთქვი, სცენური ემოციების გამოხატვა ძირეულად განსხვავდება ცხოვრებისეულისაგან. სცენური ემოციები უფრო განცვენებული, მკვეთრი, უფრო გამძაფრებულია, ცხოვრებისეული კი უფრო ინტიმური.

*52 – თავი მთლიანად როლში გავიწყდებათ თუ ცალკეულ სცენებში? სახელდობრ როგორში? თუ გავიწყდებათ თავი, როგორ შთაბეჭდილებას ახდენს ეს მაყურებელზე?*

– სცენაზე სრული თავდავიწყება შეუძლებლად მიმაჩნია. ყოველთვის არსებობს თვითკონტროლი. მე ყოველთვის მახსოვს, რომ სცენაზე ვარ და დარბაზში მაყურებლები სხედან.

*53 – იწვევს თუ არა სცენური განცდის მომენტები ჭეშმარიტ ცხოვრებისეულ განცდებს?*

– არა (ამაზე ხომ უკვე იყო ზევით საუბარი).

*54 – შეგიძლიათ თუ არა ხელოვნურად გამოიწვიოთ ცრემლები, ფერმკრთალობა, სუნთქვის შეგუბება.*

– არა.

*55 – მაყურებელზე უშუალო განცდა უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს თუ ხელოვნურად გამოწვეული?*

– მაყურებელზე შთაბეჭდილებას ახდენს გმირის ჭეშმარიტი განცდები.

*56 – როცა განცდა არ გქონიათ, ხომ არ დაგხმარებიათ გრძნობების სწორი გარეგნული წარმოსახვა?*

– ხდება ხოლმე.

*57 – გქონიათ თუ არა შემთხვევა, რომ თამაშის დროს თქვენი გონება როლით ნაწილობრივ იყო დაკავებული და ამავ დროს აკონტროლებდით საკუთარ თავს, შეგეძლოთ შენიშნოთ მაყურებელზე მოხდენილი შთაბეჭდილება?*

– რა თქმა უნდა.

*58 – შემოქმედებით პროცესს თქვენში ყოველი შესრულების დროს აქვს ადგილი თუ მხოლოდ როლზე მუშაობის დროს?*

– ვცდილობ – ყოველთვის და თუ მივაღწიე, ბედნიერი ვარ.

*59 – ჩამოთვალეთ როლები, რომლებიც თქვენს გამარჯვებად მიგაჩნიათ.*



– ბოსტოღანაშვილი, ესმა, კორინკინა...

*60 – ჩამოთვალეთ თქვენი საყვარელი როლები.*

– ხანუმა, ბოსტოღანაშვილი, ესმა, შირინი, ბერნარდა ალბა, ელისაბედი.

*61 – ხომ ვერ იტყვით, რისთვის გიყვარდათ ჩამოთვლილი როლები?*

– ბოსტოღანაშვილი – გულუბრყვილობისა და სისადავისთვის.

ხანუმა – სილაღისთვის, ხალისიანობისთვის, კოლორიტულობისთვის.

ესმა – მისი ბედის კონტრასტულობისთვის, სისხლსავსე ბედნიერებიდან ტრაგიკულ აღსასრულამდე განვლილი გზისთვის.

შირინი – აღმოსავლური ვნებისათვის, სილამაზისათვის, ყოვლისმომცველი სიყვარულისთვის, რომელიც ქალს სიამაყით ავსებს.

ალბა – იმისთვის, რომ მუშაობის პროცესში მომიხდა ჩემი, როგორც გარეგნული, ასევე შინაგანი თვისებების დაძლევა, მომიხდა ჩემი სულის საფუძვლიანად „გაგრიმვა".

ელისაბედი – იმიტომ, რომ მკაცრად რეგლამენტირებულ სპექტაკლში შეუძლებელია ემოციების მკვეთრად, მსუყედ, ძლიერად, მთელი სიღრმით წარმოჩენა.

*62 – თქვენი საყვარელი როლები ყოველთვის საუკეთესოდ იყო აღიარებული?*

– თითქმის ყოველთვის!

*63 – განიცდით თუ არა განსაკუთრებულ სიხარულს სცენაზე ყოფნით და რა იწვევს ამ გრძნობას?*

– კი, კი, კი... როცა როლში თავს თავისუფლად, ლაღად ვგრძნობ: მაყურებელი ამას ყოველთვის ღირსეულად აფასებს.

*64 – რომელი როლების შესრულება განიჭებთ მეტ სიამოვნებას – რომელიც უფრო გესიმპათიურებათ და ხასიათითაც ახლოა თქვენთან, თუ – თქვენთვის საპირისპირო ბუნების?*

– მირჩევნია ჩემი ბუნების საპირისპირო ქალების განსახიერება.

*65 – მრავალგზისი შესრულების დროს როლს ყოველთვის ერთნაირად თამაშობთ?*

– არა. ეს თითქმის შეუძლებელია.

*66 – ახდენს თუ არა თქვენზე გავლენას თეატრის (შენობა ან კოლექტივი) გამოცვლა? გრძნობთ თუ არა განსხვავებას თქვენს სცენურ განცდებში ასეთ დროს?*

– რა თქმა უნდა, ახდენს გავლენას (მან ეს კარგად იცოდა. რამდენჯერმე გამოიცვალა თეატრი).

*67 – როლში, რომელსაც ხშირად თამაშობთ, ხომ არ შეგინიშნავთ – როდის კარგავს როლი სიახლეს; ხომ არ შეგიძლიათ მეტნაკლები სიზუსტით თქვათ, მერამდენე წარმოდგენაზე ხდება ეს?*

– დაახლოებით მეათე წარმოდგენის შემდეგ. ვცდილობ აღვადგინო დაკარგული.

*68 – გქონიათ თუ არა შემთხვევა, როლი გეთამაშათ დიდი ინტერვალის შემდეგ? ხომ არ გზღუდავთ როლის ხელახალი მომზადების დროს მისი პირვანდელი შესრულება?*

– როდესაც როლი მეორედ, დიდი ხნის შემდეგ მითამაშია, ყოველთვის პირველადზე უფრო სუსტი ყოფილა. მაგალითად, ეკატერინე ჭავჭავაძე სპექტაკლში „ბარათაშვილი".

* * *

როგორც ენახეთ, ანკეტის 68 კითხვიდან მსახიობმა უპასუხოდ მხოლოდ სამი დატოვა. ნიშანდობლივია ისიც, რომ მისი პასუხები ყოველთვის მოკლეა, სხარტი, მრავალსიტყვაობით არ გამოირჩევა.

როდესაც ქალბატონმა სალომემ თავისი პასუხები წამიკითხა, გარკვეული უკმარისობის გრძნობა დამრჩა, მომეჩვენა, რომ კიდევ რაღაცა აქვს სათქმელი და, ჩემის მხრივ, დამატებითი კითხვები შევთავაზე. მათგან მხოლოდ ზოგიერთს გავაცნობ მკითხველს.

*– ვინ არის თქვენი საყვარელი პარტნიორი?*

პასუხი – სრულიად არასწორად ვთვლი, როდესაც დასში გამოარჩევენ ხოლმე საყვარელ პარტნიორს.

სხვადასხვა სპექტაკლში სხვადასხვა პარტნიორი გვყავს; მუშაობის პერიოდში ვლინდება მათი დამოკიდებულება რეპეტიციისადმი და აქედან გამომდინარე, მიჩნდება ჩემი განწყობილება მათ მიმართ; ყველა, ვინც ეხმარება სპექტაკლს, მონაწილეებს, ეს იქნება სცენის მუშა, თუ რადისტი, ჩემთვის საყვარელი პარტნიორია. ვინც ხელს მიშლის, არაპროფესიულად იქცევა რეპეტიციაზე, უყურადღებოა, როდესაც მზადდება სპექტაკლი – ჩემი მტერია!

*კითხვა – დაასახელეთ 5 როლი, რომელზეც ოცნებობთ ან გიოცნებიათ.*

პასუხი: შილერის „მარიამ სტიუარტი" – ელისაბედი, ბრეხტის „დედილო კურაჟი", ჩეხოვის „ალუბლის ბაღი", შექსპირის „ანტონიუს და კლეოპატრა", გორკის „ვასა ჟელეზნოვა" – ვასა.

*კითხვა – ყველა როლს უნდა ჰქონდეს ეპიზოდი, რომლისთვისაც მსახიობი გამოდის სცენაზე. რომელი იყო ასეთი ეპიზოდები თქვენს ვალკაში, ვორონკაში, მოდში?*

პასუხი – სერგეის სიკვდილის შემდეგ სცენა ვალკაში, ბოლო სცენა კრუჩინინასთან; მოდში – თითქმის ყოველი სცენა იყო ის ეპიზოდი, რომელსაც მოუთმენლად ველოდი.

*კითხვა – თქვენი პროფესიის გარდა, რა საქმეს აკეთებთ ყველაზე უფრო დიდი სიამოვნებით?*

პასუხი – ვარ სამზარეულოში და ვუმასპინძლდები საყვარელ ხალხს, მეგობრებს. ვმასპინძლობ!

პასუხები როგორც ანკეტის, ისე ჩემს შეკითხვებზე, ძალიან საინტერესოდ მიმაჩნია. ისინი ბევრ რამეს ფენენ ნათელს. ამ პასუხების მიღმა სულ ახლებურად დავინახე დიდი ხნის და როგორც მეგონა – კარგად ნაცნობი ადამიანი.

ჩემს კითხვებზე გაცემული პასუხებიდან ერთმა გულიც მატკინა და დანაშაულის გრძნობაც აღმიძრა. კითხვაზე – დაასახელეთ ქართულ თეატრისმცოდნეობაში მსახიობის შესახებ დაწერილი რომელი მონოგრაფია, რომელი სტატია მიგაჩნიათ საუკეთესოდ, – ძალზე მოკრძალებულმა, უპრეტენზიო მსახიობმა თითქოს ხუმრობით მიპასუხა:

„ნათელა ურუშაძის – სალომე ყანჩელის 50 წლისთავზე წაკითხული მოხსენება".

თურმე რა ტკივილს ატარებდა სცენის ეს მაღალნიჭიერი ოსტატი, რამოდენა ვალი დაგვადო... და ვაი, რომ ეს ვალი დღემდე გადაუხდელი გვაქვს.

ლალი ყურულაშვილი.

## ღირსეულნი

თამაზ კიკნაძე ხარაგაულის ხალხური შემოქმედების მიმდევართა იმ კატეგორიას ეკუთვნის, ვინც ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ივანე აბაშიძის საგუნდო შემოქმედების დაუვიწყარი სკოლა გაიარა.

მამინდელ თაობას, ალბათ, კარგად ახსოვს ანსამბლის ლოტბარი ხელოვნებისა და თამადობისათვის დაბადებული კაცი გივი ბუაჩიძე, რომელიც სხვა მომღერლებთან ერთად თავისი ბუნებრივი, ლამაზი მიხვრა-მოხვრით და იუმორით ასრულებდა იმერულ საოხუნჯო ფერხულში სოლოს: – „გოგოს ვეპარებოდი"...



# „გოგოს ვეპარებოდი"...

წავიდა ძველი თაობა, მოვიდა ახალი, რომლებიც სახელოვანი მამულიშვილების მიერ შემონახულ ფოლკლორს დაეწაფნენ და არსებობას უხანგრძლივებენ.

ამ თაობას ეკუთვნის თამაზ კიკნაძეც, რომელმაც საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება განვლო. ჯერ იყო და საშუალო სკოლაში სწავლისას ჩაირიცხა ხარაგაულის დიდ ანსამბლში. აქ ჩაესახა ქართული ხელოვნებისადმი უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა, რომელსაც უკვე ოთხ ათეულ წელზე მეტია უანგაროდ და რუდუნებით ემსახურება.

ეს გრძნობა კიდევ უფრო გაღრმავდა, როცა თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის თეატრალური განყოფილება დაამთავრა.

მახსოვს, რა შემართებით დადგა სადიპლომო სპექტაკლი – პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება". პირველმა წარმატებამ ფრთები შეასხა თამაზ კიკნაძეს. მას შემდეგ, როგორც სახალხო თეატრის რეჟისორს, დადგმული აქვს გ. შატბერაშვილის „ფიქრის გორა", ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება", დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი" და „სოლომან მორბელაძე", ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა", ა. ჩხაიძის „დაბრუნება" და სხვა, სადაც მთავარ როლებს თვით რეჟისორი ასრულებდა.

ამ პერიოდში დევი აბაშიძის მიერ დადგმულ ირ. ჭავჭანიძის პიესაში „კეთილი მეზობლები", ქართული სცენის ოსტატს იპოლიტე ხვიჩიასაც კი უწევდა პარტნიორობას. გადაღებულია ორ სატელევიზიო ფილმში: ა. ნინუას „ცაბუნია" და გ. ვეფხვაძის „ხსოვნა".

ხარაგაულის სახალხო თეატრი თამაზ კიკნაძის ხელმძღვანელობით მონაწილეობს ხოლმე სახალხო თეატრების რესპუბლიკურ ფესტივალზე, მაგალითად: „დარისპანის გასაჭირს" (მთავარ როლში თ. კიკნაძე) „გრან პრი" და ფულადი პრემია მიენიჭა. წარმატება ხვდათ ლატვიის ქალაქ ლიბაეშიც, საერთაშორისო ფესტივალზე.

მრავალმხრივია თამაზ კიკნაძის, როგორც ხელოვანის შემოქმედება – თითქმის ყველა ჟანრს ფლობს. 1952 წლიდან მხატვრული შემოქმედების რესპუბლიკური დათვალიერებების მონაწილეა. ანსამბლთან ერთად იმყოფებოდა პოლონეთის „ზელენა გორას" საერთაშორისო ფესტივალზე, მონაწილეობდა ლვოვის, რიგის, კიევის, მოსკოვის და სხვა ხალხური შემოქმედების დღესასწაულებში. სიამოვნებით გაიხსენა, თუ როგორ უდირიჟორა გაერთიანებულ ანსამბლს ლატვიის ქალაქ ვენსპილში გამართული ფესტივალის დასკვნით ნაწილში სიმღერა „სულიკოს".

მისმა ანსამბლმა „შემოძახილმა", ზესტაფონში გამართულ ხალხური სიმღერის ფესტივალზე „სულიკო-88", დაიმსახურა ვარინკა წერეთლის სახელობის მთავარი პრიზი. ახლა კი ხარაგაულის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან ჩამოყალიბებულ ბავშვთა ფოლკლორულ ჯგუფს „საუნჯეს" ხელმძღვანელობს, რომელმაც შარშან რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ლაურეატის წოდება მოიპოვა.

ხარაგაულის კულტურის ცენტრის დირექტორი, სახალხო თეატრის რეჟისორი, ხალხური შემოქმედების მცოდნე და თავდადებული მსახური დღესაც ჩვეულ ფორმაშია – იგი ყველგან არის, სადაც ჩვენი ეროვნული კულტურის წარმოჩენის აუცილებლობაა. „ჰეი აღილა", „იმერული მგზავრული", „მაყრული" და სხვა იმერული სიმღერები როცა ეთერში ჟღერს, უეჭველად მოგხიბლავთ თამაზ კიკნაძის ომახიანი, ქართული ეშხით შემკობილი ხმა და ეს უკვდავი ქმნილებები. ყველაფერი კი მაინც სიმღერით „გოგოს ვეპარებოდი" მთავრდება.

უთუოდ დასაფასებელია ასეთი ხელოვანი და კიდეც დაფასდა მისი ღვაწლი ღირსების ორდენით!

**ჰენრი შარიქაძე.**

*სურათზე: თამაზ კიკნაძე.*

## ღიმილიანი ეპიზოდები

# დებიუტი არ შედგა

პირველი წარმოდგენა... დებიუტი... პირველი, თუნდაც სულ უმნიშვნელო, პატარა როლი, დიდი მოვლენაა დამწყები მსახიობის ცხოვრებაში და განა მარტო მსახიობის? მის ნათესავთა, გულშემატკივართა ცხოვრებაშიც...

რუსთაველის თეატრში რჟეშევსკისა და კაცის „ოლეკო დუნდიჩის" პრემიერა იყო. მასში პირველად გამოდიოდა ახლად ინსტიტუტდამთავრებული მსახიობი თინა ბოლქვაძე... დიდი როლი არ ჰქონდა, დიდი კი არა პატარა როლიც არ ჰქონდა... მხოლოდ ორი გავლა ჰქონდა სცენაზე... პირველ აქტში ავანსცენაზე უნდა გაევლო მარცხნიდან მარჯვნივ, მეორე აქტში კი იგივე ავანსცენაზე მარჯვნიდან მარცხნივ უნდა გადაერბინა... სულ ეგ იყო... თინას პირველი როლი... პირველი როლი!..

წარმოდგენაში სხვა მსახიობებიც თამაშობდნენ, დიდებიც, საშუალონიც, პატარანიც, მაგრამ ისე, როგორც თინა ბოლქვაძე ღელავდა, არავინ არ ღელავდა და განა მარტო თინა? ახლო ნათესავებს არ იკითხავთ? საბედნიეროდ, თინას ბევრი ნათესავი, ბევრი მეგობარი და მოკეთეთა დიდი წრე ჰყავს. იმ დღეს სხვა მსახიობებმა ნათესავებისთვისაც ვერ იშოვეს ბილეთები, სულ თინას შინაურებით იყო სავსე მაყურებელთა დარბაზი, ბევრ მათგანს ხელში ეჭირა ყვავილები, რომლითაც ახალბედა უნდა წაეხალისებინათ და გზა დაელოცათ. ცხადია, სანათესაო ღელავდა და ჩქარობდნენ ენახათ იგი სცენაზე!

იმ დღეს თინა ერთის მაგიერ ორი საათით ადრე გამოცხადდა თეატრში. საგულდაგულოდ გაიკეთა გრიმი და რადგან ძალიან ადრე იყო, იქვე წამოწვა რბილ სავარძელზე.

თინას ნათესავები მღელვარებას ვერ მალავდნენ, პირველი მოქმედება გათავდა და თინა სულაც არ გამოსულა სცენაზე, არ გაუვლია მარცხნიდან მარჯვნივ... ნეტა რა მოხდა? ან როგორ მოიფიქრებდნენ, რომ ნერვიულობისაგან მთელი ღამის უძილოს, იმ ფუმფულა ტახტზე ჩაეძინებოდა?..

თინას მდგომარეობა კი... მტრისას... რა ბევრი სცენა იმას ჰქონდა, რომ ისიც გამოტოვო? უკიდურესად სასოწარკვეთილმა თავი იმით დაიმშვიდა, რომ კიდევ დარჩა ერთი გადარბენა მარჯვნიდან მარცხნივ და ნახავენ რა „ნიჭიერად" გადაირბენს! რა ცეცხლოვნად, რა აზარტით!

მოვიდა მისი გამოსვლის დროც, კულისებშივე შეკრა კმარა, „გამოფრინდა" ...ზედ შუა სცენაზე კი წაიქცა...

წარმოდგენის შემდეგ ყვავილებით ხელდამშვენებული სანათესაო ამაოდ ეძებდა სცენაზე დებიუტანტს, იგი თეატრიდან გაიპარა...

დებიუტი არ შედგა...

**ელენე საყვარელიძე.**

## მეგობრული შარჟები



აკაკი ვასაძე.



თამაზ თოლორაია.



მერაბ თაბუკაშვილი.

*ბელა ღურჭლიშვილის ნახატები.*

## მუსიკალური სალონი

# „მუსიკა ჩემი სიცოცხლეა..."

თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში ცხოვრობს ბავშვობიდან ხელოვნებაზე უზომოდ შეყვარებული ახალგაზრდა ჯუმბერ ამანათაშვილი.

ჯუმბერის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი მუსიკამ დაიმკვიდრა. ხშირად იგი გვევლინება თავისი სიმღერების ტექსტის ავტორადაც და შემსრულებლადაც. ჩემთვის დაუვიწყარია ის ტკბობა, რაც მის მიერ გალაკტიონის ლექსზე დაწერილმა ღრმად პატრიოტულმა სიმღერამ „იავნანამ" მომანიჭა.

ჯუმბერმა ეს ნაწარმოები დაწერა ჯერ კიდევ ქართული სამუსიკო გიმნაზიის მე-8 კლასში სწავლისას. საკმარისია თვალი გადავავლოთ მის სიმღერებს, რომ უმალ დავრწმუნდებით, თუ ვინ არის კომპოზიტორის სათაყვანებელი პოეტი, იგი ქართული პოეზიის სიამაყე გალაკტიონია.

ჯუმბერის ცხოვრებაში ფორტუნამ განსაკუთრებული როლი შეასრულა კონსერვატორიაში სწავლისას. ხელოვნების დიდ გაძარში იგი შეხვდა ზაარბრიუკენის სკოლის პედაგოგს ქალბატონ მარლის იორდანს, რომლის წყალობითაც ჯუმბერი გახდა ზაარბრიუკენის უმაღლესი მუსიკალური სკოლის სტუდენტი. ამ ქალბატონის მეშვეობით ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდა საფრანგეთსაც ეწვია. არც ჯუმბერი დარჩენილა ვალში, მან ზაარბრიუკენს მიუძღვნა მუსიკალური კომპოზიცია, რომელსაც არანაკლები ხიბლი შესძინა ნიჭიერმა ჭაბუკა ამირანაშვილმა. ნაწარმოები შესრულდა ავსტრალიაში, შვეციაში, რუსეთსა და ჩვენშიც, ფესტივალ „მანა-95"-ზე.



კომპოზიტორის კალამს ეკუთვნის სიმღერები „იდიდე მშვიდობავ", „მხოლოდ და მხოლოდ თავისუფლება", „რაც უფრო შორს ხარ", „მოვა, მაგრამ როდის", „წყლის ნაპირზე", „ნუ მაკვირდები", „კოკით ხელში", „მიყვარხარ, ზაარბრიუკენ"! „საიდუმლოს გაგიმხელ", „შენი ბრალია", „გოგოვ, გოგოვ შავთვალა", „ჩემო დედაქალაქო", „მე შენ მიყვარხარ", „მოგონება", „რა მინდოდა, რა ტყუილად ვმღეროდი", „ტკბილო საქართველო", „რამ მასწავლა დარდიანი სიმღერა", „ვისაც ველი, ის არ მოვა", „უცნობი", „საით მივყევარ ჩემს გზას". არანაკლები დონით გამოირჩევა მის მიერ შექმნილი სერენადა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის და „მოგონება ჯორჯ გერშვინზე".

საგულისხმოა, რომ ჯუმბერი ზაარლანდის მხარის პრეზიდენტმა ოსკარ ლაფონტენმა თავის სასახლეში მიიწვია. მისი ავტოგრაფი სხვა რელიკვიებთან ერთად ამშვენებს ჯუმბერის მდიდარ კოლექციას.

გარდა იმისა, რომ ზაარბრიუკენში კომპოზიტორი ეწეოდა ქართული სიმღერების პროპაგანდას, მან თავის საშემსრულებლო პრაქტიკაში პირველად, პატარა ქალაქ სანქტ-ინგბერტის ეკლესიაში, კლავესინზე შეასრულა ჰენდელისა და ვივალდის ნაწარმოებები, პარტნიორობას კი უწევდა გერმანელი მევიოლინე.

ჯ. ამანათაშვილის სიმღერების პოპულარიზაციასა და ტკბილხმოვანებაში დიდი წვლილი მიუძღვით ისეთ შემსრულებლებს, როგორებიც არიან: ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე, ჭაბუკა ამირანაშვილი, ეკა კვალიაშვილი, გია სურამელაშვილი. ზოგიერთისთვის კომპოზიტორი საგანგებოდაც კი ქმნის სიმღერებს.

ნიჭიერი კომპოზიტორის სამუშაო მაგიდაზე ჯერ კიდევ მელანშეუშრობელი ახალი ნაწარმოებები დაგროვილა. იგი ახლახანს დაბრუნდა გერმანიიდან, სადაც წარმატებით გამართა საქველმოქმედო კონცერტი, რამაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა პრესაში.

**რუსუდან თულიანი-ჩხეიძე.**

## ჩვენი კალენდარი

# მილოცვა

15 მაისი საქართველოს დამსახურებული არტისტის **ვიოლეტა პაქსაშვილის** დაბადების დღეა – გილოცავთ ქ-ნო ვიკა.

* * *

16 მაისი საქართველოს სახალხო არტისტის, მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატის, თბილისის საპატიო მოქალაქის **ვახტანგ ტაბლიაშვილის** დაბადების დღეა.

მრავალჟამიერ, ბატონო ვახტანგ!

სარედაქციო კოლეგია:
გურამ გოგიაშვილი, ნანა ღვინეფაძე (რედაქტორი), რუსუდან მუხიგულაშვილი, გიორგი ლალიაშვილი.

### პირველად სტრასბურგში

პარიზში გაიხსნა ახალგაზრდა ქართველი მხატვრის ნატო ამირეჯიბის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა, რომელიც გახსნა საქართველოს ელჩმა საფრანგეთში გოჩა ჩოგოვაძემ. ეს თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულის უკვე მესამე გამოფენაა საფრანგეთში. სპეციალისტთა და პრესის წარმომადგენელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გრაფიკული ნამუშევრები. ერთხმად აღინიშნა მათი ორიგინალობა და დახვეწილობა.

ნატო ამირეჯიბი ბოლო სამი წელი საფრანგეთში სწავლობდა და წარჩინებით დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტის სამხატვრო ფაკულტეტის ასპირანტურა. ამ მხრივ იგი საფრანგეთში ნასწავლი ქართველი მხატვრების გუდიაშვილის, ახვლედიანის და კაკაბაძის ტრადიციების გამგრძელებელია. ივნისის თვეში მოეწყობა მისი პერსონალური გამოფენა ევროპის საბჭოში. იგი პირველი ქართველი მხატვარია, ვისი ოფიციალური გამოფენაც გაიმართება ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში. გამოფენის გახსნის ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ლენი ფიშერი. პარალელურად გაიმართება მიღება, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის 80 წლისთავს მიეძღვნება.

### „იკაროსის დალუპვა"

– ბედნიერებისა და სიხარულის განცდას კარგა ხანია გადაჩვეული ვარ, ცხოვრებაში უბედურება არ დამკლებია, მაგრამ განგების ძალამ ყველაზე დიდი მწუხარება – შვილის დაკარგვის სიმწარეც მაგემა. იმ უმძიმეს ტრაგედიებთან შედარებით, რაც ბოლო წლებში ჩვენს სამშობლოს დაატყდა, პირადი გლოვა რა სახსენებელია, მაგრამ მე მხოლოდ საკუთარ ტკივილებზე არ ვწერდი,




სხვათა უნუგეშო ხვედრიც მგაბნჯავდა. ჩვენს სასტიკ დროში მოწამე ხდება სამინელებათა, რისი გულსა და ტვინში დატევა თითქმის შეუძლებელია. ეს წიგნი, ალბათ, ყველაზე ძნელი წასაკითხი იქნება იმათ მორის, რაც დღემდე გამომიცია – ამბობს ემზარ კვიტაიშვილი თავის ეს-ესაა დასტამბულ ლექსთა კრებულის „იკაროსის დალუპვის" წინათქმაში.

წიგნი გამოსცა გამომცემლობა „მერანმა".

### პური ყელზე დაადგა

ხელვაჩაურის რაიონის პურკომბინატის მაღაზიის ყოფილმა დირექტორმა, 1975 წელს დაბადებულმა ტარიელ სირაძემ 1998 წლის იანვრიდან მაისამდე 2152 ლარის ღირებულების პურის ფქვილი დაიტაცა. მსს პრესცენტრის ცნობით, სირაძე დააკავა ხელვაჩაურის პოლიციამ.

### „ჩემი შვილი მეწვანილედ მინდოდა"...

საბაჟოს გვერდის ავლით, დეკლარაციაში ყალბი მონაცემების ჩაწერით თბილისის მოქალაქემ, 44 წლის ჯუმბერ პეტრიაშვილმა თურქეთიდან საქართველოში შემოიტანა 3500 ლარის ღირებულების 5 ტონა ბოსტნეული და ხილი. იგი ამხილეს საქართველოს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა.

როგორც გვას კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში აცნობეს, ამ საქმის მასალები უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და ჩვენმა კორესპონდენტმა.**

საკონცერტო დარბაზებში

# გიორგი შილაკაძე — სწრაფვა მიზნისაკენ

კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა მოუწყო მსმენელს კამერულმა ორკესტრმა „თბილისის კონცერტინომ". ეს ორკესტრი, რომლის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელია მრავალმხრივი მუსიკოსი, კომპოზიტორი და დირიჟორი შალვა შილაკაძე, 1990 წლიდან დაკავშირებულია ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანებასთან (გენერალური დირექტორი – ციური გარუჩავა) და სწორედ ამ გაერთიანების კამერული ორკესტრის სტატუსით მოღვაწეობს. მოგიერთი პრობლემის მიუხედავად (უმთავრესად, ფინანსურის!), „თბილისის კონცერტინო" არ არღვევს შემოქმედებითი პროცესის მისთვის ჩვეულ, ინტენსიურ რიტმს და ამგვარად ყოველთვის სტაბილურ ფორმაში იმყოფება. ამას კი ისიც ცხადყოფს, რომ მის შემოქმედებას უცხოეთშიც აფასებენ და საგასტროლოდაც ხშირად იწვევენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში – გერმანიაში, ესპანეთში, შვეიცარიაში...



ამჯერად ორკესტრმა კონცერტი გამართა კონსერვატორიის მცირე დარბაზში. „თბილისის კონცერტინოს" სადირიჟორო პულტთან იყო ბატონი შალვას ვაჟი – ახალგაზრდა მუსიკოსი, დირიჟორი გიორგი შილაკაძე.

მის მიერ შერჩეულ პროგრამას მრავალფეროვნება გამოარჩევდა – რიჰარდ ვაგნერის „იდილია ზიგფრიდი", გუსტავ მალერის სიმფონია № 10, ადაჟიო, თბილისში პირველად აჟღერდა სემუელბარბერის „კაპრიკორნ კონჩერტო". კონცერტის დასასრულს შესრულდა მოსტაკოვიჩის პირველი საფორტეპიანო კონცერტი, რომელშიც სოლისტად მოგვევლინა 14 წლის მოზარდი, საერთაშორისო კონკურსის დიპლომანტი გური ჩიტაიშვილი, რომლის დაკვრამ სიჭაბუკის, სიცოცხლის სისხლსავსე, ჯანმრთელი შეგრძნება დატოვა და მსმენელთა დამსახურებული მოწონებაც მოიპოვა.

შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა, ძლიერი ნებისყოფა, პროფესიული პასუხისმგებლობა, გიორგი შილაკაძის ის თვისებებია, რომელთა მაქსიმალური რეალიზაცია, უეჭველად საუკეთესო შედეგს მოუტანს მას, როგორც ხელოვანს. იგი ხომ სადირიჟორო მოღვაწეობის რთულ გზაზე მოძრაობას ახლა იწყებს და სასიამოვნოა, რომ ეს პირველი ნაბიჯები მსმენელთა სიმპათიებს იმსახურებს.

გიორგი შილაკაძის ხელწერას გამოარჩევს სტილის კარგი ფლობა, კომპოზიტორის აზროვრივ სამყაროში ოსტატური წვდომა, ზომიერების გრძნობა და თვითჩაღრმავების უნარი. მის სადირიჟორო ჟესტში, რომელშიც თითოეული დეტალია გათვლილი, სიმკვრისა და სიმუსტის გაწონასწორებულობა შეიგრძნობა. ყოველივე ზემოთქმული, ჰარმონიულად არის გაჯერებული დახვეწილ მუსიკალურ გემოვნებასთან, კონცენტრირებულ და დიფერენცირებულ ყურადღებასთან. ამ თვისებების კონგლომერაციის შედეგად, კი, გიორგი შილაკაძე შესრულების დამაჯერებელ მხატვრულ დონეს აღწევს.

„თბილისის კონცერტინომ" კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ამ ორკესტრს, ძალუძს საინტერესოდ ააჟღეროს სხვადასხვა სტილისა და მუსიკალური მიმართულების თხზულებები.

ივნისის ბოლოს, ორკესტრი დიდ ბრიტანეთში მიემგზავრება, სადაც მის შემოქმედებას გაიცნობენ ლონდონელი და ედინბურგელი მსმენელები.

კონცერტისაგან მიღებულ შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ საქართველოს სახალხო არტისტი, კომპოზიტორი იოსებ კეჭაყმაძე და საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი.

**იოსებ კეჭაყმაძე:** „უკვე მეორედ დავესწარი გიორგი შილაკაძის საჯარო გამოსვლას და მიმაჩნია, რომ იგი მზარდი და პერსპექტიული ახალგაზრდაა. კარგი შთაბეჭდილება დატოვა მან მარმანაც, როდესაც საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან შეასრულა ჩაიკოვსკის მეხუთე სიმფონია და პირველი საფორტეპიანო კონცერტი. ამჯერად, მისი პროგრამა სრულიად განსხვავებული იყო და შესრულებამ ცხადყო, რომ მას ხელეწიფება სხვადასხვა ჟანრისა და სტილის ნაწარმოებების ოსტატური შესრულება, მივესალმები!".

**ზაზა აზმაიფარაშვილი:** „უკვე ამ ეტაპზე ჩანს, რომ გიორგი შილაკაძე პერსპექტიული დირიჟორია. მან მაღალ დონეზე შეასრულა საკმაოდ რთული პროგრამა და მოაზროვნე მუსიკოსის შთაბეჭდილება დატოვა. ვულოცავ წარმატებას და ვიმედოვნებ, რომ მომავალში ბევრ შთამბეჭდავ კონცერტს შემოგვთავაზებს".

**ზურაბ ოიკაშვილი.**

სასამართლო

# მაშინ პრეტენზიები არ ყოფილა

**გუშინ ჯაბა იოსელიანისა და სხვათა პროცესზე დამატებით მოწმეებად მოიწვიეს საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო აპარატის იმდროინდელი მუშაკები, რომლებმაც საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარეს დღევანდელ განსასჯელებთან. დამატებით მოწმეებად მოიწვიეს თავად განსასჯელთა თხოვნით, რომლებიც ამტკიცებდნენ, – წინასწარი ძიებისას გვცემდნენ, გვაწამებდნენ, ჩვენებებს გვძალავდნენო.**

### მოდი, დამინალმე „ნივა"

მოწმის ტრიბუნასთან პირველი მივიდა უფროსი გამომძიებელი თენგიზ კვარაცხელია. მას უშუალო შეხება ჰქონია ოთხ განსასჯელთან, – გურამ პაპუკაშვილთან, ლევან მაძღარაშვილთან, გოჩა თედიაშვილსა და თემურ ხაჩიშვილთან. ყველაზე უწინ კითხვები მოწმეს ჯემალ ლეონიძემ დაუსვა:

– წინასწარი ძიებისას განსასჯელები თუ ჩიოდნენ ფიზიკურ ზემოქმედებაზე, ჩვენებების გამოძალვაზე?

– ჩემთან არავის არაფერზე არ დაუჩივლია.

– დაკითხვას ადვოკატები ყოველთვის ესწრებოდნენ?

– დიახ, ყოველთვის.

– ჩვენებები ზოგჯერ მაგათი დაწერილია, ზოგჯერ – თქვენი. რატომ?

– როცა ჩვენ ვწერდით, ეგენი კითხულობდნენ და მერე ხელს აწერდნენ.

– პრეტენზიები, შენიშვნები არ ჰქონდათ?

– არა!

ამის შემდეგ გამომძიებელთან პირისპირ დადგნენ განსასჯელები. პაპუკაშვილის თქმით, 1995 წლის 17 სექტემბრიდან 24 სექტემბრამდე მეტი ცემისაგან გონს კარგავდა, სისხლი უწვევდა. იგი გამომძიებლამდე კარგად „დამუშავებული" მიდიოდა. მაგრამ ამის შესახებ თურმე მას არაფერს ეუბნებოდა. ისე, ერთი-ორჯერ თენგიზ კვარაცხელიას შეუტყვია გურამ პაპუკაშვილის ავადმყოფობა, წამალიც მიუტანია და ექიმიც გაუგზავნია, მაგრამ არ ვიცი, რის გამო იყო ავად, ეს სამედიცინო ნაწილში უნდა დააზუსტოთო.

საინტერესო ფაქტია: ერთხელ თენგიზ კვარაცხელიას გურამ პაპუკაშვილისათვის საკუთარი „ნივა" შეუთავაზებია... დასანაღმად. ახლა ჰკითხეს – რატომო? გურამ პაპუკაშვილის საქმე უშიშროების სამსახურიდან მოვიდა. ისე ლამაზად ჰქონდა ჩაწიკწიკებული ჩვენება „ნივის" დანაღმვის შესახებ (რომლითაც შემდეგში სახელმწიფოს მეთაური აფეთქეს), რომ ექსპერიმენტის ჩატარება განვიზრახეთ, – უპასუხა გამომძიებელმა...

საბრალდებო დასკვნით, სოლიკო ხაბეიშვილი და მისი მძღოლი აკაკი დალაქიშვილი მოკლეს მაკუჩიანი პისტოლეტებით, რომლებიც წინა დღით გამყენტის ქუჩაზე დაქირავებულ ბინაში გამოსცადეს გოჩა თედიაშვილმა და გოჩა გელაშვილმა. ბინის ჩხრეკა და ტყვიის გულების ამოღება გადაუღიათ ვიდეოკამერით. ფირი საქმეში არ დევს. რატომ? გამოძიებამ ალბათ საჭიროდ არ ჩათვალა მაგ ფირის საქმეში ჩადება. პრობლემა არ არის, თუ საჭიროა, მოვიძევთ და წარმოვადგენთ, – დაპირდა სასამართლო კოლეგიას თენგიზ კვარაცხელია.

ფირთან ერთად განსასჯელებმა თანამოწმეების დაკითხვაც მოინდომეს. მათი აზრით, გამოძიებამ თანამოწმეებზე ზემოქმედება მოახდინა. თანამოწმეებსაც მოვიწვევთ, – ახლა უკვე მოსამართლემ დააწყნარა განსასჯელები...

თენგიზ კვარაცხელიას გაუხსენეს გია მიქაძეც, რომელმაც 1995 წლის 26 აგვისტოს, ჯერ კიდევ ცნობილ ტერაქტამდე და მხედრიონელთა დაპატიმრებამდე, აღიარა ედპ-ს თავმჯდომარის გია ჭანტურიას მკვლელობა. აღიარებიდან მოკლე ხანში ეს საქმე (მიქაძესთან ერთად კიდევ ყოფილა არომიძე და აბზიანიძე) სხვისთვის გადაუციათ და შემდგომი მოვლენებისთვის თენგიზ კვარაცხელიას თვალი აღარ მიუდევნებია. ვითარებაში გასარკვევად პროცესზე თავად გია მიქაძე მოვა...

### რვეულები საიდუმლო გრიფით

ცოტა თენგიზ კვარაცხელია გააჯანჯლეს, თორემ შემდეგი გამომძიებლები, – კობა ნარჩემაშვილი, ნუკრი იოსებაშვილი, დავით მინაშვილი და ბესიკ ჭეჟია განსასჯელებმა სწრაფად გაუშვეს. კითხვები ძირითადად ასეთი იყო:

– ნიკოლოზ ვედევანიშვილი ჩივის, ჩემი ოჯახის მიერ დაქირავებული ადვოკატი ლეილა ბერუაშვილი ჩემამდე არ მოუშვესო.

– ლეილა ბერუაშვილი თავისით მოვიდა, არ ამბობდა, – საიდან, ვისგან. მერე მასზე უარი ისევ ოჯახმა თქვა.

– რატომ არ შედგა ნიკა კვეზერელის ამოცნობა, როცა იქ დაზარალებული მარიამ გოკილი მოვიდა?

– კვეზერელი წინასწარ შეხვდა თავის ადვოკატს, ესაუბრა; ჩემი შინაგანი რწმენით, იგი მიხვდა, რომ დაზარალებული აუცილებლად ამოიცნობდა. ამიტომაც საკანში შევიდა და აღარ გამოვიდა. ძალით ხომ არ გამოვიყვანდი?

– რატომ ამოიღეთ გურამ პაპუკაშვილის ბინიდან ორი რვეული საიდუმლო გრიფით. ისინი ხომ უშიშროების სამსახურისა იყო?

– სანქცია გაცემული იყო ბინის ჩხრეკაზე, – რაც ამოვიღეთ, დავაფიქსირეთ, ოქმში შევიტანეთ, საქმეს დავურთეთ. იქნებ მიგ გამოძიებისთვის საინტერესო ცნობები იყო?

– რად დაჰკითხეთ მოწმე ლევან ცაგარეიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროში, როცა თქვენ პროკურატურაში მუშაობთ?

– ჩვენი საგამოძიებო ჯგუფი პოლიციასთან ერთად მუშაობდა. ოპერატიული მუშაკები იმათთან იყვნენ, რომლებიც ვალდებული იყვნენ მოწმეთა გამოძახებაზეც და, თუ საჭირო იქნებოდა, – იძულებით წარმოდგენაზეც...

მეხუთე იზოლატორს 1995 წლის დეკემბრამდე ერქვა დროებითი დაკავების საკანი, რომელშიც ეჭვმიტანილები უნდა გაეჩერებინათ დიდი-დიდი 15 დღე. ახლანდელი განსასჯელები კი იქ ისხდნენ ლამის ოთხი თვე. ამის გამო ისინი შეედავნენ თითქმის ყველა გამომძიებელს. მათი პასუხი კი ერთი იყო, – მაგ საკითხის გადაწყვეტა ჩვენს კომპეტენციაში არ შედიოდაო...

განსასჯელთა ფიზიკური თუ მორალური ზემოქმედების თაობაზე ორშაბათიდან პროცესზე დამატებით მოწმეებად მოგვევლინებიან თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი სოსო ალავიძე და გენერალური პროკურატურის გამომძიებელი გულბაათ ბესიაშვილი. წინასწარი გამოძიების დროს ამ საქმესთან უშუალო შეხება მათაც ჰქონდათ.

როგორც პროცესზე ითქვა, მომავალ კვირას დარბაზში ასევე ვიხილავთ გერმანიაში საქართველოს ელჩს კოტე გაბაშვილს, რომელიც მოწვეულია ზუგდიდის ეპიზოდთან დაკავშირებით.

**გონდო გულიაშვილი.**

სხვადასხვა

ხსოვნა

## გიული კობახიძე



საქართველოს სამეანო-გინეკოლოგიურ საზოგადოებას უეცრად გამოაკლდა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, უმაღლესი კატეგორიის მეან-გინეკოლოგი, მესანიშნავი პიროვნება – **გიული კობახიძე.**

მოულოდნელად უმტყუნა გულმა, რომელიც უდიდეს სითბოსა და სიყვარულს იტევდა, არ აკლებდა ამ ღვთისაგან მონიჭებულ მადლს თავის პაციენტებსა და ყველა ახლობელს, ვის გვერდითაც უწევდა ყოფნა.

1951 წელს დაამთავრა თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. იმავე წელს დაიწყო მუშაობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამხედრო ჰოსპიტლის სამეანო-გინეკოლოგიურ განყოფილებაში. შემდგომ წლებში მუშაობდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში მეან-გინეკოლოგად. 1968 წლიდან 10 წლის მანძილზე მუშაობდა №5 სამშობიარო სახლის და №1 მედსანნაწილის სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების გამგედ. 1978 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა თბილისის პროფ. პ. შუშანიას სახ. №3 სამშობიარო სახლში მეან-გინეკოლოგად. წლების მანძილზე იყო რესპუბლიკის სანავიაციო და ქალაქის საკონსულტაციო ბიუროს კონსულტანტი.

ქალბატონი გიული იყო მაღალკვალიფიციური მეან-გინეკოლოგი, დაუღალავი, ენერგიული ექიმი, რომლის პროფესიონალიზმი და საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობა ახსოვთ რესპუბლიკის ყველა რაიონის მეან-გინეკოლოგებს, სადაც მას იწვევდნენ საკონსულტაციოდ და დახმარების აღმოსაჩენად.

იყო მესანიშნავი მეუღლე, დედა და ბებია, საოცრად მართალი და პირდაპირი, ახალგაზრდების მასწავლებელი, არავისთვის იშურებდა თავის ცოდნას და გამოცდილებას.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი ქალბატონი და დაგვიტოვა დიდი გულისტკივილი. ძნელია შევეგუო აზრს, რომ ჩვენს შორის აღარ იქნება საოცრად ახალგაზრდული სულისა და დიდი გულის მქონე ადამიანი.

**თბილისის პროფ. პ. შუშანიას სახ. №3 სამშობიარო სახლის თანამშრომლები.**

---

აკად. პ. სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოში სამეცნიერო რევმატოლოგიის ფუძემდებელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი

ვლადიმერ გიორგის ძე წითლანაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის და რეაბილიტაციის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის, პროფესორის, აკადემიკოსის

ვლადიმერ გიორგის ძე წითლანაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

---



მეუღლე ეთერი, შვილები გია, მაია, შვილიშვილები ნათია, ამური, ელა, და ცირა, რძლები ზინა არჩუაძე, ზაირა ქობლიანიძე, ირინა ლაფაჩი, სიძეები შალვა მაისურაძე, ზურა წკრიალაშვილი, ზურა ნასყიდაშვილი, ძმისწულები მედიკო, ამლიკო, მაგდა, დისწულები ლევანი, მამუკა, მძახლები პაპუნა ლაფაჩი, დურმიშხან ნასყიდაშვილი ოჯახებით, სიდედრი მარიამ ლომიძე, ცოლისძმა გოგი, ცოლისდა ვერიკო ოჯახებით, დეიდები ზინა, ნათელა, ბიძები შოთა, ვიქტორ, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ამურ ლავრენტის ძე სამადალაშვილი

პანაშვიდი 17, 18 V, 5 სთ. დაკრძალვა 19 V, 2 სთ. ქ. გორი, თბილისის ქ. №4.

---

საქართველოს გენერალური პროკურატურა თანაუგრძნობს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ავთანდილ დემეტრაშვილს დედის

ანა ალექსანდრეს ასულ დემეტრაშვილის

გარდაცვალების გამო

---

ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბატონ ავთანდილ დემეტრაშვილს დედის

ანა ალექსანდრეს ასული დემეტრაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს იურისტთა კავშირი და ჟურნალ „სამართლის" რედაქცია თანაუგრძნობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ავთანდილ დემეტრაშვილს დედის

ანა დემეტრაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა თანაუგრძნობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ბატონ ავთანდილ დემეტრაშვილს დედის

ანა დემეტრაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

თბილისის იურიდიული ინსტიტუტი თანაუგრძნობს ირინა და ავთანდილ დემეტრაშვილებს დედის

ანა დემეტრაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, კოლხეთის უბადლო მკვლევარი

ალექსანდრე ბესარიონის ძე მოწერელია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ვენო ფიცხელაური, შვილები ვეუხო, მენველი, ციცინო, ნაირა, რძლები ვისელი ჩუბინიძე, მაია მამულაშვილი, სიძეები ალექსი დემურაშვილი, გოგი კულულაშვილი, შვილიშვილები ლალი, დემური, ალექსი, ნიკო, ნინო, თამარი, მძახლები იზა, აკაკი მამულაშვილები, ლუბა ჩუბინიძე, მაყვალა დემურაშვილი, დისწულები, ძმისწულები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალექსი ნიკოს ძე ფიცხელაური

პანაშვიდი 17, 18 V 4 სთ. დაკრძალვა 19 V 2 სთ. სოფ. ახმაწში (ახმეტის რაიონი).

---

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სამსახურის უფროსის, იუსტიციის პოლკოვნიკის მენველი ფიცხელაურის მამა

ალექსი ნიკოს ძე ფიცხელაური

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა

## ვლადიმერ წითლანაძე



საქართველოს სამედიცინო საზოგადოებამ კიდევ ერთი აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერი, სამამულო რევმატოლოგიის ფუძემდებელი, გულისხმიერი ექიმი და პედაგოგი, საქართველოს რევმატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული რევმატოლოგიური ცენტრის დირექტორი, ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი- რევმატოლოგი, საქართველოს სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი, რევმატოლოგიის კათედრის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვლადიმერ წითლანაძე.**

დაიბადა 1924 წლის 15 ოქტომბერს, ქ. თბილისში, ცნობილი მის – პროფესორ გიორგი წითლანაძის ოჯახში.

1947 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო კურორტ წყალტუბოში, სადაც განვლო გზა რიგითი ექიმიდან მთავარ ექიმამდე. იმავე პერიოდში იწყება მისი სამეცნიერო მოღვაწეობა კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ს/კ ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალში. 1964 წელს იგი ინიშნება საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ს/კ ინსტიტუტის დირექტორად. აქ გამოვლინდა მისი ნიჭი და უნარი როგორც ფართო ერუდიციის მქონე მეცნიერისა და მკვლევარისა. ამ წლების განმავლობაში მისი პირადი ნაშრომები სრულდებოდა კურორტოლოგიისა და რევმატოლოგიის მიჯნაზე, ეხებოდა მეტად რთულ და აქტუალურ საკითხებს – რევმატული დაავადებების მკურნალობას ფიზიკური ფაქტორების გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ ვლადიმერ წითლანაძე განმეწონილად და თანამიმდევრულად მიჰყვებოდა თავისი კვლევის ძირითად ხაზს, რაც აისახა მის, როგორც საკანდიდატო, ასევე სადოქტორო დისერტაციებში, რომლებიც წარმატებით დაიცვა 1962 და 1971 წლებში.

მისი დირექტორობის პერიოდში ინსტიტუტში გაიშალა მასშტაბური კვლევა, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს ჰიდრომინერალური რესურსების ღრმა შესწავლას და გამოყენებას, რის საფუძველზე დადგენილი იქნა მინერალური წყლების ჰიდროგეოლოგიური რუკა. პირველად რესპუბლიკაში შესწავლილ იქნა კარსტული მღვიმეების სამკურნალო თვისებები, შემუშავდა წყალტუბოს მინერალური წყლების ლამის დებიტის გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდი.

მეტად მნიშვნელოვანი იყო მკვეთრი მეტეოროლოგიური და გეოფიზიკური მაგნიტური ცვლილებების ზეგავლენის შესწავლა ადამიანის გულსისხლძარღვთა სისტემაზე და მათ მიერ პირობადებული კატასტროფების პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავება. ამავე პერიოდში იხსნება ინსტიტუტის ბათუმის და გაგრის განყოფილებები.

1976 წლიდან ვლადიმერ წითლანაძე მუშაობს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ართრი... გიური, ხოლო შემდეგ რევმატოლოგიური განყოფილების გამგედ, რომლის ბაზაზეც მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით 1979 წელს ყალიბდება რესპუბლიკური სამეცნიერო-ორგანიზაციული ცენტრის – საქართველოში პირველი სპეციალიზებული სამეცნიერო ქვედანაყოფი ამ დარგში, რითაც საფუძველი ჩაეყარა ქართულ ეროვნულ მეცნიერულ რევმატოლოგიურ სკოლას. ამ პერიოდში იწყება ძირითადი რევმატული დაავადებების გავრცელების მეცნიერული შესწავლა მოსახლეობასა და ზოგიერთ პროფესიულ ჯგუფებში, რაც სპეციალიზებულ სამედიცინო დახმარების ორგანიზაციის საფუძველს წარმოადგენს. პირველად რესპუბლიკაში მუშავდება ისეთი რთული დაავადებების, როგორიცაა სისტემური წითელი მგლურა, სისტემური სკლეროდერმია, დერმატომიოზიტი და ზოგიერთი სხვა დაავადებების დიაგნოსტიკის, მკურნალობის და დისპანსერიზაციის საკითხები: გულის შეძენილი მანკებით ავადმყოფთა ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგ კომპლექსური მედიკამენტოზურ-კურორტული მკურნალობის და დისპანსერიზაციის მეტად რთული ასპექტები. პარალელურად მიმდინარეობს სახსრების ანთებითი და არაანთებითი დაავადებების შესწავლა. განსაკუთრებით საყურადღებოა პროფ. ვ. წითლანაძის როლი რესპუბლიკაში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში, რა მიზნითაც იგი წლების მანძილზე საზოგადოებრივ საწყისებზე სისტემატურად კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებისათვის, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მსმენელთათვის, რევმატოლოგიურ ცენტრში სამუშაო ადგილზე მყოფ ექიმთათვის.

1998 წელს მისი ხელმძღვანელობით, პირველად, საქართველოში დაარსდა რევმატოლოგიის კათედრა სახელმწიფო სამედიცინო აკადემიაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შესრულებულია და დაცულია 10 საკანდიდატო და 2 სადოქტორო დისერტაცია, მის კალამს ეკუთვნის 150-მდე სამეცნიერო ნაშრომი და 3 მონოგრაფია. იყო აქტიური მონაწილეა მრავალი სამეცნიერო ფორუმებისა: ესპანეთში, ... ში, ჩეხოსლოვაკიაში, საბერძნეთში და სხვა.

პროფ. ვ. წითლანაძის ძალისხმევით 1983 წ. შეიქმნა საქართველოს რევმატოლოგთა ასოციაცია, რომელიც 1985 წლიდან გაწევრიანდა ევროპის ანტირევმატულ ლიგაში.

1962-64 წ. წ. ვ. წითლანაძე მუშაობდა ქ. თბილისის ჯანდაცვის განყოფილების გამგედ, იყო ჯანმრთელობის სამინისტროს კოლეგიისა და თბილისის საბჭოს აღმასკომის წევრი. იგი მუდამ ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას, იყო რევმატოლოგთა და კურორტოლოგთა საკავშირო საზოგადოებების პრეზიდიუმის წევრი, ჟურნალ „Rheumatologs in Europe", „ვაპროსი კურორტოლოგიის" და „რევმატოლოგიის" სარედაქციო საბჭოს წევრი, საქართველოს ფიზიკალის თერაპევტთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის წევრი. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით, მაღლობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

პროფესორ ვ. წითლანაძის ღვაწლის კიდევ ერთმა აღიარებამ გარდაცვალებას მოუსწრო – ნიუ-იორკიდან მოვიდა შეტყობინება, რომ იგი არჩეულ იქნა აკადემიკოსთა საერთაშორისო საზოგადოების აკადემიკოსად.

წავიდა ჩვენგან ჩინებული მეცნიერი და მოქალაქე, საქართველოში რევმატოლოგიის სკოლის დამაარსებელი, გულთბილი და ყურადღებიანი ადამიანი ვლადიმერ წითლანაძე. მისი ნათელი სახელი სამუდამოდ დარჩება მრავალრიცხოვანი მეგობრების, მოწაფეების და ახლობლების ხსოვნაში.

**საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო**
**საქართველოს რევმატოლოგთა ასოციაცია**
**რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული რევმატოლოგიური ცენტრი**
**საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია**

## თამარ თამარაშვილი



გარდაიცვალა პროკურატურის ვეტერანი მუშაკი, დამსახურებული პენსიონერი, იუსტიციის მრჩეველი **თამარ ილიას ასული თამარაშვილი.**

დაიბადა 1919 წელს მცხეთის რაიონის დაბა მცხეთაში.

საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, პარალელურად ამთავრებს სახელმწიფო საფრენოსნო სკოლას მფრინავის კვალიფიკაციით.

1940 წლიდან პროკურატურის ორგანოებშია. წლების მანძილზე მუშაობდა: მცხეთის რაიონის პროკურორის თანაშემწედ, საქართველოს პროკურატურაში, სასამართლოებში, სამოქალაქო საქმეებზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორად, არასრულწლოვანთა საქმეების განყოფილების პროკურორად, საჩივრების განყოფილების პროკურორად და სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება გამოაკლდა ჩვენს ქვეყანას. ქალბატონი თამარი იყო მეგობრული და დაუღალავი ადამიანი, მას უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა ადამიანების დახმარება. დიდი ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა საქართველოს პროკურატურის კოლექტივში. მისი ცხოვრება ჩინებული მაგალითია, თუ როგორ უნდა ემსახურებოდეს ადამიანი თავის ხალხსა და ქვეყანას.

ქალბატონი თამარის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება კოლეგების, მეგობრების მეხსიერებაში.

**საქართველოს გენერალური პროკურატურა**

---

სოროსის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამა აცხადებს კონკურსს სოროსის დამსახურებული პროფესორის წოდებაზე საბუნებისმეტყველო დარგებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა, გეოლოგია). საბუთების შემოტანის ვადაა – ორი კვირა განცხადების გამოქვეყნებიდან.

მისამართი: 380009, თბილისი, რუსთაველის გამზ. 52
ტელ. (99532) 922153,
ფაქსი (99532) 999153.

სს „ამფი" ა/წლის 4 ივნისს 2 სთ-ზე ჩაატარებს აქციონერთა კრებას.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მობრძანდნენ მისამართზე: იუმაშევის ქ. № 28.

მეუღლე გიორგი, შვილები გიორგი, ილია ზაქარეიშვილები, და მარიკა თარაშვილი, დისწული ია კაპანაძე, რძალი მარინე მი...ნაშვილი, შვილიშვილები იულია, ილია, ქრისტინე, თამარ ზაქარეიშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ ილიას ასული თარაშვილი-ზაქარეიშვილი

პანაშვიდი 17, 18 V, 5 სთ. გამოსვენება 19 V, 3 სთ. ვაჟა-ფშაველას №6, III სად.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, ფ. თავაძის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, გიორგი ნიკოლაძისა და პეტრე მელიქიშვილის პრემიების ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი

ზური ცაგარეიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ბოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-...

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში, ხოშარაულის 29.